პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№061 (12740) 16 მარტი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



## დროა, გაუგებრობას წერტილი დაესვას

კაპიტნის ქესტი » 4

# წინ რუსეთია!




მალხაზ ურჯუკაშვილის ლელო

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

პე ეს პე
ჩემი ოჯახის აფთიაქია







## მოულოდნელი დასაწყისის მოულოდნელი გაგრძელება

### ქეცბაიას ოლიმპიაკოსი და პანიონიოსი იწვევენ

ლეგიონი » 5



### მარკოიშვილის აბსოლუტური რეკორდი

75

საქართველოს ჩემპიონატი. XVI ტური » 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XXIV ტური

15.03. თბილისი. ეროვნული. 300 მაყურებელი

**დინამო-სპარტაკი 2:2**

0:1 სირბილაძე (14. ჩივაძის პასით), 1:1 ლომია (38. შ. კაშიას პასით), 2:1 ვანაძე (43. გ. მერებაშვილის პასით), 2:2 სირბილაძე (62. ქურასბედიანის პასით)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ჩარასი - შ. კაშია, ხმალაძე, დილმელაშვილი (46. ნერგაძე), კოშკაძე (34. ლომია) - გ. მერებაშვილი, ვანაძე (60. სპასოევიჩი).

*სათადარიგოები: ლორია, კაკუბავა, ჯუისი, ტომიჩი*

სპარტაკი: კოდალაევი - მგალობლიშვილი, გ. კვახაძე, ხაჭიპერაძე (31. ქურასბედიანი), ქორიძე - მეტრეველი, ჯანგიძე, შონია, მაისურაძე (90. ჯიქია) - ჩივაძე (80. შერაზადიშვილი) - სირბილაძე.

*სათადარიგოები: სირბილაძე (79), კოდალაევი (90)*

გაძევება: კრშკო (56)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

## ჩვენთან ბარათებს გზაში აწევენ!

შაბათს მოულოდნელად დაწყებულ ტურს არანაკლებ მოულოდნელი გაგრძელება მოჰყვა: თბილისის „დინამომ" ერთ-ერთი აუტსაიდერის, „სპარტაკის" დამარცხება ვერ შეძლო! არადა, გამარჯვების შემთხვევაში **რაინერ ცობელის** გუნდი ამ სეზონში პირველად წამოსკუპდებოდა სატურნირო ცხრილის სათავეში; თუმცა ქულები მეტოქისთვისაც ხომ მეტისმეტად საჭირო იყო და წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ **სერგო გაბელაიას** გუნდი ამ შეხვედრაში წაგებას არ იმსახურებდა. თამაშის შინაარსზე კი „დინამოს" გერმანელი მწვრთნელის სიტყვებიც მეტყველებს: რა თქმა უნდა, გამარჯვება გვინდოდა, მაგრამ ათი კაცით ვთამაშობდით და ამ შემთხვევაში, ერთი ქულითაც კმაყოფილი ვარო...

„დინამომ" ტრავმირებული **ოლეგ გველესიანი** მოისაკლისა, სხვა მხრივ შემადგენლობა ოპტიმალური იყო. რა თქმა უნდა, გუნდზე ფსიქოლოგიური წნეხიც მოქმედებდა: გამარჯვების შემთხვევაში ხომ „ვიტ ჯორჯიას" გადაასწრებდა. პირველი წუთები მასპინძელთა იერიშებით წარიმართა: თუმცა რეალური არაფერი მომხდარა. აი, მეცხრე წუთზე კი „დინამოს" გოლის გატანის კარგი შანსი მიეცა: **დავით დილმელაშვილის** ჩინებული პასის მერე **მათე ვანაძე** შეუჩერებლად გზავნიდა ბურთს მეტოქის კარისკენ, მაგრამ **ბესიკ კოდალაევმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია; ამ კუთხურს კი **გურამ კაშიას** თავური დარტყმა მოჰყვა, მაგრამ - არაზუსტად.

ამის მერე სტუმრებმა ნელ-ნელა თამაში გაათანაბრეს და მათი პირველივე კონტრშეტევა გოლით დასრულდა! ამ შემთხვევაში ასისტენტიც და გოლის ავტორიც ქების ღირსია: **გიორგი ჩივაძის** შორეული, დიაგონალური გადაცემაც ეფექტური იყო და **ირაკლი სირბილაძის** ტექნიკურად შესრულებული დარტყმაც. საერთოდაც, ტაიმის შუაგულისთვის „სპარტაკი" ერთობ ლაღად ათამაშდა და ფეხბურთელებიც მაქსიმალურად ცდილობდნენ სათამაშო დისციპლინის დაცვას. სულ მალე სტუმრებმა მეორე სახიფათო მომენტიც შექმნეს: „სტანდარტულის" მერე ირაკლი სირბილაძემ ბურთი ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს გადააწოდა, მაგრამ „დინამო" **მილოშ კრშკოს** ოსტატობამ იხსნა. ამას კი „დინამოს" საპასუხო იერიში მოჰყვა, რომელიც, წესით, გოლით უნდა დასრულებულიყო: **გიორგი მერებაშვილის** მოხდენილი პასით **შოთა კაშია** დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ, რატომღაც, პასის გაკეთება მოინდომა. ისე, ამ ეპიზოდში კოდალაევსაც არ უნდა დავუკარგოთ გარჯა. „დინამომ" მაინც შეძლო საპასუხო გოლის გატანა და ამ სეზონში უკვე მერამდენედ, თავი შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელმა გამოიჩინა: მასპინძელთა ახალწვეულმა **შოთა ლომიამ** შოთა კაშიას გამჭოლ გადაცემას ოსტატური გაგრძელება მოუძებნა! ხუთიოდ წუთში კი „დინამო" უკვე მეორე გოლს ზეიმობდა: შეტევა კვლავ შოთა კაშიამ წამოიწყო, მერებაშვილმაც ეფექტურად გააგრძელა და მათე ვანაძემაც, ერთი შეხებით, დაბალი ტრაექტორიით ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში. მასპინძლებს შესვენებამდე კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ კოდალაევის შეცდომით ვანაძემ ვერ ისარგებლა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სტუმრების დაცვაში დაშვებული შეცდომები მათი კაპიტნის, **ბესიკ ხაჭიპერაძის** ტრავმითაც იყო განპირობებული, ვინც მოედანი ნაადრევად დატოვა.



გიორგი კვახაძისა (მარცხნივ) და მათე ვანაძის ორთაბრძოლა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თუმცა იძულებითი შეცვლები თუ მსაჯის რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება წინ გველოდა. ყველაზე კულმინაციური მომენტი კი 56-ე წუთზე დადგა: სტუმართა ნახევარმცველს **ირაკლი შონიას** „დინამოს" მცველი მილოშ კრშკო წესების დარღვევით შეხვდა. მოკლედ, ჯარიმა აშკარა იყო, თუმცა აუტის ხაზთან, თანაც, მოედნის ცენტრთან ახლოს. ამ დროს ბურთი სტუმრებს დარჩათ და, მთავარმა არბიტრმა **არსენ ნონიკაშვილმა** ჟესტიკულაციით თამაშის გაგრძელება ანიშნა. მაგრამ გიორგი ჩივაძემ ვერ შეძლო მარკო ჩარასის მოტყუება და მომენტიც განიმუხტა. თუმცა, მთავარი წინ გველოდა: შონიასა და კრშკოს შეჯახებისას... ორივე ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. თანაც, სტუმართა ახალგაზრდა ნახევარმცველი თუ ორიოდ წუთში დაუბრუნდა მინდორს, აი, კრშკო საკაცით გაიყვანეს და სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გააქანეს. ყველაზე უცნაური კი ამ ეპიზოდის ფინალი იყო: მთავარმა არბიტრმა კრშკოს წითელი ბარათი აუფრიალა და „გზაში დააწია"...

მასპინძელთა უსიამოვნება ამით არ დასრულებულა - ახლა უკვე ვანაძემ იტკინა მხარი და ისიც შესაცვლელი გახდა! სამაგიეროდ, მეორე ტაიმში სტუმართა პირველივე იერიში გოლით დასრულდა: **მურმან ქურასბედიანმა** ფლანგური გარღვევა გამჭოლი გადაცემით დაასრულა და სირბილაძემ ახლო მანძილიდან **დიდიე ოვონოს** კარი მეორედ აიღო. „სპარტაკმა" ამის მერე ორჯერ შორიდან სცადა გოლის გატანა, მაგრამ ჩივაძისა და შონიას დარტყმები ოვონომ ადვილად მოიგერია.

აი, შეტევებში კი „დინამოს" არაფერი გამოსდიოდა: მატჩის დარჩენილ დროში ერთადერთი ხიფათი სტუმართა კართან მაშინ შეიქმნა, როცა **ილია სპასოევიჩი** ეფექტურად, უკუდარტყმით ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა. შეხვედრის ბოლო წუთებზე „დინამომ" შტურმი მოაწყო მეტოქის კართან, მაგრამ რამდენიმე კუთხურის გარდა ვერაფერს გამორჩა...

### მატჩის შემდეგ

**სერგო გაბელაია (სპარტაკი):** *„მიმაჩნია, რომ შესანიშნავი თამაში ვუჩვენეთ და ჩემი გუნდის ასპარეზობით, რალა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. სამწუხაროდ, იძულებითმა შეცვლამ ჩვენს გუნდზე უარყოფითად იმოქმედა. რადგან ორივე გოლი დაცვაში პოზიციური შეცდომების გამო გავუშვით. კრშკოს გაძევებას რაც შეეხება. მიმაჩნია, რომ „ბოლო იმედის" ჯარიმა ეს არ იყო"...*

**რაინერ ცობელი (დინამო):** *„ეტყობა მსაჯი დღეს ცუდ ფეხზე ადგა... შედეგს რაც შეეხება, კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები. საერთოდაც, „დინამოს" უფრო იმ გუნდებთან უჭირს თამაში, სატურნირო ცხრილში ბოლოსკენ რომ არიან. უმცირესობაში რომ დავრჩით, გოლის გატანაც გვინდოდა და თანაც, ვშიშობდით, მეტოქის კონტრშეტევა არ გამოგვეპარვოდა. სამწუხაროდ, კრშკოს ტრავმა სერიოზულია და, სულ მცირე, ოთხი-ხუთი თვე ვერ დაგვეხმარება. მის გაძევებას კი რა კომენტარი უნდა გავუკეთო - ჩვეულებრივი ორთაბრძოლა იყო, მაგრამ"...*

**გია ტუხაშვილი**

14.03. გორი. თ. ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია-გაგრა 0:0**

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე (67. კვალინიძე), გ. მელქაძე, კლიმიაშვილი - კვარაცხელია (79. ბერიაშვილი), ლიპარტია (62. ზაქრაძე).

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, მგელაძე, ხურცილავა, ყველაშვილი*

გაგრა: თევდორაძე - კუპრეიშვილი, გიგაური, კოზლენკო, გაბუნია - ცხადაია, ტყეშელაშვილი, შარიქაძე (90. გედენიძე), ჩარგეიშვილი - ცხადაძე (73. აბაშიძე), ძაგანია.

*სათადარიგოები: ხომერიკი, ლ. სეთურიძე, მოსიაშვილი*

გამოუყენებელი პენალტი: *მელქაძე (90. ვიტ ჯორჯია)*

გაფრთხილება: კოზლენკო (49), ლიპარტია (51), ძაგანია (52), შარიქაძე (61), კუპრეიშვილი (89)

არბიტრი: კ. ჭაჭუა

## ვეტერინართა ბედისწერა

ვერაფერს ვიტყვით - XIV ტური მართლაც მოულოდნელობით დაიწყო! „გაგრამ" (მანამდე სტუმრად ერთი კინკილა ქულა რომ ჰქონდა მოპოვებული), ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან მეტად საპატიო ფრეს მიაღწია; თანაც, ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა ეს საპატიო შედეგი დაიმსახურა თავგანწირული და, რაც მთავარია, სწორი ფეხბურთის ჩვენებით (რამდენადაც შესაძლებელი იყო ატალახებულ მოედანზე). უფრო ზუსტად, „გაგრა" ამ შეხვედრაში დამარცხებას ნამდვილად არ იმსახურებდა. ვინ იცის, ამ მოპოვებულმა ერთმა ქულამ რა სამსახური გაუწიოს „გაგრას" ფინიშის სწორზე; აი, „ვიტ ჯორჯიას" კი, რა ბევრი მტკიცება სჭირდება, ნამეტნავად ძვირად დაუჯდება აუტსაიდერთან წაფორხილება. საერთოდ, როცა ფავორიტი გუნდი თამაშს ვერ იგებს, ამ დროს თავის გასამართლებლად რალა მიზეზს აღარ იგონებენ. იმედია, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელ-ფეხბურთელები დაუგეგმავ წაფორხილებას არც წვიმიან ამინდს დააბრალებენ, არც ატალახებულ მინდორს და არც არაობიექტურ მსაჯობას. განსაკუთრებული ყურადღება არბიტრებისკენ გვაქვს მიმართული - ამ შეხვედრაში „ვეტერინართა" შემტევები არაერთხელ აღმოჩნდნენ „ხელოვნურ" თამაშგარეში; რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში აზრი ყოველთვის იყოფა ხოლმე; ისე, როგორც ამ მატჩის კულმინაციური მომენტის დროს: ნამდვილად არ არის პატარა ამბავი, შეხვედრის ბოლო წუთზე პენალტი რომ დაინიშნება! ახლა აღარ აქვს აზრი იმას, დაარღვია თუ არა წესები **აკაკი კუპრეიშვილმა დავით ლომაიასთან** ორთაბრძოლისას; მთავარი ის არის, რომ „ვიტ ჯორჯიამ" ეს ჩინებული შანსი ხელიდან გაუშვა - **გიორგი მელქაძემ** პენალტი ტექნიკურად კი შეასრულა, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა!..

მასპინძლები შეხვედრას ოპტიმალური შემადგენლობით შეხვდნენ; მაშინ, როცა „გაგრას" სერიოზული დანაკლისი ჰქონდა - დისკვალიფიკაციის გამო მატჩს ტოვებდა გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **გიორგი გაბედავა.** „ვეტერინარებმა" თამაშის დაწყებისთანავე შეუტიეს მეტოქეს და კინალამ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში უსწრაფესი გოლიც ვიხილეთ: მასპინძელთა სამსვლიან კომბინაციას **ვახტანგ კვარაცხელია** აგვირგვინებდა; თუმცა „ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო ბომბარდირი ბურთის კარში გადაგზავნას მუხლით აპირებდა და სტუმართა მეკარემ **რევაზ თევდორაძემ** საკუთარი გუნდი გადაარჩინა. სტუმრები ასეთი დასაწყისით არ დაიბნენ და უმალ საპასუხო შეტევა განახორციელეს: **ბაჩანა ცხადაძე** შემობრუნებით ურტყამდა, მაგრამ **გრიგოლ ბედიაშვილმა** პოზიცია ზუსტად შეარჩია. ამის მერე მოედანზე ისევ „ვიტ ჯორჯია" დომინირებდა და სულ მალე **ჯაბა ლიპარტიას** შეექმნა კარგი მომენტი (**ირაკლი კლიმიაშვილის** პასიც უნდა აღვნიშნოთ), მაგრამ თევდორაძე კვლავ საიმედოდ გაისარჯა. ტაიმის ბოლომდე, ერთი შეხედვით, „ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა აშკარა იყო. თუმცა, მეორე მხრივ, ლიდერი გუნდის შეტევები უფრო და უფრო ერთფეროვანი ხდებოდა. ფაქტობრივად, ყველა „სტანდარტული" თუ თამაშიდან წამოწყებული შეტევა მეტოქის საჯარიმოში მაღალი ჩაწოდებით სრულდებოდა. აი, იქ კი თევდორაძის გარდა, „გაგრას" ცენტრალური მცველებიც (**დავით გიგაური და ვლადიმერ კოზლენკო**) ერთობ საიმედოდ თამაშობდნენ. მოკლედ, ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები კი ფლობდნენ, მაგრამ სტუმრებიც არ ურიგდებოდნენ სტატისტის როლს და ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტიეს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი კი პირველი ტაიმის შუაგულში მომხდარი ერთწუთიანი (!) მონაკვეთი იყო, როცა „გაგრამ" ზედიზედ სამჯერ დაარტყა ბედიაშვილის კარისკენ, მაგრამ **ცხადაიას, ძაგანიასა** და ცხადაძის მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია; თუმცა ყველაზე რეალური მომენტი მაინც მასპინძლებს ჰქონდათ: „გაგრა" კვლავ „ხელოვნურ თამაშგარეს" აპირებდა, როცა „ვეტერინართა" ორივე ფორვარდი თევდორაძესთან პირისპირ დარჩა. კვარაცხელიას შეტევის დაგვირგვინების რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა (თან, ხელსაც არავინ უშლიდა), მაგრამ უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ბურთი სტუმართა კარს ააცილა.

მეორე ტაიმი „ვიტ ჯორჯიას" შტურმით დაიწყო: თევდორაძემ ჯერ კვარაცხელიას დარტყმა მოიგერია ეფექტურ ნახტომში, ერთ წუთში კი მასპინძელთა მახვილგონივრულად გათამაშებული „სტანდარტული" **გიგა ბეჭვაიას** გოლით დასრულდა. თუმცა, ორივე ეპიზოდში გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. აი, ამის მერე კი, მასპინძელთა თამაში ქაოსური და კვლავაც ერთფეროვანი გახდა. სამაგიეროდ, სტუმრები „გათამამდნენ" და საკუთარი მისადგომების ორგანიზებულად თავდაცვასთან ერთად უკვე „მოურიდებლად" გადადიოდნენ შეტევებზე. **ლევან შარიქაძემ** შორი მანძილიდან ორჯერ სცადა გოლის გატანა - ბედიაშვილი კვლავ საიმედო იყო; თუმცა ყველაზე რეალური მომენტი ძაგანიას ჰქონდა, ვინც მახვილი კუთხიდან ურტყამდა და ბურთი „ვეტერინართა" კარის ბადეს... გარედან მოხვდა.

**რამაზ მუმლაძემ** 15-წუთიან ინტერვალში სამი შეცვლა განახორციელა და ამ მეთოდით შეეცადა თამაშში გარდატეხის შეტანას. თუმცა მოედანზე სიტუაცია არც ამან შეცვალა - ერთადერთხელ, ახალგაზრდა **ბექა ზაქრაძემ** გაამწვავა თამაში და სულ ეს იყო!

მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, მასპინძლებმა საჯარიმოს დარტყმის უფლება რომ მოიპოვეს. ჰოდა, ამ ჩაწოდებულ ჯარიმას მოჰყვა კიდეც კუპრეიშვილისა და ლომაიას ორთაბრძოლა, რის მერეც სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა! მასპინძელთა სამწუხაროდ და სტუმართა გასახარად, მელქაძემ გოლის გატანის ეს ჩინებული შანსი ხელიდან გაუშვა. მაგრამ მატჩი ამით არ დასრულებულა: მასპინძლები ბედიაშვილს უნდა უმადლოდნენ, სულაც უქულოდ რომ არ დარჩნენ! ბოლო წამებზე **თამაზ ჩარგეიშვილმა** საჯარიმო დარტყმა ჩინებულად შეასრულა, მაგრამ „ვიტ ჯორჯია" საკუთარი მეკარის გამოცდილებამ და რეაქციამ გადაარჩინა...

**გია გაგოშიძე**
გორიდან

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

**15.03. ბოლნისი. თ. სტეფანია. მაყურებელი**

**სიონი-ზესტაფონი 0:0**

სიონი: ჭანტურია - კაკაშვილი, სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ორბელაძე - გ. ხიდეშელი (52. შალამბერიძე), დიდავა, ზ. ჭელიძე, სანიკიძე - მიკუჩაძე (83. დავითაშვილი), გოცირიძე (74. ბობოხიძე).

სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ბაჯელიძე, ნაყოფია, რუსიეშვილი

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ლობჟანიძე, თოდუა, გ. ხიდეშელი, მაკარიანი - დაუშვილი, ბენაშვილი, ძარია (78. გრიგალაშვილი) - გ. ჭელიძე (85. ნ. კვასხვაძე), იონანიძე (62. ლ.მელქაძე) - გელაშვილი.

სათადარიგოები: მამალაძე, კვესიეშვილი, გორგიაშვილი, კაკალაძე

გაფრთხილება: იონანიძე (20), თოდუა (28), გ. ჭელიძე (35), ზ. ჭელიძე (55), ორბელაძე (60), გელაშვილი (62), ბენაშვილი (82)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

# წუნიანი თამაში ფრეზე

წინა ტურში „ზესტაფონი" რუსთავში „ოლიმპთან" დამარცხდა (0:1), გუშინ კი ბოლნისში დაკარგა ქულები - ქვემო ქართლიდან მთლად ხელცარიელი არ წასულა, თუმცა ეს სატურნირო ცხრილში მესამიდან მეოთხე ადგილზე დაქვეითებად დაუჯდა. ზესტაფონელთა თავკაცმა **გია გეგუჩაძემ** სასტარტოში 3 ცვლილება განახორციელა - **ზურაბ მამალაძის** ნაცვლად კარში **როინ კვასხვაძე** ჩააყენა, **ნიკა კვასხვაძის** მაგივრად **გიორგი ჭელიძე** ათამაშა, ხოლო **ლევან მელქაძე ზურაბ იონანიძით** შეცვალა. როტაცია ჩვეულებრივი რამეა საკლუბო ფეხბურთში, ოღონდ, ამას უფრო იმ მიზნით აკეთებენ, რომ ფეხბურთელებმა დაისვენონ, ძალები რაციონალურად განაწილდეს, ტრავმები და დისკვალიფიკაციები მინიმუმადე დაიყვანოს. „ზესტაფონში" კი, ვფიქრობთ, როტაციას სულ სხვა რამის გამო მიმართავს მწვრთნელი - ოპტიმალურ შემადგენლობასა და ტაქტიკას ეძებს.

„ზესტაფონმა" გუშინაც შემტევი, დინამიკური თამაში სცადა, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. „სიონი" ალღოიანად და მობილურად ირჯებოდა, კონცენტრაციას არ კარგავდა, ეტყობოდა, რომ ფრითაც კმაყოფილი დარჩებოდა. ფრეზე თამაშსაც ცოდნა უნდა, ჰაერიდან არც ეს მოდის და **ოთარ კორღალიძის** გუნდმაც ამოცანა ჩინებულად ამოხსნა - „ზესტაფონი" ერთუცნობიან განტოლებასაც კი არ ჰგავდა, მეტოქეს ისეთი ვერაფერი შესთავაზა, რითიც საგონებელში ჩააგდებდა.

„სიონს" კარგად ჰყოლია მეტოქე შესწავლილი - სივრცეს წარმატებით უზღუდავდა სტუმრებს. სადაც ბურთი აღმოჩნდებოდა, იქ ქმნიდა რიცხობრივ უპირატესობას, თამაშის გაშლა ხელს არ აძლევდა და ოდენ კონტრშეტევებით ყაბულდებოდა.

„ზესტაფონმა" ერთი გამოკვეთილი ფორვარდითა და ორი გარემარბით დაიწყო თამაში. ეს თანამედროვე, მოდური განლაგებაა, ასე უფრო მეტია თავისუფალ სივრცეთა ათვისების შანსი, მაგრამ ჰყავს კი „ზესტაფონს" საამისო ფეხბურთელები? **ზურაბ იონანიძეს** შეუძლია, ფლანგებიდანაც დაემუქროს მეტოქეს, მაგრამ ის უკვე 37 წლისაა და ამ ასაკში ფეხბურთელის გარემარბად გარდაქმნა ძალიან რთულია. რა თქმა უნდა, იმის პრეტენზია (და უფლებაც) სულაც არ გვაქვს, რომ „ზესტაფონის" მწვრთნელს რალაც-რალაცები შევუსწოროთ და რჩევები მივცევთ, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ ასეთი სარისკო გადაწყვეტილებები ჯერ ვერ ეხმარება გუნდს. თუ იონანიძე მარცხნივ იყო, **გიორგი ჭელიძე** საპირისპირო ფლანგიდან ცდილობდა გარემარბობას, თუმცა ვერც ამან უშველა „ზესტაფონს". ჭელიძეს მისამართით ხშირად მაღალი ბურთი იგზავნებოდა და გიორგიც უშანსოდ რჩებოდა მასზე ტანმაღალ მეტოქეებთან ორთაბრძოლებში. **ნიკა გელაშვილიც** „სიონის" მცველებთან, ფაქტობრივად, მარტო იყო. „ლელოსთან" ინტერვიუში თქვა კიდეც - როცა თავდასხმაში მეწყვილე მყავს, უფრო მიადვილდება თამაშიო, მაგრამ მწვრთნელს სულ სხვა აზრი აქვს ამ საკითხზე. ერთი სიტყვით, „ზესტაფონის" შემტევმა ტრიო ვერ ივარგა და ვერც შუახაზელებმა გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოჩნდა, რომ ფეროელებს ამ რგოლში არ ულხინთ - ბოლნისელები მოედნის ცენტრში ჩინებულად ბოჭავდნენ იმერელთა ნახევარმცველებს.

**...ზაზა ჭელიძე** „ზესტაფონის" საჯარიმოში კარგად გაისარჯა, კარში ახლოდან დარტყმა **კოკა მიკუჩაძეს** მართებდა, მაგრამ მცველთან ორთაბრძოლაში ეს ვერ მოახერხა - პირველ წუთებზე „სიონი" ასეთნაირად რომ დაემუქრა მეტოქეს, მერე უფრო დაცვაზე დაიწყო ზრუნვა. ფეროელებმა მცირე ტერიტორიული უპირატესობა შეიქმნეს, ბურთს სიონელებზე უფრო დიდხანს ფლობდნენ, მაგრამ ბევრი ტექნიკური წუნი ჰქონდათ. საფეხბურთო ელემენტები ცოტა იყო - იონანიძის ორი გამჭოლი პასი გელაშვილის მისამართით. ასევე ორჯერ მოახერხა „ზესტაფონმა" მრავალსვლიანი, მოხდენილი კომბინაციის გათამაშება, დანარჩენ შემთხვევაში კი ბურთი მალე იკარგებოდა როგორც სტუმრების, ისე მასპინძლების მხრიდან.

ტაიმის შუაწელში „ზესტაფონი" ახლოს აღმოჩნდა მიზანთან - გიორგი ჭელიძის ფლანგურ ჯარიმას **ბუბა დაუშვილის** თავური მოჰყვა და კარისკენ მიმავალ ბურთს სიონელთა ერთ-ერთი მცველი გადაელობა.

მორიგი კარგი შანსი: **ჭელიძე-ბენაშვილი-ჭელიძის** მართლაც მოხდენილი კომბინაცია ვერ დაგვირგვინდა - ჭელიძემ ბურთს ფეხი ხეირიანად ვერ მოარტყა.

ტაიმის ბოლო წუთზე კი ბოლნისელებს ჰქონდათ რიგიანი შესაძლებლობა - ჯარიმა **გიორგი ხიდეშელმა** დაარტყა, რიკოშეტის შემდეგ **როინ კვასხვაძისთვის** ბურთის მოგერიება მართლაც ძნელი იყო, მაგრამ ზესტაფონელმა მეკარემ მაინც მოახერხა კარის დაცვა და „სიონს" ოდენ კუთხური აკმარა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ზესტაფონი" უფრო მძლავრად ათამაშდა. ფეროელთა საყრდენი ნახევარმცველი დაუშვილი ერთი-ორჯერ მართლაც ყოჩაღად გაისარჯა, მაგრამ მისი შეუპოვრობა სხვებისთვის გადამდები არ აღმოჩნდა, ზესტაფონელთა ცეცხლი მალე ჩაქრა.

**ალექსი ბენაშვილის** ჯარიმა და გელაშვილის არაზუსტი თავური - მეორე ტაიმში „ზესტაფონს" ამის გარდა სახიფათო მომენტი არ შეუქმნია. „სიონმა" კი თანდათან გამოაკეთა თამაში და რამდენიმე მწვავე კონტრშეტევაც განახორციელა. აღსანიშნავია მიკუჩაძისა და **რევაზ გოცირიძის** გააზრებული კომბინაცია, რომლის შემდეგ მიკუჩაძე, ფაქტობრივად, პირისპირ დარჩა კვასხვაძესთან, მაგრამ ვერც ძლიერად დაარტყა და ვერც მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება მოახერხა - კვასხვაძე იოლად დაეუფლა უხეიროდ დარტყმულს.

მერე კორღალიძემ მოედანზე შეუშვა ფეხმალი **კობა შალამბერიძე**, რომელმაც დისკომფორტი შეუქმნა სტუმარ მცველებს. შალამბერიძე ორჯერ წავიდა პენალტზე, მაგრამ მსაჯმა არც ერთხელ არ დანიშნა 11-მეტრიანი... ისე კი, ორიდან ერთი მომენტი საკამათოდ კი მოგვეჩვენა... შალამბერიძემ გოცირიძესაც ჩაუწოდა ბურთი, მაგრამ თავური განზე წავიდა.

ერთი მწვავე იერიში „სიონის" მცველებმაც გაჩარხეს - **ვლადიმერ კაკაშვილის** ჩაწოდებულს **დავით სვანიძემ** „მაკრატელა" მიაყოლა, ბურთი კარში ეშვებოდა, მაგრამ კვასხვაძემ კუთხურზე მოიგერია.

შეცვლებს გეგუჩაძემაც მიმართა. **ლევან მელქაძის** შემოსვლის შემდეგ „ზესტაფონი" 4-4-2 განლაგებაზე გადაეწყო. მელქაძემ ორჯერ კარგად მოიგო ბურთი... თან ურიგოდ როდი ჩაერთო თამაშში, მაგრამ დრო უკვე ცოტა იყო დარჩენილი. კმაყოფილი „სიონი" და უკმაყოფილო „ზესტაფონი" - ასე დამთავრდა გუშინ ბოლნისური ამბავი.

**მატჩის შემდეგ**

**ოთარ კორღალიძე (სიონი):** „დაძაბული მატჩი გამოდგა, „ზესტაფონს" სამეულზე აქვს პრეტენზია და ასეთ მეტოქესთან კომპაქტურად თამაში დავისახეთ მიზნად. პირველ ტაიმში ინიციატივას მეტოქე ქმნიდა, მეორე ტაიმში კი ვითარება შეიცვალა, გვქონდა მომენტები, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მოვლენები ისე განვითარდა, მატჩი ფრედ უნდა დამთავრებულიყო".

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „თანაბარი თამაში გამოვიდა, ძირითადად მოედნის ცენტრში მიდიოდა ბრძოლა, საგოლე მომენტები ბევრი არ გვქონია - ჩვენ აქ 3 ქულისთვის ჩამოვედით და მეტის გაკეთება გვმართებდა".

**დავით თავართქილაძე**
ბოლნისი-თბილისი

**15.03. ზუგდიდი. ცენტრალური. 600 მაყურებელი**

**მგლები-ბორჯომი 5:0**

1:0 ჭედია (17. გუჩუას პასით), 2:0 გ. თოდუა (19), 3:0 გ. თოდუა (45. გულორდავას პასით), 4:0 გულორდავა (79. გუჩუას პასით), 5:0 გულორდავა (84. გ. თოდუას პასით)

მგლები: სომხიშვილი (46. ქალდანი), ჭითანავა, აქუბარდია (46. ხუხია), რ. ონიანი, ბაჯელიძე, პ. დათუნაიშვილი, გუჩუა, ქირია (57. ხურციძე), გულორდავა, გ. თოდუა, ჭედია.

სათადარიგოები: ინჯგია, ჭკადუა, მალიჩავა, ჯოჯუა

ბორჯომი: ო. ალავიძე, მჭედლიშვილი, ქაბულიძე, გორგიშელი, სილაშვილი, ზვანბაია (67. კაკაურიძე), ქათამაძე, ბაქრაძე, ნატროშვილი (63. სიმონია), პავლიაშვილი (46. კირვალიძე), გავაშელიშვილი.

სათადარიგო: ომანაძე

გაფრთხილება: ალავიძე (2), სილაშვილი (25), ბაქრაძე (40), სომონია (71)

არბიტრი: ი. ურუშაძე

# მგლებმა სტუმრები დახუთეს

„ბორჯომი" რომ გამოკვეთილი აუტსაიდერია, ეს არავისთვისაა უცხო. ეს გუნდი ფაქტობრივად დაშლილია და კლუბმა საჯარიმო სანქციები რომ არ მიიღოს, მოვალეობის მოხდის მიზნით სეზონს ჩაამთავრებს. ზუგდიდში ჩასულ „ბორჯომის" ახალგაზრდულ შემადგენლობასთან „მგლები" რომ დიდი ანგარიშით მოიგებდა, ამაში ეჭვი არავ'ს ეპარებოდა.

ეს მატჩიც ნაწვიმარ მოედანზე ჩატარდა, რის გამოც ბევრი წუნი იყო. მასპინძელთა მეკარე **სომხიშვილმა** სულ 2-3-ჯერ მიილო ბურთი. ზუგდიდელები სწრაფი გოლით დაწინაურდნენ - **გუჩუას** ჩაწოდებული **ჭედიამ** თავურით გაიტანა. ორ წუთში **თოდუამ** ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მცველები დაიფრინა და სხვაობა ორამდე გაზარდა. ტაიმის მიწურულს **ონიანის** ჯარიმა სტუმართა მეკარე **ალავიძემ** კი მოიგერია, მაგრამ მცველებს **გულორდავამ** დაასწრო, თოდუა მოძებნა და „მგლების" მთავარმა მეგოლემ დუბლი მიითვალა.

მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. **ხურციძე-გუჩუას** შეტევა გულორდავამ დააგვირგვინა - 4:0. მატჩის ბოლოს თოდუას დარტყმული ხარიხამ აისხლიტა, ყველას გულორდავამ დაასწრო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ანგარიში გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა სტუმართა მეკარე ალავიძის კარგი თამაში. მან ორი-სამი „მკვდარი ბურთი" აიღო...

**ნუგზარ ჟვანია**
ზუგდიდიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 22 | 14 | 7 | 1 | 37-12 | 49 |
| 2. დინამო | 22 | 15 | 3 | 4 | 48-17 | 48 |
| 3. ოლიმპი | 22 | 11 | 9 | 2 | 25-11 | 42 |
| 4. ზესტაფონი | 22 | 12 | 4 | 6 | 26-15 | 40 |
| 5. სიონი | 22 | 7 | 9 | 6 | 22-19 | 30 |
| 6. ლოკომოტივი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-21 | 28 |
| 7. მგლები | 22 | 7 | 4 | 11 | 24-27 | 25 |
| 8. მესხეთი | 22 | 5 | 8 | 9 | 15-26 | 23 |
| 9. გაგრა | 22 | 4 | 5 | 13 | 14-35 | 17 |
| 10. სპარტაკი | 21 | 3 | 5 | 13 | 20-37 | 14 |
| 11. ბორჯომი | 22 | 2 | 6 | 14 | 16-51 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 11 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 9 |
| თოდუა (მგლები) | 9 |

**XXV ტური**

**21 მარტი, შაბათი**

ბორჯომი-სიონი
გაგრა-მგლები
ლოკომოტივი-დინამო

**22 მარტი, კვირა**

ზესტაფონი-მესხეთი
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
*ოლიმპი ისვენებს*

**15.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 400 მაყურებელი**

**მესხეთი-ოლიმპი 0:1**

0:1 დობროვოლსკი (57. ფიფიას პასით)

მესხეთი: ბათიაშვილი (61. ძამუნაშვილი) - ზ. ჩხეტიანი, ლ. მერებაშვილი, ფარულავა, ვ. ხორგუაშვილი (64. სუდაძე) - მემარნიშვილი, თედიაშვილი, გაბიდაური, ლეკიშვილი - ქებაძე, მიქაბერიძე (46. სამადაშვილი).

სათადარიგოები: ბეჟანიძე, გვირჯიშვილი, პ. ხორგიაშვილი, ლ. ვაშაკიძე

ოლიმპი: მ. ალავიძე - თ. ლონღაძე, მაჭავარიანი, გ. ონიანი, აკუასაგა (46. ჩიკვილაძე) - სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, ხუბუა - გ. ჩხეტიანი (46. ფიფია), მეგრელაძე.

სათადარიგოები: სტურუა, დეკანოსიძე, გ. ნ. ჭელიძე, გორდეზიანი, კაკულია

გაფრთხილება: ლეკიშვილი (60), ლონღაძე (77), ფიფია (88), მაჭავარიანი (90)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# ოლიმპმა კონკურენტს გაუსწრო

მე-18 შეხვედრაა (ჩემპიონატს პლუს თასი), რუსთაველებს არ წაუგიათ. **ვარლამ კილასონიას** დანიშვნის შემდეგ „ოლიმპი" შთამბეჭდავად თამაშობს. გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლაც რეალურად მიაჩნია.

მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. „მესხეთი" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის და მისთვის თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც იყო, რომ **კობა თედიაშვილის** შეგირდები ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს განსაკუთრებული მონდომებით ეკვეთნენ.

ახალციხელთა გასაჭირი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ შეუძლებელია, ამ გუნდის მიმართ პატივისცემა არ გაგიჩნდეს. „მესხეთი" ბევრად უკეთ დაკომპლექტებულ და დაპურებულ გუნდებს არაფერს უთმობს. უფულობამ ნააქცია ახალციხელები, თორემ...

სტუმრები ბორჯომში მთავარი მწვრთნელის გარეშე ჩავიდნენ - კილასონია ქართველ მწვრთნელთა ჯგუფთან ერთად შოტლანდიაში გაემგზავრა, სადაც სემინარებს დაესწრება და კვალიფიკაციას აიმაღლებს. მის არყოფნაში მოედანზე გუნდი მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **არმაზ ჯელაძემ** გაიყვანა. ამაზე ჯელაძემ ნამატჩევს „მიმინოს" სტილში იხუმრა - „დიდ ავიაციაში" პირველი გამოცდა ჩავაბარეო...

საგოლე მომენტების მხრივ პირველი ტაიმი ერთობ მწირი გამოდგა. მე-8 წუთზე სტუმართა შეტევის დასრულება **გაგა ჩხეტიანს** შეეძლო, მაგრამ მეკარე **ზურაბ ბათიაშვილმა** ფორვარდის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია. 43-ე წუთზე „მესხეთის" მცველებმა შეუთანხმებლად ითამაშეს, რამაც **ნოდარ მაჭავარიანი** კარის წინ მარტო დატოვა, თუმცა მან მახვილი კუთხიდან გატანა ვერ მოახერხა.

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა. დაძაბულობამაც და ინტერესმაც ერთიორად იმატა. ორივე გუნდი გამოცოცხლდა და მართალია, სათამაშო კლასით თვალს არც ერთი არ გვჭრიდა, მაგრამ სახიფათო მომენტების სიმრავლემ, ხისტმა და თავდადებულმა თამაშმა მატჩს ხიბლი შემატა.

49-ე წუთზე „მესხეთი" გოლს გადაურჩა - საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე **გიორგი ონიანი** შესწვდა და კარისკენ გაგზავნა, მაგრამ მასპინძლები ძელმა იხსნა. იქვე, „ოლიმპის" მცველმა დამატებაზე გაიტანა, მაგრამ წესი დაარღვია და გოლი არ ჩაითვალა.

ანგარიში კი 57-ე წუთზე გაიხსნა - **გოგი ფიფიამ**, რომელმაც მეორე ტაიმში სტუმართა შეტევები აშკარად გამოაცოცხლა, მცველებს შორის გაძვრა და **დენის დობროვოლსკის** დასარტყმელ პოზიციაზე გადააწოდა, ამ უკანასკნელმა კი მეკარისგან დაფარულ ახლო კუთხეში ზუსტად დაარტყა - 0:1.



დენის დობროვოლსკი

ახალციხელთა შეტევები შეცვლაზე შესულმა **გურამ სამადაშვილმა** გაამწვავა. ის კარგად ართმევს თავს „მეორე ტაიმის" თავდამსხმელის ფუნქციას. ამჯერადაც, „ოლიმპის" კართან სიტუაცია სწორედ მან დაძაბა 76-ე წუთზე, როცა მცველი ჩამოიცილა და პენალტის ადგილიდან შემოტრიალებით დაარტყა, მაგრამ არაზუსტად.

ანგარიშის გათანაბრება კი **დიმიტრი ლეკიშვილს** შეეძლო, თუმცა მრავალსვლიანი კომბინაციის შედეგად დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა ბურთი მცველებს ვერ ააცილა. 81-ე წუთზე „მესხეთის" მეკარე **ძამუნაშვილი** (რომელიც შეცვლაზე შევიდა) გამოსვლისას შეცდა და ბურთი კარის წინ დარჩენილ **თენგიზ ჩიკვილაძეს** მიუგორდა, თუმცა სტუმარმა ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა.

ბოლო წუთებში „მესხეთმა" შტურმი წამოიწყო. „ოლიმპის" კარის აღებას თავური დარტყმით ცდილობდა **ლევან თედიაშვილი** ცდილობდა, მაგრამ ბურთი მეკარე **მიხეილ ალავიძემ** მოიგერია. ბოლოს „ოლიმპის" კიპერი არც **გიორგი გაბიდაურის** დარტყმულზე ანერვიულებულა...

მოკლედ, სტუმრებმა ბრძოლით მოიპოვეს 3 ქულა და ამ დროისთვის უკვე ცნობილი იყო ბოლნისური ამბავიც - „ოლიმპმა" უშუალო კონკურენტის წაფორხილებით ისარგებლა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

**მერაბ მამულაშვილი**
ბორჯომიდან

დებიუტანტი

ინტერვიუ გიორგი კახელიშვილთან

# მინდა, ეროვნულის კარზე დავაკაკუნო

როგორც გამცნეთ, ეროვნული ნაკრების თავკაცმა ექტორ კუპერმა „ლოკომოტივი“-“ზესტაფონის“ მატჩის შემდეგ სამშაბათის ტრადიციულ ვარჯიშზე ორი ფეხბურთელი, გიორგი კახელიშვილი და ნიკა გელაშვილი გამოიძახა. კახელიშვილი „სამშაბათობის“ დებიუტანტია და სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ მასთან გასაუბრება. საინტერესოა, რას ფიქრობს გიორგი დღევანდელობასა და პერსპექტივაზე...

**- რას ნიშნავს თქვენთვის „სამშაბათობაზე“ გამოძახება?**

- რადგან კუპერმა გამომიძახა, ესე იგი ჩემში რაღაც დაინახა, გარკვეული პოტენციალი შენიშნა. შესაბამისად, მეტად უნდა მოვინდომო, უკეთ უნდა წარმოვაჩინო თავი, რათა ეროვნული ნაკრების თავკაცს დავუმტკიცო, რომ არჩევანში არ შემცდარა. ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში არაერთხელ ვითამაშე. 21 წლის ვარ და ახლა ჩემი მიზანი ეროვნულ გუნდში მოხვედრაა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ჩანაფიქრი განვახორციელო. ჩემი აზრით „სამშაბათობაზე“ გამოძახება იმას ნიშნავს, რომ პირველ ნაკრებამდე ერთი ნაბიჯი მაშორებს. ძალიან მინდა, ეროვნული გუნდის კარზე დავაკაკუნო და მჯერა, ამას შევძლებ კიდეც.

**- ექტორ კუპერზე რას იტყვით?**

- ყველამ კარგად იცის, თუ რა დონის მწვრთნელია და მე რაღა უნდა ვთქვა? განსაკუთრებით მახარებს ის, რომ საქართველოში ნიჭიერ ფეხბურთელებს ეძებს. ამით ჩვენს პირველობაზე მოთამაშე ფეხბურთელებს უფრო მეტი შანსი ეძლევათ თავის წარმოჩენისათვის. იცით, ეს რამხელა სტიმულია ჩვენთვის?! თუნდაც ის, რომ კუპერს ტრიბუნაზე ვხედავთ, როცა ვიცით, რომ ამხელა რანგის მწვრთნელი უყურებს ჩვენს თამაშს, ათმაგად მონდომებულები ვხდებით.

**- კუპერმა „ლოკომოტივი“-“ზესტაფონის“ მატჩის შემდეგ გამოგიძახათ. როგორც ჩანს, იმ თამაშში განსაკუთრებით მოაწონეთ თავი...**

- „ზესტაფონმა“ კლასითა და უკეთესი შემადგენლობით გვაჯობა და დაიმსახურა კიდეც მოგება, ამაში უჩვეულო არაფერია. თუმცა ჩვენც გვქონდა რამდენიმე საგოლე მომენტი და რომ გამოგვეყენებინა, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა თამაში, იქნებ, ქულა მაინც გადაგვერჩინა... არც თავს ვიქებ და არც გუნდს სჭირდება ჩემგან კომპლიმენტები, მაგრამ ერთს კი ვიტყვი - ალექსიძის, ცქიტიშვილის, დარასელიასა და სამხარაძის წასვლის შემდეგ ბევრი ალბათ ფიქრობდა, რომ „ლოკომოტივი“ დასუსტდებოდა, მაგრამ ყველა ხედავს, რომ ასე არ არის, კვლავ სოლიდური კრებული გვყავს და ამაში მწვრთნელების უდიდესი დამსახურებაა. მეორე მხრივ, იმავე ალექსიძისგან, ცქიტიშვილისა და დარასელიასგან ბევრი რამ ვისწავლეთ...

**- მაინც რა?**

- გუნდის ლიდერები ახალგაზრდებს მაგალითს გვაძლევდნენ, ვარჯიშებისას ხმას არ იღებდნენ, ხუმრობა მხოლოდ წვრთნის შემდეგ იყო. „ორკარას“ თამაშისას კი ბურთის დაკარგვას ძალიან განიცდიდნენ. ჰოდა, ჩვენც გადაგვედო და საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება... გარდა ამისა, ვარჯიშებისას პოზიციის შერჩევაში, შეტევის, კონტრიერიშის უკეთ განხორციელებისთვის ახალი ვარიანტების დამუშავებასა და კიდევ სხვა კომპონენტების ათვისებაში გვეხმარებოდნენ...

**- ლიდერთა წასვლის შემდეგ მათი ტვირთის ზიდვა თქვენ და კიდევ რამდენიმე მოთამაშეს უწევს...**

- ასეა და ვცდილობთ, ეს როლი და ფუნქცია კარგად მოვირგოთ, გუნდს მაქსიმალურად გამოვადგეთ.

**- თქვენზე ამბობენ, მისი გუნდი 3:0-საც რომ აგებდეს, მაინც ბოლომდე იბრძვისო. წმინდა საფეხბურთო კომპონენტების გარდა, კუპერმა თქვენში ალბათ მებრძოლის თვისებებიც დაინახა. „ზესტაფონთან“ 0:2-ს აგებდით, მაგრამ გუნდი აიყოლიეთ და გაიტანეთ კიდეც გოლი...**

- მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვი, მარცხს ვერ ვეგუები... სპორტსმენი ვარ და ალბათ, ასეც უნდა იყოს, ანდა რატომ უნდა შევეგუო წარუმატებლობას?!

**- თავის დროზე ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში იყავით. იმ პერიოდს როგორ იხსენებთ?**

- ცუდად ნამდვილად არ მახსენდება. 19-წლამდელებში, ჰაინც ტოპმიოლერის დროს, პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე გოლიც გავიტანე. ბოლოს თურქეთთან დიდი ანგარიშით წაგება მახსოვს... კიდევ ერთი დამამახსოვრდა - რატომღაც იმ მატჩში საყრდენ ნახევარმცველად ვიყავი გამწესებული... გული მწყდება, რომ შეგრტის მწვრთნელობისას შესარჩევში მხოლოდ ორჯერ ვითამაშე და ორივეჯერ ესპანეთთან...



გიორგი კახელიშვილი

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

გიორგი ნემსაძე

# ისეთი არაფერი გამიკეთებია, რაც არ უნდა გამეკეთებინა

## როდის, სად და რა ფორმით დაბრუნდება ნემსაძე?

საქართველოს ეროვნული ნაკრების ექსკაპიტანი გიორგი ნემსაძე აქტიურ საფეხბურთო ცხოვრებას კვლავ ჩამოცილებულია. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის წინა არჩევნებზე ის ერთ-ერთი კანდიდატი იყო და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ... მერე რაც მოხდა, ამაზე ახლა არ შევჩერდებით...

მოკლედ, ნემსაძე ფედერაციის პრეზიდენტი ვერ გახდა და თითქოს ტაიმაუტი აიღო, საფეხბურთო პროცესებიდან განზე დგას, მაგრამ ახლა ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს და ცხადია, დაგვაინტერესა, ეს რა ფორმით მოხდება...

მანამდე კი ნემსაძე, რომელიც „ნაციონალური მოძრაობისა“ და თბილისის საკრებულოს წევრია, „ლელოს“ კითხვებს პასუხობს...



გიორგი ნემსაძე

**- მაშინ, როცა კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად თვეების დანიშნული იყო, თქვენ თქვით - ხელისუფლება ხალხის მითხოვნას ასრულებს და ამიტომაც ჰყავს ჩვენს ნაკრებს სახელიანი უცხოელი მწვრთნელიო. მაშინ ასეთი პოზიცია დიდად საკამათო არ იყო, ახლა კი ბევრი ამბობს, თითქოს საქართველოს ამ ნაკრებს არ სჭირდება მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი და სჯობს, ეს თანხა სხვა რამეს მოხმარდეს. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?**

- უმადური უნდა ვიყო, ექტორ კუპერის შრომა არ დავინახო. კლაუს ტოპმიოლერი საქართველოში ძალიან ცოტა დროს ატარებდა, კუპერი კი მონდომებულია, ცდილობს, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების დანინაურებას, იხვეწება, რომ ესა და ეს ფეხბურთელი „სამშაბათობებზე“ გამოუშვან... მაგრამ, რაც შეეხება ზოგადად იდეას, ანუ საქართველოს ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მუშაობას, ეს არ მიმაჩნია სწორ ნაბიჯად, ამაში არ უნდა ვხარჯავდეთ ფულს.

**- ანუ საქართველოს ნაკრებისთვის მწვრთნელი არ არის პრობლემა?**

- ჩვენ ფეხბურთის პრობლემა უნდა დავინახოთ, თორემ მარტო მწვრთნელში რომ იყოს საქმე, ამ პრობლემას ყველა მარტივად გადაჭრიდა. ისეთ მოედნებზე, როგორიც საქართველოშია, სწრაფად და ნორმალურად თამაში შეუძლებელია. როცა ფეხბურთელის ტვინი ეჩვევა ნელ და ნუნიან თამაშს, საერთაშორისო დონეზე რაღას მოახერხებს? კუპერი ან რომელიმე სხვა მწვრთნელი გამოასწორებს ამ პრობლემას? ხშირად უთქვამთ, ქართული ფეხბურთის პრობლემები კომპლექსურად უნდა გადაწყდესო, მაგრამ სად არის ამ კომპლექსის დეტალური ჩამონათვალი და გზა, რომლითაც უნდა გამოსწორდეს სიტუაცია? ეს ყველაფერი ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გააკეთოს...

**- ფედერაცია ატარებს კლუბების ლიცენზირებას, რომელშიც ნორმალური მოედნის ქონა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, მაგრამ ისიცაა, რომ ლიცენზირება უფრო მკაცრად რომ ჩატარდეს, ეროვნული ჩემპიონატის გამართვა სათუო გახდება...**

- პრიორიტეტები უნდა გამოიკვეთოს. ანუ, ჯერ ყველაზე მწვავე საკითხები უნდა მოგვარდეს და მერე ნელ-ნელა სხვა პრობლემებსაც მიეხედება.

**- სტადიონების რეკონსტრუქციასა და ახლის აშენებას ითვალისწინებს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ჯერჯერობით ვერ ხორციელდება - ქვეყნის ბიუჯეტს საამისო სახსრები არ აქვს. ჯერჯერობით სახელმწიფო მხოლოდ იმით ეხმარება ფეხბურთს, რომ უცხოელი მწვრთნელის ხელფასს ისტუმრებს. თქვენ მმართველი პარტიის წევრი ხართ და უფრო ღრმად იქნებით ამ საკითხში ჩახედული. როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?**

- არ მაქვს საიმისო ბერკეტები, რომ ამ მხრივ რაიმე შევცვალო. არც პრეზიდენტთან შემიძლია შეხვედრა და არც პრემიერ-მინისტრთან, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას კი გაცილებით მეტი საშუალება აქვს, შეხვდეს ქვეყნის უმაღლეს პირებს და ფეხბურთის პრობლემებზე ესაუბროს.

**- და თუ ასე მოხდება, გაქვთ იმედი, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვლება უკეთესობისკენ?**

- პრობლემების გადაჭრის გზები არგუმენტებით უნდა იყოს გამყარებული და თუ ასე იქნება, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის პრეზიდენტი ფეხბურთისკენაც გამოუშვებს თანხებს. სადავო არ არის, რომ ქართული ფეხბურთი რეგრესს განიცდის და გამოსავლის მოძებნაზე ფიქრია საჭირო.

**- საქართველოს ჩემპიონატში არის რამდენიმე კლუბი, სახელმწიფო ბიუჯეტი რომ აფინანსებს ან სახელმწიფოს დახმარებით რომ ფინანსდება. აქ როგორ უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები? ფაქტია, სახელმწიფო აფინანსებს ზოგ კლუბს, თუმცა დახმარებას მისგან სხვებიც ითხოვენ, ფული ზოგისთვის არის, ზოგისთვის ცოტაა, ზოგისთვის კი არაფერი...**

- ესეც პრობლემური საკითხია და სიმართლე გითხრათ, არ მიფიქრია იმაზე, თუ რა პრინციპით უნდა მოხდეს კლუბებისთვის ფულის გამოყოფა. ამ საკითხზე სახელმწიფომ კონსულტაცია ფეხბურთის ფედერაციასთან უნდა გაიაროს.

**- ყველამ კარგად იცის, თუ რა მოხდა 2005 და 2007 წელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე. გაქვთ სურვილი, ერთხელაც წამოაყენოთ საკუთარი კანდიდატურა? დარწმუნებული ხართ, რომ მომავალ არჩევნებზე მაინც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ვინაობას საფეხბურთო სამყარო გაარკვევს?**

- არ ვიცი, ისევ ვიქნები თუ არა ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი, მთავარია, მშვიდობა იყოს. ისე კი, იმის მომხრე ვარ, რომ საფეხბურთო სამყარომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, ვინ უნდა იყოს ფედერაციის პრეზიდენტი.

**- თქვენი სახელობის საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ, თუმცა ფეხბურთში აქტიურად არ საქმიანობთ...**

- საკუთარი თავი უფეხბურთოდ ვერ წარმომიდგენია, პირველი ლიგის მატჩებზეც კი დავდივარ. ჯერ არ ვიცი, როდის და რა ფორმით ჩავერთვები აქტიურად საფეხბურთო ცხოვრებაში, მაგრამ ამის სურვილი კი ნამდვილად მაქვს.

**- რაც ფეხბურთელობას შეეშვით, როგორ ფიქრობთ, შეცდომა არ დაგიშვიათ?**

- ცხოვრებაში შეცდომები ყველას მოსდის, თუმცა არის უხეში, გამოუსწორებელი შეცდომები და ვფიქრობ, რაც ფეხბურთელობას თავი დავანებე, ისეთი არაფერი გამიკეთებია, რაც არ უნდა გამეკეთებინა...

**დავით თავართქილაძე**

კაპიტნის ჟესტი



## კახა კალაძე

# დროა, გაუგებრობას წერტილი დაესვას

**კახა კალაძესა** და „ლელოს“ შორის მომხდარი უსიამოვნების დასაძლევად საქართველოს ნაკრების კაპიტანმა პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა. ცნობილი ამბების შემდეგ მასთან დაკავშირებას ვერ ვახერხებდით. უშუალო საუბრის გარეშე კი ერთ გაუგებრობას მეორე მოჰყვა და დაპირისპირება ზღვარს გადასცდა, შეიძლება ითქვას, ზედმეტადაც კი, მაგრამ ცხადია, არა ჩვენი მიზეზით.

საბედნიეროდ, უსიამოვნებას წერტილი დაესვა. ყველაფერი მარტივად მოხდა - კალაძეს შეტყობინება გავუგზავნე, რათა რაღაცნაირად ყინული დამძრულიყო, ცოტა ხნის შემდეგ კი თავად დამიკავშირდა. ადამიანურმა საუბარმა დაპირისპირება მაშინვე განმუხტა...

- მალე თბილისში ჩამოვალ და მსურს, ჩვენ შორის უსიამოვნებას წერტილი დავუსვათ. მგონი მიცნობთ და იცით, რომ კონფლიქტური არ ვარ. არც ერთ ადამიანთან, თუნდაც იმავე მასმედიასთან დაპირისპირების სურვილი არასდროს მქონია. კრიტიკაც არ მიკვირს. 15 წელიწადია ფეხბურთს ვთამაშობ და ბუნებრივია, ხან შემაქებენ, ხან გამაკრიტიკებენ. ამას დიდი ხანია მიჩვეული ვარ. ჩვენს შემთხვევაში კი დასანანია, რომ ემოციებმა იძალა და არაფრისგან დაძაბულობა წარმოიქმნა. მთავარია, ეს გაუგებრობა დასრულდეს.

**- კახა, ჩვენც ეს გვსურს. იდეალური არავინაა, ორივე მხარე ემოციებს ავყევით, მაგრამ უსიამოვნება არავის უხარია...**

- რა თქმა უნდა. მოკლედ, წერტილი დავსვათ. ასე აჯობებს. მალე თბილისში ჩამოვალ და ადამიანურად მოვაგვაროთ ეს საქმე.

*...როგორც ცნობილია, კახამ ბელგიაში მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ბუნებრივია, ამ თემას გვერდს ვერ ავუქცევდით.*

**- მკურნალობას როდის ამთავრებ?**

- ჯერ კიდევ ყავარჯნებით დავდივარ, მაგრამ ვარჯიშს მალე დავიწყებ.

**- მოედანს როდის დაუბრუნდები?**

- ალბათ, მარტის ბოლოს.

...კაპიტნის ზარი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, ვერც მომავალ სანაკრებო თამაშებზე ვკითხე და ვერც სხვა მნიშვნელოვან თემებზე. ამ შემთხვევაში ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი წმინდა ადამიანური ურთიერთობებია. ღვთის წყალობით, ეს ურთიერთობები აღდგა. შერიგება ყოველგვარი გაუგებრობისთვის ყველაზე ეფექტური წამალია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# დავით თარგამაძე სამწუხაროდ, კვიპროსში ვერ ვითამაშებ

მიმდინარე სეზონში დავით თარგამაძემ გერმანიის მეორე ლიგის ლიდერ „ფრაიბურგის" შემადგენლობაში რამდენიმე შეხვედრა გამართა. ნელ-ნელა გუნდის მთავარი მწვრთნელი 19 წლის ქართველ ნახევარმცველს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს. ამას გარდა, კახა ცხადაძემ ის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვია, თუმცა... მოდით, თავად ფეხბურთელს მოვუსმინოთ...

**- დავით, წელს „ფრაიბურგში" არცთუ ცოტაჯერ გათამაშეს. ეტყობა, მწვრთნელი უკვე გენდობა...**

- სეზონში უკვე მეოთხედ ვითამაშე შეცვლაზე. ჩემთვის ესეც ძალიან კარგია, გუნდსა და გერმანული ფეხბურთის მოთხოვნებს ნელ-ნელა ვეგუები. მწვრთნელმა ბოლოს „ალემანიასთან" თავდასხმაში მათამაშა, სულ რაღაც 10 წუთით... საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში კი მქონდა კმაყოფილების საბაბი. დრო მცირე იყო, მაგრამ მგონი, კარგად ვითამაშე.

**- მართალია, თითქოს კვიპროსის ახალგაზრდულ ნაკრებთან ვერ ითამაშებ?**

- სამწუხაროდ, ასეა, ვერ ჩამოვალ. ვიზა ვერ გავკეთდა. მითხრეს, ჰამბურგში ჩადი და იქ აიღეო. ჰამბურგი კი ფრაიბურგიდან 9 საათის სავალზეა. გუნდიდან, ფაქტობრივად, ორი დღით უნდა გავთავისუფლებულიყავი. მერე, ისიც არ ვიცოდი, ჰამბურგში სად და ვისთან უნდა მივსულიყავი, ცალკე იქ უნდა დამეკარგა დრო და სავარჯიშო პროცესიდან ამოვვარდებოდი... მოკლედ, ვერანაირად ვერ მოხერხდა ვიზის აღება და ჩემდა სამწუხაროდ, ახალი მწვრთნელის პირველივე მატჩის გაცდენა მომიწევს. კვიპროსში ჩასვლას ვინ ჩივის, ნეტავ, 1-ელი აპრილისთვის მაინც ვიყო თბილისში...

**- მართლაც სამწუხაროა... „ფრაიბურგში" ადაპტაცია გაიარე?**

- რა თქმა უნდა, ახლა ყველაფერი კარგად აეწყო და თავს უკვე შინაურად ვგრძნობ. თუმცა ადაპტაციის პროცესი მაინც ძნელი იყო. საქართველოში რომ ხარ ფეხბურთს მიჩვეული, გერმანულზე გადასვლა ძალიან რთულია. აქ ყველაფერი სხვაგვარადაა.

**- გამოდის, რომ უკვე „გერმანელი" ხარ?**

- ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. დღეისთვის რაც ვისწავლე, ეს არაფერია.

**- „ფიზიკაშიც" მოუმატებდი...**

- კი, ტრენაჟორებმა ძალიან მიშველა, ჯანი აშკარად მომემატა.

**- ცალკე პროგრამით გავარჯიშებდნენ თუ ჩვეულებრივ, სხვა თანაგუნდელების მსგავსად?**

- პერსონალური პროგრამა დამინიშნეს. ტრენაჟორების გარდა, იყო კიდევ რაღაც-რაღაცები.

**- მაგალითად, ვიტამინები?**

- დიახ, ვიტამინებსაც ვილებდი და ამ ყველაფრის შემდეგ თავს აშკარად უკეთესობას ვატყობ. ამიტომაც მათამაშებენ.

**- სისწრაფე ისედაც არ გაკლდა. სპეციალური ვარჯიშებით ამ მხრივაც მოუმატე?**

- გერმანიაში ვარჯიშობდე და არ განვითარდე, ასეთი რამ არ არსებობს. აქ საამისოდ ყველანაირი პირობაა. ნეტავ, ბევრი ქართველი ვარჯიშობდეს ასეთ პირობებში, სულ სხვა დონის ჩემპიონატი გვექნებოდა, აღარაფერს ვამბობ ნაკრებ გუნდებზე. მართლაც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოლთა წვიმა, მაგრამ...

ქვემოთ ქართული ლეგიონის ამ უქმე დღეების მიმოხილვას შემოგთავაზებთ, მაგრამ მიმოხილვაში ვერ მოხვდა ვერც ერთი ქართული გოლი - საქმე იმაშია, რომ ქართული გოლები (თანაც უხვად) ისეთ ლიგებში გავიდა, რომელთა მიმოხილვასაც ხვალ შემოგთავაზებთ. ერთი პირობა ისიც ვიფიქრეთ, პირიქით ხომ არ გაგვეკეთებინა... მაგრამ ტურნირის დონესაც ხომ აქვს მნიშვნელობა...

მოკლედ, ჰეთ-თრიკით თავი სკონტოელმა (ლატვია) ლადო დვალიშვილმა გამოიჩინა, ორი გოლი სალიანის „მუღანის" (აზერბაიჯანი) ფორვარდის, გივი ჩხეტიანის ანგარიშზეა, გოლები გაიტანეს: ზურაბ მენთეშაშვილმა („ვენტსპილსი", ლატვია) და ჯაბა დვალმა („დაჩია", მოლდოვა). რუსეთში კი ჩემპიონატი დაიწყო და ორი-სამი ჩვენებური უკვალოდ „გაქრა".

## ოთხი თვის შემდეგ... ნახევარდაცვაში

რაც სემ ელერდაისი „ბლექბერნ როვერსის" დამრიგებელია **ზურაბ ხიზანიშვილმა** პირველად ითამაშა პრემიერლიგაში. ბოლოს ეს 15 ნოემბერს მოხდა, ანუ საქართველოს ნაკრების მცველმა ზუსტად ოთხი თვის თავზე ითამაშა. თამაშის წინ გუნდის ახალზელანდიელ კაპიტან **რაიან ნელსენს** საზარდული დაეჭიმა, თუმცა ზურას მის ადგილზე არ უთამაშია, ელერდაისმა იგი საყრდენ ნახევარმცველად გაამწესა და საერთოდაც ძალიან დაცვითი ტაქტიკა ირჩია. მაგრამ „არსენალთან" მის ბრწყინვალე ახალწვეულ **ანდრეი არშავინთან** ვერც ამ ტაქტიკამ გაჭრა - 0:4. ხიზანიშვილი (4 მატჩი პრემიერლიგაში) 66-ე წუთზე (2:0-ზე) **ბენი მაკარტიმ** შეცვალა. 37-ე წუთზე ზურამ უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. ამ თამაშში ჩვენებური სამჯერ დაჯარიმდა, ერთხელ კი მასთან ორთაბრძოლისას იუხეშეს. goal.com-მა ჩვენს თანამემამულეს 4-იანი დაუწერა: „სტუმართა საკმაოდ მჭიდრო ნახევარდაცვის წევრი იყო, თუმცა ვერას გახდა და „არსენალის" სწრაფ თამაშს ალღო ვერ აუღო".

ტრავმის შემდეგ პირველად გამოჩნდა **ლევან მჭედლიძე** (6 თამაში, 1 გოლი), ჯერჯერობით - სათადარიგოთა სკამზე. „პალერმოს" კი მის გარეშეც არ გასჭირვებია „ლეჩეს" დარბევა - 5:2. ბუნებრივია, არც **კახა კალაძეს** (11 თამაში) უთამაშია სიენაში 5:1 მოგებულ მატჩში. „მილანი" 54 ქულით მესამე ადგილზეა, „პალერმო" 42-ე ქულით მეშვიდეა.

## ალტერნატივაზეც იფიქრეთო...

ბუნდესლიგის პარასკევ ღამის მატჩს დავუბრუნდეთ, **ლევან კობიაშვილი** (19 თამაში) ფეხს იტკიებდა, როცა იგი „ვოლფსბურგთან" მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვალეს. საბედნიეროდ, საგანგაშო არაფერია. „შპორტალმა" ჩვენს თანამემამულეს 4 ქულა დაუწერა. გერმანული საიტი „სპოქსი" აღნიშნავს, რომ „ლევან კობიაშვილი ფლანგის კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მან უნდა მოუმატოს. ეს არ არის ლევანის საუკეთესო სეზონი, თანაც ის უკვე 31 წლისაა და, დროა, „შალკემ" ალტერნატივაზეც იფიქროს".

რაც დრო გადის, სულ უფრო მძიმდება **ალექსანდრე იაშვილის** (16 თამაში 1 გოლი) „კარლსრუეს" მდგომარეობა. მორიგ ტურში გუნდი შინ 0:1 დამარცხდა უშუალო კონკურენტ „არმინიასთან". „კარლსრუე" 17 ქულით გამოკვეთილი აუტსაიდერია და სამშვიდობოს უკვე 5 ქულა აშორებს. ჩვენებური **ანტონიო და სილვას** ნაცვლად 73-ე წუთზე ვიხილეთ სამტურიანი შესვენების შემდეგ.

**დავით თარგამაძის** (4 თამაში) „ფრაიბურგმა" სტუმრად წააგო „დუისბურგთან", თუმცა 48 ქულით პირველ ადგილზე დარჩა. ქართველი ნახევარმცველი ამჯერად სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა. დღეს **ლევან ცქიტიშვილის** „ვისბადენი" „მაინცს" მასპინძლობს. ბადენურ დერბის სამწუხაროდ, ჩვენი ნახევარმცველი უცილობლად დააკლდება - მას მარცხენა ფეხის კუნთი აქვს დაჭიმული.



ზურაბ ხიზანიშვილი (ბურთით) არსენალთან მატჩისას



ალექსიძე ბურთისთვის ბრძოლაში



ჯაბა კანკავა

## თადარიგის ფორვარდები

უნგრულ შოპრონილიგის მე-19 ტურში ქართული „დიორი ეტო" აუტსაიდერ „რაკოშპალოტაის" ეწვია და 0:0 დაუზავდა. **დავით ოდიკაძემ** სრულად ითამაშა, ხოლო **რატი ალექსიძე** შესვენების შემდეგ გამოჩნდა **პეტერ ბაჟატის** ნაცვლად. **დავით იმედაშვილის** „სპარტაკუსი" ნიდერიჰაზადან სტუმრად ლიდერ „დებრეცენისთან" განადგურდა - 0:4. იმედაშვილმა შეუცვლელად ითამაშა. „სპარტაკუსი" 24 ქულით მეცხრე ადგილზეა, „დიორი ეტო" 22 ქულით მე-11 ადგილზეა.

გამბრინუსლიგაში პლზენის „ვიქტორია" 0:0 დაუზავდა „პჟიბრამს". **დიმიტრი ტატანაშვილმა** (14 თამაში, 1 გოლი) 61-ე წუთზე შეცვალა **ირჟი მლიკა**. იგი ერთხელ თავურით დაემუქრა მეტოქის კარს. „ვიქტორია" 23 ქულით მე-11 ადგილზეა.

დანიურ სასლიგაში **დავით დევდარიანის** (3 თამაში) „ორჰუსი" ერთ-ერთ ლიდერ „ბრონდბიუს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. ქართველმა ლეგიონერმა 90 წუთი ითამაშა. „ორჰუსი" 26 ქულით მე-6 ადგილზეა. დევდარიანმა ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა.

საქართველოს ნაკრების ჩასვლამდე ლარნაკაში **თემურ ქეცბაიამ** მოიგო, მისმა „ანორთოსისმა" 3:1 დაამარცხა აეკ-ი. კვლავ არ უთამაშია **კლიმენტი ნიტაიშვილს**. **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა" **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსს" 2:1 მოუგო. მაღრაძემ 90 წუთი ითამაშა. ლევან ქებაძე მეორე ტაიმში გამოჩნდა. „ანორთოსისი" 62 ქულით მესამე ადგილზეა, „აპოლონი" 43 ქულით მეხუთეა, „ეთნიკოსი" 40-ით - მეშვიდე.

## ვეძებთ გრიგალავას და გვაზავას

რუსეთის ჩემპიონმა „რუბინმა" პრემიერლიგა დიდი ანგარიშით გამარჯვებით გახსნა, ყაზანში ქართული ტრიოს გუნდმა კრასნოდარის „ყუბანი" 3:0 გაანადგურა. **ნუკრი რევიშვილმა** წინა დღით ერთი ტაიმი ითამაშა დუბლებში, ძირითად გუნდში კი მხოლოდ **დავით კვირკველია** ვიხილეთ (championat.ru-ს შეფასება - 6). ნუკრი რევიშვილი და **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. ვერ ვიხილეთ **გია გრიგალავას** დებიუტი პრემიერლიგაში მისი „მოსკვა" დერბიში 0:1 დამარცხდა „დინამოსთან", ქართველი მცველი კი განაცხადშიც არ ყოფილა. ბოლოს გიას „მოსკვას" ტესტმატჩებშიც არ უთამაშია. „ამკარის" რიგებში ტყუილად ველით **ვალერი აბრამიძის** გამოჩენას, ეტყობა, ქართველმა მცველმა თავი ვერ მოაწონა პერმელთა ხელმძღვანელობას და იგი ბარნაულის „დინამოს" გაჰყვა თურქულ შეკრებაზე.

უკვე დაიწყო ქულების კარგვა მოსკოვის „ლოკომოტივმა", **დავით მუჯირის** (შეფასება - 5) გუნდი შინ „ხიმკის" დაუზავდა - 1:1. მუჯირი 79-ე წუთზე **დმიტრი ტორბინსკით** შეცვალეს. ამ მატჩში პირველი სახიფათო მომენტი მუჯირის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა იყო. 34-ე წუთზე კი ჩვენმა თანამემამულემ კარს 3 მეტრიდან ააცილა. **ალექსანდრე ამისულაშვილის** და **გოგიტა გოგუას** „სპარტაკი" გროზნოს „ტერეკს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. ამ შეხვედრაში ქართული დაპირისპირება არ შედგა, მასპინძელთა რიგებში არ უთამაშია **ლევან გვაზავას**. ალექსანდრე ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, გოგიტა გოგუამ - მეორე ტაიმი. 68-ე წუთზე ამისულაშვილი გააფრთხილეს.

## გოცირიძემ მოიპოვა, კანკავა გააძევეს

ზაპოროჟიეში „მეტალურგის" წინააღმდეგ სათამაშოდ ლიდერმა „დინამომ" თან არ წაიყვანა **მალხაზ ასათიანი**. სტუმრებმა ეს მატჩი 3:1 მოიგეს. „დნიპროს" კრიზისი გრძელდება, ქართველთა გუნდმა შინ „ილიჩივეცი" ვერ დაამარცხა - 0:0. **ჯაბა კანკავამ** ამ შეხვედრის 76-ე წუთამდე გაძლო, შემდეგ კი იგი უხეში ვარდნისთვის გააძევეს (17 წუთით ადრე ანალოგიური დარღვევისთვის ქართველი ლეგიონერი გააფრთხილეს). პირველად ითამაშა „დნიპროს" სასტარტო შემადგენლობაში **ბექა გოცირიძემ**. 41-ე წუთზე ქართველი თავდამსხმელის წაქცევისთვის სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ **მაქსიმ კალინიჩენკომ** გოლკიპერს ვერ აჯობა. ბექა 56-ე წუთზე შეცვალეს.

„კარპატიმ" კვლავ დიდი ანგარიშით იმარჯვა, ამჯერად ლვოველებმა „კრივბასი" გაანადგურეს - 3:0. **სანდრო გურული** 68-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე სანდრო ორჯერ დაემუქრა სტუმართა კარს. კიევის „არსენალისა" და სიმფეროპოლის „ტავრიას" შეხვედრა უამინდობის გამო არ გამართულა. ლუგანსკის „ზარია" სტუმრად 0:3 დამარცხდა დონეცკის „მეტალურგთან". **გიორგი ციმაკურიძე** განაცხადში არ ყოფილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსალოდნელი დანიშვნა

## ოლიმპიაკოსს და პანიონიოსს ქეცბაია სურთ

ბერძნული მედიის ცნობით, ახალი სეზონისთვის **თემურ ქეცბაიას** ორი იქაური კლუბი ეპატიჟება: „ოლიმპიაკოსი" და „პანიონიოსი". ჯერჯერობით, „ანორთოსისის" ხელმძღვანელობა ამ ინფორმაციას ჭორად ასაღებს. მათი თქმით, საბერძნეთიდან თემურით არავინ დაინტერესებულა. ცნობისთვის, „ოლიმპიაკოსი" 62 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, „პანიონიოსი" კი 30 ქულით მეათე ადგილზეა.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია. სერია A. XXVIII ტური



# ინძაგის 300 და დუბლების დღე

ამ ტურს ორი რამ გასდევდა ლაიტმოტივად - ერთი, რომ შუა კვირაში სამივე იტალიური კლუბი გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას და კალჩოს სამყაროში დიდი პოლემიკა ატყდა, რა გვჭირსო, სერიოზულად დაფიქრდნენ. იტალიურ საკლუბო ფეხბურთში მართლაც ვერ არის საქმე კარგად (ევროტურნირებს მხოლოდ „უდინეზე" შემორჩა) და ამაზე დიდი ხანია ბჭობენ, თუმცა რაიმე კონკრეტული მიზეზი ვერც ამჯერად დასახელდა, **მარჩელო ლიპიმ** კი ასეთი რამ დააბრეხვა - მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, ჩვენი კლუბები ინგლისურებს სჯობიანო (შეგახსენებთ, სამივე აპენინური გუნდი ბრიტანელთა მსხვერპლად იქცა)...

...და მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა - ეს იყო ერთგვარად **რობერტო ბაჯოს** ტური. ამ უქმეებზე ორი ისეთი მატჩი ჩატარდა, ერთმანეთს „ცხენისკუდას" გუნდები რომ ხვდებოდნენ - შაბათს „იუვენტუსმა" „ბოლონიას" უმასპინძლა, კვირას კი ტური „ინტერისა" და „ფიორენტინას" დაპირისპირებამ დაასრულა.

ტურინულ მატჩს წინ უძღოდა დაპირისპირება **კლაუდიო რანიერისა** და **დავიდ ტრეზეგეს** შორის, რაც „ჩელსისთან" საპასუხო მატჩისას ფრანგი ფორვარდის შეცვლას მოჰყვა. „ტრეზეგოლი" ფრიად ნაწყენი დარჩა და პრესაში მწვრთნელი გააკრიტიკა კიდეც. ვალში არც რანიერი დარჩა. აი, მისი პატარა კომენტარი: *„დავიდი შეცდა. ვფიქრობდი, რომ ჩვენ შორის ისეთი ურთიერთობა იყო, მის მოსაზრებებს მაინცდამაინც გაზეთებიდან არ გავიგებდი. დღევანდელი გადასახედიდან ძნელია იმის თქმა, რა მოხდება ამ დღეებში".*

რანიერიმ ინტრიგა დატოვა. ჯერჯერობით კი სანქცია იმაში გამოიხატა, რომ „ბოლონიასთან" მატჩისთვის ტრეზეგე განაცხადს მიღმა აღმოჩნდა. მწვრთნელის თქმის არ იყოს, რა იქნება ამის მერე, მართლაც ძნელი საპროგნოზოა, თუმცა ერთიცაა - **ამაურის** ოთხი კვირა მოუწევს დასვენება და რანიერი იძულებელი იქნება, ტრეზეგეს შეურიგდეს. აკი თქვა კიდეც შაბათის მატჩის შემდეგ - კონფლიქტი ამოწურულიაო. მაგრამ იმ საღამოს ის კარგ ხასიათზე იყო. მისმა გუნდმა **სინიშა მიხაილოვიჩის** სამწყსოსთან „ტაიმბოლი დასვა" - პირველ ტაიმში დამარცხდა, მეორე ნახევარში კი მეტოქეს 4 უპასუხო გოლი მიართვა. „ბიანკონერის" კვლავაც მყარი მეორე ადგილი უჭირავს. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბოლო 15 წუთი, როცა „ბოლონია" 10 კაცით დარჩა. იმ მომენტში, როცა ცენტრალურმა მცველმა **ბრიტოსმა** ტრავმა მიიღო და თამაში ველარ გააგრძელა, მიხაილოვიჩს სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა. სტუმართა უკანა ხაზმა განწყობა ვერ მოასწრო, ამით **დელ პიერომ** ისარგებლა და დუბლი მიითვალა. კაპიტანს ჰეთ-თრიკის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მისი შორეული დარტყმა ძელს მოხვდა.

აუცილებლად უნდა ვთქვათ **ჯოვინკოზეც**, რომელმაც არანაკლები როლი ითამაშა ტურინელთა ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაში. 71-ე წუთზე, სწორედ მან დააწინაურა „იუვე" **მარკიზიოს** გრძელი გადაცემის შემდეგ, ხოლო თამაშის მიწურულს რანიერიმ ჯოვინკოსაც და დელ პიეროსაც აპლოდისმენტები უძღვნა. უნდა ითქვას, რომ მწვრთნელის მხრიდან ეს აუცილებელი ჟესტი იყო ტრეზეგესთან ვითომ ამოწურული კონფლიქტის ფონზე...

„ინტერმა" 2:0 მოუგო „ფიორენტინას" და „იუვენტუსთან" 7-ქულიანი დისტანცია შეინარჩუნა. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილი „ნერაძური" ტიფოზების მხრიდან სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ბევრმა **ჟოზე მოურინიოს** გადადგომაც მოითხოვა. მოგეხსენებათ, **მასიმო მორატიმ** ის ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ჩამოიყვანა, მაგრამ „განსაკუთრებული კაცი", ჯერჯერობით, განსაკუთრებელს არაფერს აკეთებს - მედიასა და კოლეგებთან ალბიონზეც ჰქონდა შეხლა-შემოხლა (ბოლოს ანჩელოტის წაეკიდა, ფაქტობრივად, არაფრის გამო), აქ კი მისი „ინტერი" ისეთივე ლიდერია, როგორიც თავის დროზე **რობერტო მანჩინის** გუნდი იყო... ასე რომ, ჟოზემ სკუდეტო მაინც უნდა მოიგოს, თორემ ზაფხულში პოსტის დატოვება მოუწევს. ახლა მთელი რესურსი ჩემპიონობისთვის ბრძოლას უნდა შეალიოს...

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, უნდა ითქვას, რომ „ფიორენტინა" წასაგებად ცოდო იყო. **ჩეზარე პრანდელისაც** რომ ჰყოლოდა **იბრაჰიმოვიჩის** დარი დამრტყმელი, იცოცხლეთ, მაგრამ... სამაგიეროდ, მოურინიოს ჰყავდა კარში **ჟულიო სეზარი**, რომელსაც „ინტერის" გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. მატჩის მიწურულს არბიტრმა ჟოზე ტრიბუნაზე მიაბრძანა. ერთ-ერთ ეპიზოდში კი რეფერის წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა ინტერელი **სანტონისთვის**...

ევროტურნირიდან გავარდნილმა „მილანმაც" მთელი ძალები სერია A-ს ფრონტზე გადაისროლა. **კარლო ანჩელოტის** ამოცანათა ნუსხა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებამდე შემცირდა. მანამდე კი გვარიანად შეთხელებულმა „როსონერიმ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და ისევ დიდი ანგარიშით, 33 წლის **ინძაგის** კი მეორე სუნთქვა გაეხსნა - ბოლო ორ მატჩში მან 5 (!) გოლი ჩაიწერა აქტივში, ხოლო „მონტეპასკი-არენაზე" კვირას გატანილი მეორე ბურთი მის პროფესიულ კარიერაში მე-300 აღმოჩნდა.

**ოლივერას** მიერ მატჩის ბოლო წუთებზე გატანილმა გოლმა „ჯენოას" სარდინიაზე მოაგებინა. ენა არ მოგვიბრუნდება იმის სათქმელად, თითქოს გენუელებმა დაუმსახურებელი გოლი შეაგდეს ან სულაც გამარჯვება არ ეკუთვნოდათ. მატჩის დიდ ნაწილში **ჯამპიერო გასპერინის** გუნდი მასპინძელზე უკეთესი იყო და 3 ქულისთვის ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. მაგრამ მეორე მხრივ, როგორ არ გავიხსენოთ 38-ე წუთი, როცა არბიტრმა **ანდრეა ჯერვაზონიმ** სრულიად უსამართლოდ უჩვენა მეორე ყვითელი ბარათი მის სეხნია კალიარელ ნახევარმცველ **კოსუს** და სარდინიელები უმცირესობაში დატოვა... ასე იყო თუ ისე, „ჯენოამ" მოიგო და კვლავაც სერიოზულად უმიზნებს ჩემპიონთა ლიგას. „კალიარის" კი წარმატებული სერიის შემდეგ ეტყობა ვარდნა დაეწყო - **მასიმო ალეგრის** გუნდმა ოთხი ტური განვლო მოუგებლად...

კვირას ორი სამწვრთნელო დებიუტი შედგა. თუ „ნაპოლიში" მისულმა **რობერტო დონადონიმ** რეჯოკალაბრიიდან ქულა მაინც წაიყო, „ლეჩეს" თავკაცის პოსტზე **ლუიჯი დე კანიოს** პირველივე მატჩი მისთვის კოშმარული გამოდგა - „პალერმომ" 5:2 გაიმარჯვა თამაშში, რომელშიც **ლევან მჭედლიძე** განაცხადში იყო. რაც შეეხება დონადონის დებიუტს, ესეც მარცხიანი იქნებოდა, რომ არა ნეაპოლელთა მეკარე **ნავარო**, ვინაც ბოლო წუთზე **სტუანის** სასწაული ბურთი აუღო. ასე რომ, კამპანიელთა 10-მატჩიანი მოუგებელი სერია ჯერჯერობით ვერც დონადონიმ შეწყვიტა.

საოცარი ამბები ხდება „ლაციოს" თავს. ზედიზედ 3 გამარჯვების (პლუს მეოთხეც, იტალიის თასზე „იუვენტუსთან") შემდეგ **დელიო როსის** ბიჭებმა შინ სამარცხვინოდ (0:3) წააგეს ერთ-ერთ აუტსაიდერ „კიევოსთან", რომლისთვისაც ეს ზედიზედ მეორე გასვლითი მოგება იყო.

საერთოდ, შაბათ-კვირას დუბლების დღე გახლდათ - ათმა ფეხბურთელმა ორ-ორი გოლი გაიტანა. ასე მაგალითად, **პაცინისა** და **ბაპტიშტას** დუბლებით „სამპდორიამ" და „რომამ" 2:2 ითამაშეს („ჯალოროსისთვის" ეს ზედიზედ მესამე ფრე იყო), **ფლოკარის** ორი ზუსტი გასროლა კი „ატალანტასთვის 3 ქულის გარანტია აღმოჩნდა „ტორინოსთან" დაპირისპირებაში...

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

21 მარტი. **კატანია-ლაციო, რომა-იუვენტუსი.** 22 მარტი. **კიევო-პალერმო, ლეჩე-ატალანტა, ჯენოა-უდინეზე, ფიორენტინა-სიენა, ტორინო-სამპდორია, ინტერი-რეჯინა, ბოლონია-კალიარი, ნაპოლი-მილანი.**

### კალიარი-ჯენოა 0:1

**კალიარი:** მარკეტი-7, მატიო-6 (88. რაგაცუ), ლოპესი-6, კანინი-6, აგოსტინი-6.5, ფინი-7, კონტი-6.5, ბიონდინი-6.5 (72. ლაძარი-6.5), კოსუ-6, ჟედა-6, აკვაფრესკა-5.5 (67. მატრი-6).

**ჯენოა:** რუბინიო-7, პაპასტატოპულოსი-6.5, ბოკეტი-7, კრიშიტო-6.5, მ. როსი-7 (72. პალადინო-7), იურიჩი-7, მილანეტო-6.5, მესტო-6 (63. ოლივერა-7), სკული-6 (76. მოდესტო), მილიტო-6.5, იანკოვიჩი-6.

**გოლი:** 0:1 ოლივერა (85)

**გაძევება:** კოსუ (39. კალიარი)

**გაფრთხილება:** 0-5; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 9-22; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 11-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 16 000

### იუვენტუსი-ბოლონია 4:1

**იუვენტუსი:** ბუფონი-6.5, გრიგერა-6, მელბერგი-6, კიელინი-6, მოლინარო-6, სალიჰამიჯიჩი-6.5, მარკიზიო-6, ტიაგო-5.5 (46. პოულსენი-6), ჯოვინკო-7 (88. დაუდი), იაკინტა-6, დელ პიერო-7 (90. იმობილე).

**ბოლონია:** ანტონიოლი-6.5, ძენონი-5, ბრიტოსი-6.5, ტერცი-6, ლანა-5.5, ბომბარდინი-6 (74. ოსვალდო), მუტარელი-6.5 (52. ამოროზო-5.5), ვოლპი-6, მუდინგაი-5.5, ვალიანი-6 (62. ადაილტონი-5.5), დი ვაიო-6.

**გოლები:** 0:1 მუტარელი (24), 1:1 სალიჰამიჯიჩი (48), 2:1 ჯოვინკო (71), 3:1 დელ პიერო (75), 4:1 დელ პიერო (87)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 22-23; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 28-8 (10-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 18 000

### სიენა-მილანი 1:5

**სიენა:** კურჩი-5, სუნიგა-5, პორტანოვა-5.5, ბრანდაუ-6 (49. ფიკანია-5.5), დელ გროსო-6, ბარუსო-6, კოდრეა-5, ვერგასოლა-6, ხარჯა-5.5, კალაიო-5 (70. ამორუზო), მაკარონე-7.

**მილანი:** აბიატი (12. დიდა-6), ძამბროტა-6, მალდინი-6.5, ფავალი-6, იანკულოვსკი-5.5, ფლამინი-6.5, პირლო-7, ამბროზინი-6 (46. კაკა-6.5/72. რონალდინიო-6.5), ბექჰემი-6.5, პატო- 7.5, ფ. ინძაგი-8.

**გოლები:** 0:1 პირლო (7-პენ), 0:2 ფ. ინძაგი (48), 0:3 პატო (55), 1:3 მაკარონე (62), 1:4 ფ. ინძაგი (71), 1:5 პატო (78)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 16-20; **თამაშგარე:** 6-9; **კარში დარტყმა:** 16-7 (3-5); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 14 085

### სამპდორია-რომა 2:2

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, კამპანიარო-6.5, ლუკინი-6, რაჯი-6, სამარკო-6.5, სტანკევიჩუსი (25. პადალინო-6.5), პალომბო-6, დ. ფრანჩესკინი-6.5 (82. ბელუჩი), პიერი-6, პაცინი-7.5, კასანო-7.

**რომა:** ა. დონი-6, დიამუტენი-5.5, პანუჩი-6, რიისე-5.5, მ. მოტა-5, პისარო-6, ბრიგი-6, ტონეტო-6.5, მენეზი-4 (78. კრეშენცი), ბაპტიშტა-7, ვუჩინიჩი-4 (90. მონტელა).

**გოლები:** 0:1 ბაპტიშტა (7), 1:1 პაცინი (25), 2:1 პაცინი (43), 2:2 ბაპტიშტა (70-პენ)

**გაძევება:** მ. მოტა (62. რომა)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 25-21; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 22-7 (7-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 480

### ლაციო-კიევო 0:3

**ლაციო:** მუსლერა-6, ლიხტშტაინერი-5, სივილია-4, კრიბარი-4.5 (81. როზენალი), კოლაროვი-4, ბროკი-5 (46. მაური-5), კ. ლედესმა-4.5, მათუსალემი-5.5, ფოჯა-6.5, პანდევი-5 (46. როკი-6), სარატე-5.

**კიევო:** სორენტინო-6.5, ნ. ფრეი-7, მორერო-6, იეპესი-7, მანტოვანი-6.5, ლუსიანო-6.5 (72. კოლუჩი-6.5), რიგონი-6, მარკოლინი-6.5, პინცი-7, პელისიერი-8 (86. სარდო), მაკინვა (20. ბოგდანი-6.5).

**გოლები:** 0:1 ბოგდანი (27), 0:2 პელისიერი (28), 0:3 პელისიერი (84)

**გაძევება:** კოლაროვი (65. ლაციო)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 6-5; **კარში დარტყმა:** 16-9 (5-7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 29 000

### პალერმო-ლეჩე 5:2

**პალერმო:** ამელია-6,5, კასანი-6, კიაერი-7, ბოვო-6, ბალცარეტი-6.5, მილიაჩო-6, ლივერანი-6.5, ნოჩერინო-6 (80. ჯოვ. ტედესკო), სიმპლისიუ-7.5, მიკოლი-6.5 (65. სავინი-6), კავანი-7 (85. ერნანდესი).

**ლეჩე:** როზატი-5, სკიავი-5.5 (46. კონანი-6), ფაბიანო-5.5, სტენდარდო-5.5, ბაშტა-6 (46. ანჟელო-5.5), მუნარი-5.5, ედინიო-6.5, ვივესი-6, ჯულიატო-6, ტირიბოკი-6.5, კასტილიო-6 (68. კაზერტა-5.5).

**გოლები:** 1:0 კავანი (11-პენ), 1:1 ტირიბოკი (17), 2:1 სიმპლისიუ (18), 2:2 ტირიბოკი (38), 3:2 მიკოლი (41), 4:2 კიაერი (56), 5:2 კავანი (59)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 20-22; **თამაშგარე:** 7-8; **კარში დარტყმა:** 12-14 (7-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 20 000

### ატალანტა-ტორინო 2:0

**ატალანტა:** კონსილი-6.5, დარიჩი-5.5 (46. პელუზო-6), კაპელი-6.5, თ. მანფრედინი-6, ბელინი-7, ხ. ვალდესი-6.5, ჩიგარინი-6.5, გუარენტე-6.5, პადოინი-6, ფლოკარი-7.5, პლასმატი-5 (46' კ. დონი/60. დეფენდი-6).

**ტორინო:** სერენი-6, რივალტა-5.5, ნატალი-6, დელაფიორე-5.5 (67. მ. პიზანო-5), რუბინი-6, აბატე-5, ჯემაილი-6, ბარონე-5, პ. ძანეტი-5 (60. გასბარონი-6), ვენტოლა-5.5 (70. სტელონე), ბიანკი-5.5.

**გოლები:** 1:0 ფლოკარი (46), 2:0 ფლოკარი (72)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 1-8; **ჯარიმა:** 22-30; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 11-10 (5-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 11 000

### უდინეზე-კატანია 1:1

**უდინეზე:** ბელარდი-5.5, ისლა-6, დომიცი-6.5, ფელიპე-6, ლუკოვიჩი-6.5, ობოდო-4.5 (46. გ. დ'აგოსტინო-6.5), ინლერი-6, ასამოა-6, პეპე-5 (46. დი ნატალე-6), ფლორო ფლორესი-6.5, სანჩესი-6 (66. კვალიარელა-7).

**კატანია:** ბიცარი-6,5, პოტენცა-6, სილვესტრე-6, სტოვინი-6, კაპუანო-5.5, იცკო-6, პ. ლედესმა-6.5 (85. ლამა), ბიაჯანტი-6, ჯაკ. ტედესკო-5.5, მარტინესი-5 (82. პაოლუჩი), მასკარა-7 (90. შაკა).

**გოლები:** 0:1 მასკარა (25), 1:1 კვალიარელა (71)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 21-20; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 19-11 (7-4); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 14 000

### რეჯინა-ნაპოლი 1:1

**რეჯინა:** პუჯონი-5.5, ლანძარო-6, კ. ვალდესი-6.5, ჩირილო-6 (69. კრაიჩიკი-5), სესტუ-7.5, კოსტა-6.5, ბარილა-6 (86. სტუანი), კარმონა-6, ბრიენცა-6, კოცა-6.5 (76. დი ჯენარო), კორადი-6.5.

**ნაპოლი:** ნავარო-6, სანტაკროჩე-5.5, კანავარო-6.5, კონტინი-6, არონიკა-6, პაციენცა-6, ბლაზი-6, ბოლიაჩინო-5 (76. მონტერვინო-6), ჰამშიკი-5.5, ლავეცი-6.5, სალაიეტა-6.5 (87. რუსოტო).

**გოლები:** 1:0 კორადი (27), 1:1 ლავეცი (64)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 21-31; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 11-11 (4-2); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 10 000

### ინტერი-ფიორენტინა 2:0

**ინტერი:** [illegible]-7, [illegible]-6.5, სა[illegible]-6, [illegible]-6 (46. [illegible]-5), სანტონი-6.5, ხ. ძანეტი-6, კამბიასო-6, მუნტარი-5.5, სტანკოვიჩი-5.5 (86. [illegible]), იბრაჰიმ[illegible]-7, [illegible]-6 (83. მან[illegible]).

**ფიორენტინა:** ს. [illegible]-6.5, [illegible]-6.5, გამბერინი-6.5, [illegible]-6, ვარგასი-5.5, [illegible]-5.5 (81. დონადელი), კუზმანოვიჩი-5.5 (76. იოვეტიჩი), ფელიპე მელუ-6, მონტოლივო-5.5 (85. ბონაცოლი), ჟილარდინო-6, მუტუ-5.5.

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (11), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (90)

**გაფრთხილება:** 5-1; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 21-20; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 12-15 (8-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 51 535

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 28 | 20 | 6 | 2 | 51-21 | 66 |
| 2. იუვენტუსი | 28 | 18 | 5 | 5 | 47-22 | 59 |
| 3. მილანი | 28 | 16 | 6 | 5 | 51-28 | 54 |
| 4. ჯენოა | 28 | 13 | 9 | 6 | 37-27 | 48 |
| 5. ფიორენტინა | 28 | 14 | 4 | 10 | 38-29 | 46 |
| 6. რომა | 28 | 13 | 7 | 8 | 43-37 | 46 |
| 7. პალერმო | 28 | 13 | 3 | 12 | 39-37 | 42 |
| 8. ლაციო | 28 | 12 | 5 | 11 | 39-40 | 41 |
| 9. კალიარი | 28 | 11 | 6 | 11 | 33-29 | 39 |
| 10. ატალანტა | 28 | 12 | 3 | 13 | 33-31 | 39 |
| 11. ნაპოლი | 28 | 10 | 6 | 12 | 33-33 | 36 |
| 12. უდინეზე | 28 | 9 | 9 | 10 | 38-39 | 36 |
| 13. კატანია | 28 | 9 | 7 | 12 | 29-34 | 34 |
| 14. სამპდორია | 28 | 8 | 9 | 11 | 28-35 | 33 |
| 15. სიენა | 28 | 8 | 7 | 13 | 23-31 | 31 |
| 16. კიევო | 28 | 6 | 9 | 13 | 24-36 | 27 |
| 17. ბოლონია | 28 | 6 | 8 | 14 | 31-46 | 26 |
| 18. ტორინო | 28 | 5 | 9 | 14 | 25-42 | 24 |
| 19. ლეჩე | 28 | 4 | 11 | 13 | 24-46 | 23 |
| 20. რეჯინა | 28 | 3 | 11 | 13 | 22-45 | 20 |

**ბომბარდირები:** 19 - დი ვაიო (ბოლონია); 17 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 15 - ჟილარდინო (ფიორენტინა), მილიტო (ჯენოა); 14 - პატო (მილანი); 12 - ამაური (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე), ფლოკარი (ატალანტა), მუტუ (ფიორენტინა).

## სერია B

### XXX ტური

**ასკოლი-პიაჩენცა** 2:0

**გოლები:** 1:0 ბელინგერი (25), 2:0 ბელინგერი (79)

**ემპოლი-პარმა** 1:4

**გოლები:** 1:0 პოცი (18), 1:1 პაჩი (35), 1:2 მარიგა (41), 1:3 პალოსკი (45), 1:4 მარიგა (59)

**ვიჩენცა-ალბინოლეფე** 0:3

**გოლები:** 0:1 ლანერი (14), 0:2 მადონა (76), 0:3 ლანერი (90)

**მოდენა-ანკონა** 1:0

**გოლი:** 1:0 ჯამპა (70)

**ბარი-აველინო** 3:0

**გოლები:** 1:0 ბარეტო (2-პენ), 2:0 ბარეტო (9), 3:0 კაპუტო (85)

**გაძევება:** ვასკო (60. აველინო)

**ტრიესტინა-ბრეშა** 1:2

**გოლები:** 0:1 ძამბრელა (34), 1:1 დელა როკა (37), 1:2 კარაჩოლო (44)

**ლივორნო-ჩიტადელა** 1:1

**გოლები:** 1:0 პერტიკონე (37), 1:1 ჯერარდი (77)

**გაძევება:** ტეოლდი (44. ჩიტადელა), ვოლპე (88. ჩიტადელა)

**სალერნიტანა-გროსეტო** 2:0

**გოლები:** 1:0 სკარპა (51), 2:0 დი ნაპოლი (81)

**ტრევიზო-პიზა** 0:2

**გოლები:** 0:1 ალვარესი (28), 0:2 მისიროლი (87)

**მანტოვა-სასუოლო** 1:1

**გოლები:** 1:0 კორონა (22), 1:1 მარტინეტი (50)

**რიმინი-ფროზინონე** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარი | 30 | 15 | 11 | 4 | 39-24 | 56 |
| 2. ლივორნო | 30 | 12 | 16 | 2 | 43-23 | 52 |
| 3. პარმა | 30 | 13 | 13 | 4 | 41-24 | 52 |
| 4. სასუოლო | 30 | 13 | 10 | 7 | 42-30 | 49 |
| 5. ბრეშა | 30 | 14 | 7 | 9 | 37-26 | 49 |
| 6. ტრიესტინა | 30 | 13 | 9 | 8 | 41-30 | 48 |
| 7. ალბინოლეფე | 30 | 11 | 11 | 8 | 32-28 | 44 |
| 8. ემპოლი | 30 | 12 | 8 | 10 | 33-33 | 44 |
| 9. გროსეტო | 30 | 13 | 5 | 12 | 47-52 | 44 |
| 10. პიზა | 30 | 10 | 9 | 11 | 37-41 | 39 |
| 11. რიმინი | 30 | 10 | 9 | 11 | 33-37 | 39 |
| 12. ვიჩენცა | 30 | 9 | 11 | 10 | 33-26 | 38 |
| 13. ასკოლი (-2) | 30 | 11 | 7 | 12 | 27-31 | 38 |
| 14. პიაჩენცა | 30 | 10 | 7 | 13 | 29-35 | 37 |
| 15. ანკონა | 30 | 10 | 5 | 15 | 37-43 | 35 |
| 16. ჩიტადელა | 30 | 7 | 13 | 10 | 30-32 | 34 |
| 17. ფროზინონე | 30 | 8 | 10 | 12 | 34-41 | 34 |
| 18. მანტოვა | 30 | 8 | 10 | 12 | 28-36 | 34 |
| 19. სალერნიტანა | 30 | 9 | 6 | 15 | 29-40 | 33 |
| 20. მოდენა | 30 | 6 | 10 | 14 | 38-48 | 28 |
| 21. აველინო (-2) | 30 | 5 | 12 | 13 | 26-45 | 25 |
| 22. ტრევიზო (-4) | 30 | 5 | 13 | 12 | 29-40 | 24 |

**ბომბარდირები:** 15 - ტავანო (ლივორნო), ვანტაჯატო (პარმა); 14 - ბარეტო (ბარი); 13 - მასტრონუნციო (ანკონა); 12 - მეჯორინი (ჩიტადელა); 11 - ბრუნო (მოდენა), კარაჩოლო (ბრეშა), ლოდი (ემპოლი), კ. ლუკარელი (პარმა), სანსოვინი (გროსეტო); 10 - ბელანოვიჩი (ვიჩენცა), დიამანტი (ლივორნო), ნასი (ბრეშა).

## ლეგა პრო 1/A

### XXV ტური

**პრო სესტო-ჩეზენა** 0:2, **რავენა-ლეკო** 2:0, **მონცა-ლენიანო** 2:0, **კრემონეზე-პერგოკრემა** 0:0, **ნოვარა-პრო პატრია** 2:1, **ვერონა-რეჯანა** 2:1, **პადოვა-სამბენედეტეზე** 2:0, **პორტოგრუარო-სპალ** 2:0, **ლუმეცანე-ვენეცია** 0:0.

## ლეგა პრო 1/B

### XXV ტური

**კროტონე-ფოლინიო** 4:2, **იუვე სტაბია-კავეზე** 0:1, **რეალ მარჩანიზე-ვირტუს ლანჩანო** 2:1, **პაგანეზე-ტარანტო** 1:0, **პერუჯა-ტერნანა** 0:0, **პესკარა-ბენევენტო** 1:1, **პისტოიეზე-პოტენცა** 2:0, **სორენტო-ფოჯა** 0:0, **არეცო-გალიპოლი** დღეს.

ესპანეთი. ლიგა BBVA. XXVII ტური

# ბოიანმა რეალი დაჩრდილა



„ვალენსია" „რეკრეატივოსთან" მატჩში ნაგებას ძლივს გადაურჩა. „ღამურებმა" 82-ე წუთზე გატანილი გოლით ქულა მოიპოვეს, თუმცა ერთი ქულა მასპინძლებს დიდად ვერ დაეხმარება. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ვალენსიას" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სურს, ეს მიზნის მისაღწევად ნამდვილად ცოტაა. გუნდში მწვავე ფინანსური კრიზისია და ამ დროს კარგ შედეგებზე ფიქრი უტოპიაა. „ვალენსიას" პრიმერა დივიზიონში ახლა ყველაზე მეტად უჭირს და გასაკვირი არ არის, რომ მშობლიურ „მესტალიაზე" „რეკრეატივოს" დამარცხება შეუძლებელ ამოცანად იქცა. გულშემატკივრებმა „ღამურებს" ზურგი აქციეს. საშინაო შეხვედრამ ნახევრადცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაიარა. პრობლემებით დაუძლურებულმა „ვალენსიამ" ზედიზედ მეექვსე მატჩი ვერ მოიგო. წარუმატებელმა სვლამ გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე ავბედითად იმოქმედა. ფინანსური კრიზისის გარდა, „ვალენსიას" **დავიდ ვილიას** ტრავმაც სერიოზულ პრობლემას უქმნის. ესპანელი სუპერფორვარდი 7-8 დღეში განაახლებს ვარჯიშს, თუმცა კაცმა არ იცის, სასურველი ფორმის აღსადგენად რამდენი დრო დასჭირდება. ასე რომ, „ღამურებს" უახლოეს მომავალში სასიკეთო ცვლილებების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ანგარიში „რეკრეატივომ" გახსნა. 54-ე წუთზე **კამუნიასმა** მასპინძელთა დაცვაში შექმნილი ქაოსით ისარგებლა და **სესარ სანჩესს** გაუტანა. გამოცდილი მეკარე სახტად დარჩა და ერთი შეხედვით იოლი დარტყმა ვერ მოიგერია. **უნაი ემერის** ბიჭები მეორე ტაიმის 27 წუთზე მოედანზე 10 კაცით დარჩნენ. მადრიდელმა არბიტრმა **ველასკო კარბალიომ** **კარლოს მარჩენა** მეორედ გააფრთხილა და გასახდელში გაუშვა. მასპინძლები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, თუმცა **პაბლო ერნანდესმა** პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო და „ვალენსია" სამარცხვინო ნაგებისგან იხსნა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე უნაი ემერიმ შეხვედრა ასე შეაფასა: *„პირველ ტაიმში ჯოჯოხეთურ პრობლემებს გადავეყარეთ. თითქმის არაფერი გამოგვდიოდა. ძალიან დასანანია, რომ მობილიზება დროულად ვერ შევძელით და საქმე გავირთულეთ. მეორე ტაიმში თამაშის ხარისხი გამოვასწორეთ, თუმცა შეცდომა დავუშვით და უელველებს გოლის გატანის საშუალება მივეცით. შეხვედრის დასრულებამდე 35 წუთი რჩებოდა. ბუნებრივია, ავნერვიულდით. მოგვიანებით, მარჩენა გაგვიგდეს, მაგრამ მაინც გავიტანეთ. ერთი ქულით ბოლომდე კმაყოფილი, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები, მაგრამ ჩემი ბიჭების შრომა აუცილებლად უნდა დავაფასოთ. ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ, თუმცა ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით მაინც კმაყოფილი დავრჩი. რამდენიც არ უნდა ვიკამათოთ, მაინც დამეთანხმებით, რომ ნაგებას ფრე ჯობია."*

„რეკრეატივოს" მთავარი მწვრთნელი **ლუკას ალკარასი** კი პირიქით, ძალიან უკმაყოფილო იყო. ეს, ალბათ, ბუნებრივია, რადგან ანდალუსიელებმა ორი ქულა საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე დაკარგეს. სენიორ ალკარასმა აღიარა, „ვალენსია" ნაგებას არ იმსახურებდა, მაგრამ ოდნავ მეტად რომ გაგვმართლებოდა, მოვიგებდით და „ღამურები" ოდნავადაც არ შემეცოდებოდნენო.

*„მადრიდის „რეალმა" „სან მამესზე" მსხვილკალიბრიანი შაშხანიდან მომაკვდინებლად გაისროლა."* - ამ წინადადებით დაიწყო „დიარიო მარკამ" „ბილბაოსა" და სამეფო კლუბის შეხვედრის მიმოხილვა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ბასკების მთავარმა მწვრთნელმა **ხოაკინ კაპაროსმა** თავხედურად განაცხადა, „ლივერპულმა" „რეალი" ისე დაამცირა, შოკს თავს ვერ დააღწევენ და დედაქალაქელებს იოლად დავამარცხებთო. მისი პროგნოზი არ გამართლდა. სამეფო კლუბმა არაჩვეულებრივად იასპარეზა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. პირველმა ტაიმმა მეტნაკლებად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ანგარიში **არიენ რობენმა** გახსნა. ამის შემდეგ მოვლენათა ეპიცენტრში **გაბრიელ ჰაინცე** მოექცა. არგენტინელმა მცველმა ჯერ მოწინააღმდეგეს გაუტანა, ორ წუთში კი საკუთარი კარი დალაშქრა. ტაიმის მიწურულს ბასკმა ფორვარდმა **ფერნანდო ლორენტემ** ულამაზესი თავური დარტყმით შეაგდო. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე წონასწორობის აღდგენით ბასკებმა მადრიდელები უმძიმეს სიტუაციაში ჩააგდეს, მაგრამ შესვენების შემდეგ სტუმრებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და „ბილბაო" მიწასთან გაასწორეს. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გამარჯვებაში **კლაას იან ჰუნტელაარის** არაჩვეულებრივმა თამაშმა განსაკუთრებული როლი ითამაშა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა მცველი გააბრიყვა და მეკარეს ახლო კუთხეში გაუტანა. მოგვიანებით, არიენ რობენმა და ჰუნტელაარმა ერთბაშად ოთხი ბასკი დაიბრიყვეს. სამეფო კლუბის ფორვარდმა **ირაისოსს** ბურთი თავზე გადაუგდო და ამით მასპინძლებს ყველა შანსი დაუკარგა. სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ კაპაროსის ბიჭებს ნახევარ საათში ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოექაჩათ. მათ ეს ვერ შეძლეს. პირიქით, საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე **გონსალო იგუაინმა მარსელოს** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა და ამით ყველაფერი დაასრულა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ **იესტეს** გაძევების გამო მასპინძლებს თითქმის ერთი საათის განმავლობაში 10 კაცით მოუხდათ თამაში.

**ხუანდე რამოსმა** გამარჯვებით ძალიან გაიხარა და ასეთი რამ განაცხადა: *„ანგარიში ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენ დიდ უპირატესობას ვფლობდით და დამსახურებულად მოვიგეთ. სხვა შეფასებას ვერ შემოგთავაზებთ, რადგან „ბილბაო" მართლაც ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. ეს ორმაგად სასიხარულოა, რადგან „ლივერპულთან" დამარცხების შემდეგ, ბიჭებმა მობილიზება შეძლეს. პირველ ტაიმში რამდენიმე მძიმე შეცდომა დავუშვით. ბასკებმა დაგვსაჯეს, მაგრამ სიტუაცია სწორად გავაანალიზეთ და მეორე ნახევარში მეტოქეს ჩვენი ფეხბურთი მოვახვიეთ თავს. „ბილბაო" საკუთარ მოედანზე ყოველთვის ძლიერად თამაშობს, მაგრამ „რეალმა" ამჯერად მას მინიმალური შანსიც არ დაუტოვა."*

ხოაკინ კაპაროსმა ყურადღება მსაჯების მიერ დაშვებულ შეცდომებზე გაამახვილა: *„არბიტრის დადანაშაულება არ მიყვარს ხოლმე, მაგრამ დღეს მუნის ფერნანდესმა ბევრი შეცდომა დაუშვა. ამან კი შეხვედრის შედეგზე პირდაპირი გავლენა იქონია. ის თითქმის ყველა საკამათო ეპიზოდში სამეფო კლუბისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას იღებდა. თითქოს უმნიშვნელო წვრილმანები იყო, მაგრამ ამ წვრილმანების სიმრავლემ სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. რა გაეწყობა, ახლა რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, მაინც არაფერი შეიცვლება. ძალიან ვწუხვარ, რომ გულშემატკივრებმა ჩვენს კარში გატანილი 5 გოლი იხილეს."*

ამ შეხვედრაზე საუბარს **იკერ კასილიასის** განცხადებით დავასრულებთ. საქმე ის არის, რომ იესტე სწორედ იკერთან უსიამოვნების გამო გააძევეს. მსაჯმა საანგარიშო მოხსენებაში ჩაწერა, რომ მასპინძელთა ნახევარმცველმა სამეფო კლუბის მეკარეს სახეში ჩაარტყა. იკერი კი გულწრფელად ამბობს, სახეში არ ჩაურტყამს, თუმცა ხელი მკრა და წამაქციაო. კაცმა რომ თქვას, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ხელი კრა, თუ სახეში ჩაარტყა. იესტე ხულიგანივით მოიქცა და წითელი ბარათი სამართლიანად აუფრიალეს.

„ატლეტიკოს" ჩემპიონთა ლიგის საგზურის იმედი ყველაზე რთულ დროსაც არ დაუკარგავს. მრავალი პრობლემის მიუხედავად, ეს გუნდი, სწორედ ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის. ამ მიზნის მისაღწევად, „ვილიარეალის" დამარცხებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. სტუმრებმა დედაქალაქელები ძალიან აანერვიულეს, მაგრამ ბოლოს მაინც **აბელ რესინოს** ბიჭებმა გაიხარეს. მრავალი პრობლემის მიუხედავად, „ატლეტიკომ" ძალა გამონახა და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიხვეჭა. არადა, მასპინძლებს ორბურთიანი ჰანდიკაპის ამოქაჩვა დასჭირდათ. უიღბლობისა და უყურადღებობის გამო, „როხიბლანკომ" **მათიას ფერნანდესსა** და **კანის** ორი გოლი გატანის საშუალება მისცა, თუმცა ერთი ბურთი მათ რამდენიმე წამში გაქვითეს. **დიეგო ფორლანის** შორეული დარტყმა ძელს მოხვდა, **კუნ აგუერომ** კი დამატებაზე ყველას დაასწრო. მოგვიანებით, თავად ფორლანმაც შეაგდო, ზუსტად ორ წუთში **ანტონიო ლოპესმა** კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავური დარტყმით კარში მიუჩინა ადგილი. **დიეგო ლოპესმა** სამი გოლი გაუშვა, მაგრამ სტუმართაგან ის მაინც ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ. „ვილიარეალის" გოლკიპერმა ფორლანს პენალტი აუღო, გარდა ამისა, უამრავი ურთულესი დარტყმაც მოიგერია.

„ვალიადოლიდმა" ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო. „ხეტაფემ" კი ზედიზედ სამი მატჩი წააგო. „ხოსე სორილიაზე" ძალიან უსახური და უინტერესო ფეხბურთი ითამაშეს. ეს იმდენად მომაბეზრებელი სანახაობა იყო, რომ მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმაც კი აღიარა, გამარჯვებას არ ვიმსახურებდით, ორთაბრძოლა ნულოვანი ყაიმით უნდა დასრულებულიყოო. თუმცა სენიორ **მენდილიბარმა** **კანობიოს** მნიშვნელოვანი გოლისთვის გულწრფელი მადლობა გადაუხადა.

პრიმერა დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობს. ბევრისთვის მოულოდნელად, „ესპანიოლი" წყალწაღებულ აუტსაიდერად რჩება. მართალია, „მალიორკამ" გასავარდნ ზონას თავი დააღწია, მაგრამ ბალეარელები მე-18 ადგილზე მყოფ „ოსასუნას" მხოლოდ 3 ქულით უსწრებენ და მშვიდი ცხოვრება ნამდვილად არ აქვთ გარანტირებული. ამ მიზეზების გათვალისწინებით, „მონჟუიკის" შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა. მოლოდინი გამართლდა. გულშემატკივრებმა დიდი სანახაობა იხილეს. სტუმრებს არ გაუმართლათ, რადგან კატალონიელებმა ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოქაჩეს. **რაულ ტამუდო** უჩვეულოდ ინერტული იყო. „ესპანიოლის" კაპიტანმა ღირებული ვერაფერი გააკეთა. სამაგიეროდ, **ივან დე ლა პენიამ** იყოჩაღა და გუნდს ძალიან დაეხმარა.

„ბარსელონამ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონის ტიტულისკენ მიმავალ გზაზე წინ წაიწია. მართალია, „რეალს" ქულა არ დაუკარგავს, მაგრამ სეზონის დასრულებამდეც ხომ ერთი ტურით ნაკლები დარჩა? მიუხედავად ყველაფრისა, დასკვნების გამოტანა ნაადრევია, ამიტომ ჯობია, უშუალოდ „ალმერიასთან" მატჩზე გავამახვილოთ ყურადღება. ხოაკინ კაპაროსის არ იყოს, მუქარა **უგო სანჩესმაც** ვერ შეასრულა. მექსიკელი სპეციალისტი კატალონიელებს დამარცხებით ემუქრებოდა, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის გრანდის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. საკვირაო შეხვედრა **ბოიან კრკიჩის** ბენეფისად იქცა. ახალგაზრდა ფორვარდმა დუბლი შეასრულა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მისი მეორე გოლია, თუმცა ბოიანს ორივე შემთხვევაში თანაგუნდელები დაეხმარნენ. „ბარსას" ვარსკვლავებმა მოწინააღმდეგის საჯარიმოში მცველებს მოკლე პასებით თავბრუ დაახვიეს და ახალგაზრდა კოლეგას გოლების გასატანად ყველა პირობა შეუქმნეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

## მომდევნო ტური

21 მარტი. **ვილიარეალი-ბილბაო, სევილია-ვალიადოლიდი.** 22 მარტი. **დეპორტივო-ბეტისი, რასინგი-ვალენსია, რეალი-ალმერია, სევილია-ვალიადოლიდი, ხეტაფე-რეკრეატივო, ოსასუნა-ესპანიოლი, ნუმანსია-სპორტინგი, ბარსელონა-მალაგა, მალიორკა-ატლეტიკო.**

### ვალენსია-რეკრეატივო 1:1

**ვალენსია:** სესარი - რაულ ალბიოლი, ალექსისი, მარჩენა, მორეტი - ალბელდა, ბარახა (61. პაბლო ერნანდესი), ედუ (68. მიჩელი), სილვა, ვისენტე (75. მორიენტესი) - მატა.

**რეკრეატივო:** რიესგო - ნეფი, მორისი, იაგო ბუსონი, კასადო - ბარბერი, ხავი ფუეგო (72. ნაიარი), ხესუს ვასკესი, კამუნიასი (88. აკალე) - აიტორი (87. ნაიდანა), ადრიან კოლუნგა.

**გოლები:** 0:1 კამუნიასი (55), 1:1 პაბლო ერნანდესი (83)

**გაძევება:** მარჩენა (73. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 18(4)-8(1); **კუთხური:** 7-10; **თამაშგარე:** 8-7; **ჯარიმა:** 15-24; **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 35 000

### ბილბაო-რეალი 2:5

**ბილბაო:** ირაისოსი - ირაოლა, აიტორ ოსიო, ამორებიეტა, კოიკილი (46. ბალენსიაგა) - დავიდ ლოპესი (51. გურპეგი), ორბაისი (56. სუსაეტა), ხავი მარტინესი, იესტე - ტოკერო, ფ. ლორენტე.

**რეალი:** იკერ კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, მეტცელდერი, ჰაინცე - რობენი (66. ფობერი), ლ. დიარა, სნეიდერი, მარსელო - რაული (65. იგუაინი), ჰუნტელაარი (78. პარეხო).

**გოლები:** 0:1 რობენი (22), 0:2 ჰაინცე (33), 1:2 ჰაინცე (35-საკ. კარში), 2:2 ფ. ლორენტე (45), 2:3 ჰუნტელაარი (47), 2:4 ჰუნტელაარი (61), 2:5 იგუაინი (85-პენ)

**გაძევება:** იესტე (35. ბილბაო)

**გაფრთხილება:** 7-4; **დარტყმა:** 13(8)-25(9); **კუთხური:** 10-1; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 17-27; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 40 000

### რასინგი-ნუმანსია 5:0

**რასინგი:** ტონიო - ვალერა, მორატონი (6. ორიოლი), გარაი, პინილიოსი - პერეირა, ლუქსენი, ლასენი (52. კანალესი), სერანო - ტონი მორალი (66. კოლსა), ჟიგიჩი.

**ნუმანსია:** კელემანი - ფელიპე, პავონი, ბორისი, სისმა - გაირე (35. დელ პინიო), დიმაში, ნაგორე, ბარკერო - გორია (46. მარიო), არანდა (67. ბრიტი).

**გოლები:** 1:0 სერანო (17), 2:0 ლუქსენი (27), 3:0 ჟიგიჩი (32), 3:0 ჟიგიჩი (40), 5:0 სერანო (45)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 20(9)-5(1); **კუთხური:** 6-8; **თამაშგარე:** 4-4; **ჯარიმა:** 25-23; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 18 421

### სპორტინგი-დეპორტივო 3:2

**სპორტინგი:** ლაფუენტე - კამარა, ივან ერნანდესი, ნერუ, ხოსე ანხელი - მატაბუენა - მიჩელი, ლუის მორანი (67. დიეგო კამაჩო), კარმელო - დიეგო კასტრო (89. კიკე მატეო), ბარალი (81. ბილიჩი).

**დეპორტივო:** არანსუბია - ლაურე, ლოპო, კოლოტო, ფილიპე - ხუან როდრიგესი, სერხიო (78. ვალერონი), ლაფიტა, ვერდუ, გუარდადო (55. რიკი) - ლასადი (63. პაბლო ალვარესი).

**გოლები:** 1:0 ლუის მორანი (49), 2:0 ბარალი (51-პენ), 2:1 სერხიო (67-პენ), 3:1 ხოსე ანხელი (71), 3:2 რიკი (85-პენ)

**გაფრთხილება:** 5-3; **დარტყმა:** 13(8)-16(5); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 22-15; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 25 000

### მალაგა-სევილია 2:2

**მალაგა:** გოიტია - გომესი, ველიგტონი, ელდერი, კალეხა - ელისეუ, მიგელ ანხელი (56. მარტი), ნაჩო, აპონიო - ბაა (85. ლუკე), სალვა (77. ადრიანი).

**სევილია:** პალოპი - მოსკერა, სკილაჩი, ესკუდე (46. ადრიანო), ფერნანდო ნავარო - ნავასი (64. პეროტი), დუშერი (46. დიეგო კაპელი), რომარიკი, რენატო - ლუიშ ფაბიანო, კანუტე.

**გოლები:** 1:0 სალვა (18), 2:0 სალვა (31), 2:1 კანუტე (73), 2:2 ლუიშ ფაბიანო (84)

**გაძევება:** კალეხა (85. მალაგა)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 4(2)-21(9); **კუთხური:** 1-5; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 22-16; **ბურთის ფლობა:** 32%-68%

**მაყურებელი:** 30 000

### ბეტისი-ოსასუნა 0:0

**ბეტისი:** რიკარდო - ნელსონი, მელი, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა - არსუ, მეჰმეთ აურელიო, ემანა (82. პავონე) - დამია (69. ოდონკორი), რიკარდო ოლივეირა, სერხიო გარსია (85. ჩისკო).

**ოსასუნა:** რობერტო - ასპილიკუეტა, სერხიო, მიგელ ფლანიო, მონრეალი - პუნიალი (82. ვადოჩი), ნექუნამი, ხუანფრანი (59. დელპორტი), იდალგო (68. მასუდი) - პლასილი, დადი.

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 22(5)-5(0); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 10-24; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 40 000

### ვალიადოლიდი-ხეტაფე 1:0

**ვალიადოლიდი:** ვილიარი - პედრო ლოპესი, ბარახა, ბეა, მარკოსი - პედრო ლეონი (62. აგირე), ბორხა (60. კანობიო), ვივარ დორადო, სესმა - ვიქტორი, ოლდონი (82. ოგბეჩე).

**ხეტაფე:** ხაკობო - კორტესი, ბელენგერი, მარიო, რაფა - გრანერო (46. მანუ), კასკერო, პოლანსკი, გავილანი - ალბინი (61. გერონი), უჩე (76. იბრაჰიმ ქაში).

**გოლი:** 1:0 კანობიო (86)

**გაძევება:** მარიო (75. ხეტაფე)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 16(6)-8(1); **კუთხური:** 17-4; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 12-13; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 16 400

### ესპანიოლი-მალიორკა 3:3

**ესპანიოლი:** კამენი - სერხიო სანჩესი (81. ივან ალონსო), ხარკე, პარეხა, დავიდ გარსია - მოისეს ურტადო, დე ლა პენია - რუფეტე (44. კალეხონი), ლუის გარსია (59. ლოლა), ნენე - ტამუდო.

**მალიორკა:** ავატე - ხოსემი, ნუნიესი, დავიდ ნავარო, კორალესი - ვარელა (73. კასტრო), მარტი, კლებერ სანტანა, არანგო - ხურადო, ადურისი (88. კეიტა).

**გოლები:** 0:1 არანგო (39), 1:1 კალეხონი (56), 1:2 კლებერ სანტანა (59), 1:3 ხურადო (70), 2:3 დე ლა პენია (72), 3:3 ნენე (83)

**გაძევება:** მოისეს ურტადო (65. ესპანიოლი)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 8(3)-17(7); **კუთხური:** 3-5; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 16-20; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 29 180

### ატლეტიკო-ვილიარეალი 3:2

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო - პერტინგა (72. სინამა პონგოლე), პაბლო, პერეა, ანტონიო ლოპესი - მაქსი როდრიგესი (70. კამაჩო), პაულო ასუნსაო (65. ბანეგა), რაულ გარსია, სიმაო - აგუერო, ფორლანი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი - ხავი ვენტა, ეგურენი, გონსალესი, კაპდევილა - მარკოს სენა - სანტი კასორლა, მატი ფერნანდესი (46. ბრუნო), პირესი (63. ფრანკო), კანი - როსი (65. მარიო).

**გოლები:** 0:1 მატი ფერნანდესი (18), 0:2 კანი (51), 1:2 აგუერო (52), 2:2 ფორლანი (80), 3:2 ანტონიო ლოპესი (82)

*მე-3 წუთზე ფორლანმა ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** ხავი ვენტა (65. ვილიარეალი)

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 32(14)-6(4); **კუთხური:** 12-2; **თამაშგარე:** 4-6; **ჯარიმა:** 28-15; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 50 000

### ალმერია-ბარსელონა 0:2

**ალმერია:** დიეგო ალვესი - ბრუნო, პელერანო, აკასიეტე, მანე - ხუან ორტისი (64. ხოსე ორტისი), ირინეი, ხუანიტო (67. კორონა), კრუსატი - ნეგრედო, კალუ უჩე (78. პიატი).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი - დანიელ ალვეში, პიკე, მარკესი, სილვინიო - იაია ტურე - ჩავი, ინიესტა (84. გლები), ს. კეიტა (81. გუდიონსენი) - კრკიჩი (67. ეტო'ო), მესი.

**გოლები:** 0:1 კრკიჩი (53), 0:2 კრკიჩი (56)

**გაფრთხილება:** 4-0; **დარტყმა:** 5(1)-17(7); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 10-11; **ბურთის ფლობა:** 27%-73%

**მაყურებელი:** 21 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 27 | 21 | 3 | 3 | 78-24 | 66 |
| 2. რეალი | 27 | 19 | 3 | 5 | 63-31 | 60 |
| 3. სევილია | 27 | 15 | 6 | 6 | 38-25 | 51 |
| 4. ვილიარეალი | 27 | 12 | 9 | 6 | 43-37 | 45 |
| 5. ატლეტიკო | 27 | 12 | 7 | 8 | 56-41 | 43 |
| 6. მალაგა | 27 | 12 | 7 | 8 | 45-40 | 43 |
| 7. დეპორტივო | 27 | 12 | 6 | 9 | 36-36 | 42 |
| 8. ვალენსია | 27 | 11 | 7 | 9 | 47-40 | 40 |
| 9. ვალიადოლიდი | 27 | 12 | 3 | 12 | 41-42 | 39 |
| 10. რასინგი | 27 | 8 | 9 | 10 | 34-34 | 33 |
| 11. სპორტინგი | 27 | 11 | 0 | 16 | 35-57 | 33 |
| 12. ბილბაო | 27 | 8 | 7 | 12 | 37-46 | 31 |
| 13. ალმერია | 27 | 8 | 7 | 12 | 33-43 | 31 |
| 14. რეკრეატივო | 27 | 7 | 9 | 11 | 26-38 | 30 |
| 15. ბეტისი | 27 | 7 | 8 | 12 | 37-43 | 29 |
| 16. მალიორკა | 27 | 7 | 8 | 12 | 31-46 | 29 |
| 17. ხეტაფე | 27 | 6 | 10 | 11 | 36-41 | 28 |
| 18. ოსასუნა | 27 | 5 | 11 | 11 | 27-33 | 26 |
| 19. ნუმანსია | 27 | 7 | 2 | 18 | 28-55 | 23 |
| 20. ესპანიოლი | 27 | 4 | 10 | 13 | 25-44 | 22 |

**ბომბარდირები:** 23 - ეტო'ო (ბარსელონა); 19 - ვილია (ვალენსია), ფორლანი (ატლეტიკო); 18 - მესი (ბარსელონა); 16 - ნეგრედო (ალმერია); 15 - იგუაინი (რეალი); 14 - ანრი (ბარსელონა), რაული (რეალი); 13 - აგუერო (ატლეტიკო); 12 - როსი (ვილიარეალი), კანუტე (სევილია); 11 - ფ. ლორენტე (ბილბაო).

## II დივიზიონი

### XXVIII ტური

**სელტა-ელჩე** 2:2

**გოლები:** 1:0 დ. როდრიგესი (6), 1:1 საული (12), 1:2 ურუტია (37), 2:2 დ. როდრიგესი (54)

**ალავესი-სარაგოსა** 2:2

**გოლები:** 1:0 გერა (45), 2:0 სანჩესი (59), 2:1 ევერტონი (86), 2:2 არისმენდი (88)

**ხიმნასტიკი-კორდობა** 2:2

**გოლები:** 0:1 კ. ალვარესი (7), 1:1 ვიქტორი (24), 2:1 ხანდრო (63), 2:2 ნატალიო (90)

**სევილია II-ლას პალმასი** 2:2

**გოლები:** 0:1 ალემანი (21), 1:1 პოუგა (49), 1:2 ხუანპა (54), 2:2 რედონდო (81)

**ხერესი-სოსიედადი** 1:3

**გოლები:** 1:0 ბერმეხო (12), 1:1 აბრეუ (28), 1:2 აბრეუ (45), 1:3 აბრეუ (51)

**კასტელონი-ვალეკანო** 0:0

**ერკულესი-მურსია** 3:2

**გოლები:** 1:0 ნავარო (12), 1:1 ბრუნო (20-პენ), 2:1 აგილერი (26), 2:2 ბრუნო (54-პენ), 3:2 დელიბაშიჩი (74)

**ეიბარი-სალამანკა** 1:2

**გოლები:** 0:1 ალანა (46-საკ. კარში), 1:1 მარკელი (70), 1:2 ისააკი (86)

**ხირონა-ლევანტე** 0:0

**უესკა-ალიკანტე** 0:1

**გოლი:** 0:1 მასუეკოსი (21)

**ტენერიფე-ალბასეტე** 1:1

**გოლები:** 1:0 ალფარო (29), 1:1 ტოჩე (32-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხერესი | 28 | 14 | 9 | 5 | 49-30 | 51 |
| 2. ტენერიფე | 28 | 14 | 7 | 7 | 50-37 | 49 |
| 3. ერკულესი | 28 | 13 | 10 | 5 | 47-29 | 49 |
| 4. ვალეკანო | 28 | 11 | 13 | 4 | 33-25 | 46 |
| 5. სარაგოსა | 28 | 12 | 9 | 7 | 48-33 | 45 |
| 6. სალამანკა | 28 | 12 | 8 | 8 | 44-31 | 44 |
| 7. კასტელონი | 28 | 11 | 11 | 6 | 38-28 | 44 |
| 8. სოსიედადი | 28 | 10 | 12 | 6 | 29-23 | 42 |
| 9. უესკა | 28 | 10 | 10 | 8 | 36-33 | 40 |
| 10. ლევანტე | 28 | 11 | 7 | 10 | 39-41 | 40 |
| 11. ხიმნასტიკი | 28 | 9 | 11 | 8 | 42-37 | 38 |
| 12. ხირონა | 28 | 8 | 14 | 6 | 31-31 | 38 |
| 13. ალბასეტე | 28 | 9 | 9 | 10 | 32-36 | 36 |
| 14. მურსია | 28 | 10 | 5 | 13 | 30-38 | 35 |
| 15. ელჩე | 28 | 8 | 11 | 9 | 36-34 | 35 |
| 16. სელტა | 28 | 8 | 10 | 10 | 30-34 | 34 |
| 17. ლას პალმასი | 28 | 7 | 11 | 10 | 34-34 | 32 |
| 18. კორდობა | 28 | 8 | 8 | 12 | 29-34 | 32 |
| 19. ალავესი | 28 | 8 | 7 | 13 | 31-47 | 31 |
| 20. ეიბარი | 28 | 7 | 6 | 15 | 21-39 | 27 |
| 21. ალიკანტე | 28 | 5 | 8 | 15 | 24-46 | 23 |
| 22. სევილია B | 28 | 1 | 8 | 19 | 17-50 | 11 |

## უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტური

# როგორც შვეიცარიული საათი

## ფავრმა ცეკვა არ იცის, სამაგიეროდ, მაგარი მწვრთნელია...



კვირას გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** „ბილდ ამ ზონთაგს“ უთხრა, ბუნდესლიგა ევროპას ძალიან ჩამორჩაო. მართალია თუ არა იოახიმი, ეს განსჯის საგანია, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ წელს გერმანიის ჩემპიონატი ისეთი დაძაბულია, როგორც არასდროს!

ბერლინის „ჰერტამ“ ლიდერობა ოთხქულიანი უპირატესობით შეინარჩუნა. დედაქალაქელებმა „ლევერკუზენს“ მინიმალური ანგარიშით მოუგეს. შვეიცარიელი მწვრთნელის ხელში, ბერლინური კლუბი შვეიცარიული საათივით მუშაობს - უხმაუროდ და სოლიდურად. ეს კი სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ „ჰერტა“ ჩემპიონი გახდეს. თუმცა აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერლინელები გაისად ჩემპიონთა ლიგაში შორს ვერ წავლენ. „ბაიერნი“ ევროპაშიც კარგად მიდის (7:1 სპორტინგთან) და ბუნდესლიგაშიც გამოსწორდა. რეკორდმაისტერმა „ბოხუმს“ 3:0 მოუგო და როგორც მოსალოდნელი იყო, კრიზისიდან გამოვიდა. „ჰოფენჰაიმი“ ჯერ ისევ ევროტურნირების ზონაშია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **რალფ რანგნიკის** გუნდი მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩება, მაქსიმუმ კი საერთოდ ევროპის მიღმა. **ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგი“ კი მეორე წრის საუკეთესო გუნდია და ჩემპიონობისთვის იბრძვის. თუმცა უეფას თასიდან „მგლები“ გავარდნენ (პსჟ-სთან დუელში). ასე რომ, ლიოვი სიმართლესთან ახლოსაა. სამაგიეროდ, ბუნდესლიგა იმით დაიკვეხნის, რომ გაცილებით დაძაბულია, ვიდრე ინგლისის, ესპანეთის და იტალიის ჩემპიონატები.

მაშ ასე: „ჰერტა“ საჩემპიონო ცეკვას აგრძელებს. ბერლინელებმა ისევ ჩვეულ სტილში, პრაგმატული ფეხბურთი ითამაშეს და აშკარად კალაპოტიდან ამოვარდნილ „ლევერკუზენს“ 1:0 მოუგეს - რა თქმა უნდა, **ანდრეი ვორონინის** გოლით. „ოლიმპიაშტადიონზე“ შეკრებილი 60 000 ქომაგი გუნდს ჩემპიონობისკენ მოუწოდებდა და მართალია, „ჰერტამ“ გრანდიოზული ფეხბურთი არ აჩვენა, მაგრამ, სამაგიეროდ, აჩვენა შედეგი, რაც ყველაზე მთავარია. **ბრუნო ლაბადიას** გუნდი კი აშკარა კრიზისშია, რასაც კაპიტანი **სიმონ როლფესიც** აღიარებს. ვორონინმა გოლი ამჯერად მხარით (!) გაიტანა და უკრაინელს ბოლო 6 თამაშში 8 გოლი აქვს. „ჰერტას“ ლეგენდარული ფორვარდი **მიხაელ პრეეტცი** ამბობს, დიდი ხანია, ჩვენს გუნდს ასეთი შედეგიანი თავდამსხმელი არ ჰყოლიაო. ჩვენ კი დავამატებდით, რომ „ჰერტას“ ასეთი ფორვარდი პრეეტცის შემდეგ არ ჰყოლია. ბერლინელთათვის ეს ზედიზედ მეათე საშინაო გამარჯვება იყო. შესაბამისად, **ლუსიენ ფავრის** შეგირდები ცხრილის სათავეში ოთხქულიანი უპირატესობით თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ. კაპიტანი **არნე ფრიდრიხი** კი ამბობს, ოცნება გრძელდებაო. მატჩის შემდეგ „ჰერტას“ ფეხბურთელები ისევ ცეკვავდნენ და ვორონინმა წრეში ფავრსაც უხმო. შვეიცარიელმა მწვრთნელმა თავიდან დაიმორცხვა, მაგრამ მერე მაინც იცეკვა, თუმცა შეგირდები თავისი მოძრაობებით ვერ აღაფრთოვანა. *„რას ვიზამთ, ის შვეიცარიელია!“* - აღნიშნა ვორონინმა. ცეკვა არ იცის, მაგრამ რაც მთავარია, მაჩანჩალა გუნდისგან ისეთი კოლექტივი შეკრა, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძვის, რაც „ჰერტასთვის“ აგერ უკვე 78 წელია, უცხო ხილია.

| 11. ინვერნესი | 29 | 8 | 4 | 17 | 29-45 | 28 |
| 12. ფალკირკი | 28 | 5 | 9 | 14 | 28-40 | 24 |

#### I დივიზიონი

XXIX ტური

ეირდრი-ქუინი 2:0; დანფერმლაინი-პარტიკი 0:1; დანდი-როსი 2:0; მორტონი-კლაიდი 2:0; ლივინგსტონი-სტ. ჯონსტონი 1:0.

#### II დივიზიონი

XXIX ტური

ალოა-არბროა 2:0; პიტერჰედი-ისტ ფაიფი 2:0; რეითი-ეირი 0:1; სტირლინგი-ბრეჩინი 2:3; სტრანრარი-ქუინზ პარკი 2:2.

#### III დივიზიონი

XXIX ტური

ანენი-კოუდენბითი 3:1; ისტ სტირლინგი-ბირუიკი 0:4; ელჯინი-სტენჰაუზმური 2:0; ფორფარი-ალბიონი 4:0; მონროუზი-დამბარტონი 1:0.

## შოტლანდია

### ლიგის თასი. ფინალი

| | |
|---|---|
| სელტიკი-რეინჯერსი | 0:0 დ.დ. 2:0 |

## უელსი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| რილი-ბანგორი | 4:1 |
| უელშპული-კონექსი | 3:1 |
| ეირბასი-კარმართენი | 0:1 |
| ქერნარფონი-ლანელი | 0:5 |
| ნიუი-ნითი | 3:1 |
| ნიუთაუნი-პორტმედოგი | 2:0 |
| პორტ ტელბოტი-ქერსოუსი | 2:0 |
| პრესტატინი-ჰევერფორდვესტი | 0:1 |
| ტნს-ებერისვითი | 1:1 |

## ბულგარეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| პირინი-ლოკომოტივი (ს) | 0:4 |
| ბოტევი-ლევსკი | 0:1 |
| ცსკა-სლივენი | 3:0 |
| სლავია-ლოკომოტივი (მ) | 0:0 |
| სპარტაკი-ბელასიცა | 0:0 |
| ვიხრენი-ჩერნო მორე | 0:2 |
| ჩერნომორეცი-ლოკომოტივი (პ) | 1:3 |
| მინიორი-ლიტექსი | დღეს |

## უნგრეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| პალადაში-უიპეშტი | 0:2 |
| დებრეცენი-ნირეგიაზა | 4:0 |
| ჰონვედი-პაკში | 1:1 |
| კეჩკემეტი-ფეჰერვარი | 2:1 |
| რეაკ-დიორი | 0:0 |
| ვაშაში-შიოფოკი | 0:1 |
| მტკ-დიოშდიორი | 2:0 |
| კაპოშვარი-ზალაეგერშეგი | დღეს |

## ეკვადორი

VII ტური

| | |
|---|---|
| მაკარა-დეპ. კიტო | 0:2 |
| ელ ნასიონალი-ბარსელონა | 2:0 |
| ემელეკი-მანტა | გვ. დასრულდა |

## ავსტრია

XXV ტური

| | |
|---|---|
| შტურმი-რიდი | 1:1 |
| ლინცერი-მატერსბურგი | 0:0 |
| რაპიდი-კაპფენბერგი | 6:0 |
| აუსტრია (კ)-აუსტრია (ვ) | 1:1 |
| ალტახი-ზალცბურგი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 26 | 18 | 4 | 4 | 66-34 | 58 |
| 2. რაპიდი | 26 | 15 | 6 | 5 | 66-28 | 51 |
| 3. აუსტრია (ვ) | 26 | 14 | 7 | 5 | 43-29 | 49 |
| 4. შტურმი | 25 | 13 | 4 | 8 | 52-32 | 43 |
| 5. აუსტრია (კ) | 25 | 10 | 7 | 8 | 36-27 | 37 |
| 6. რიდი | 26 | 10 | 7 | 9 | 35-30 | 37 |
| 7. ლინცერი | 26 | 8 | 3 | 15 | 23-49 | 27 |
| 8. კაპფენბერგი | 25 | 7 | 3 | 15 | 31-57 | 24 |
| 9. ალტახი | 25 | 5 | 2 | 18 | 33-70 | 17 |
| 10. მატერსბურგი | 26 | 3 | 7 | 16 | 25-54 | 16 |

#### II დივიზიონი

XXI ტური

გრატკორნი-ლეობენი 1:1; გრიოდიგისტ. პოლტენი 3:0; აუსტრია (ლ)-აუსტრია A 2:1; ზალცბურგი A-ვინერი 0:2; ადმირაფოკლაბრუკი 3:0; ტიროლი-ლუშტენაუ 3:0.

## ისრაელი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (ფ-თ)-ბნეი სახნინი | 0:0 |
| მაკაბი (ნ)-ჰაკოაჩი | 0:0 |
| აშდოდი-ჰაპოელი (ქ-შ) | 2:0 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (თ-ა) | 1:2 |
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ჰ) | 0:1 |
| ბეითარი-ჰაპოელი (თ-ა) | დღეს |

## პოლონეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| პოლონია (ვ)-ლკს | 1:3 |
| იაგელონია-ლეგია | 2:1 |
| ოდრა-შლიონსკი | 0:0 |
| კრაკოვია-ლეხია | 31 |
| ბელხატოვი-ვისლა | 0:0 |
| პოლონია (ბ)-რუხი | 0:3 |
| არკა-პიასტი | 0:1 |
| გურნიკი-ლეხი | 1:1 |

## რუმინეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| უნირეა-პანდური | 2:0 |
| კლუჟი-რაპიდი | 0:0 |
| გლორია (ბის)-ვასლუი | 0:3 |
| ოცელული-გლორია (ბუზ) | 1:2 |
| პ. ტიმიშოარა-გაზ მეთანი | 0:0 |
| სტიაუა-პოლიტეხნიკა | 1:0 |
| ბრაშოვი-არჯეში | 1:0 |
| დინამო-ოტოპენი | 0:0 |
| ფარული-უნივერსიტატეა | 0:3 |

## რუსეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ამკარი-როსტოვი | 0:0 |
| დინამო-მოსკოვი | 1:0 |
| ლოკომოტივი-ხიმკი | 1:1 |
| რუბინი-ყუბანი | 3:0 |
| სპარტაკი-ზენიტი | 1:1 |
| ტომი-კრილია | 0:1 |
| სატურნი-ცსკა | 0:3 |
| ტერეკი-ნალჩიკი | 1:0 |

## სერბეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-ვოივოდინა | 1:1 |
| ბანატი-რად | 1:1 |
| ჰაიდუკი-იაგოდინა | 0:0 |
| ნაპრედაკი-იავორი | 3:1 |
| ოფკ-ცრ. ზვეზდა | 2:2 |
| პარტიზანი-ჩუკარიჩკი | 2:0 |

## სლოვაკეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| დ. სტრედა-არტმედია | 0:4 |
| ბისტრიცა-ნიტრა | 2:1 |
| მორავცე-ტატრანი | 1:1 |
| დუბნიცა-ჟილინა | 2:0 |
| კომიცე-სლოვანი | 0:0 |
| რუჟემბეროკი-ტრნავა | გადაიდო |

## სლოვენია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-გორიცა | 1:4 |
| დომჟალე-ინტერბლოკი | 2:0 |
| პუბლიკუმი-მარიბორი | 1:1 |
| დრავა-კოპერი | 1:2 |
| პრიმორიე-რუდარი | 2:0 |

## უკრაინა

XX ტური

| | |
|---|---|
| ვორსკლა-ლვოვი | 0:0 |
| ჩერნომორეცი-ხარკოვი | 3:1 |
| მეტალურგი (დ)-ზორია | 3:0 |
| კარპატი-კრივბასი | 3:0 |
| დნიპრო-ილიჩივეცი | 0:0 |
| მეტალურგი (ზ)-დინამო | 1:3 |
| მეტალისტი-შახტარი | 0:3 |
| არსენალი-ტავრია | გადაიდო |

## ჩრ. ირლანდია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ბანგორი-ლისბურნი | 0:0 |
| კოლრეინი-ბალიმენა | 0:1 |
| კრუზეიდერსი-კლიფტონვილი | 4:2 |
| გლენავონი-ნიური | 2:0 |
| ინსტიტუტი-დუნგანონი | 3:0 |
| ლინფილდი-გლენტორანი | დღეს |

## შვეიცარია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| არაუ-ლუცერნი | 0:0 |
| სიონი-ბაზელი | 0:4 |
| ბელინცონა-გრასჰოპერი | 6:2 |
| ვადუცი-იანგ ბოისი | 3:1 |
| ციურიხი-ქსამაქსი | 3:0 |

#### ჩელენჯლიგა

XIX ტური

კონკორდია-სერვეტი 3:1; ნიონე-შო დე ფონი 1:2; ივერდონი-ბილი 1:1; სტ. გალენი-ლოკარნო 1:0; შაფჰაუზენი-თუნი 2:2; ვინტერტური-გოსაუ 2:1; ვოლენი-ლოზანა 0:3; ლუგანო-ვილი დღეს.

## ჩეხეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბანიკი-ტეპლიცე | 1:0 |
| პლზენი-პრშიბრამი | 0:0 |
| ქლინი-ლიბერეცი | 3:3 |
| ბოჰემიანსი-ვიქტორია | 0:0 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 0:0 |
| სიგმა-კლადნო | 1:3 |
| იაბლონეცი-სლავია | 1:2 |
| სპარტა-ბრნო | დღეს |

#### II დივიზიონი

XVIII ტური

დუკლა-ფულნეკი 6:0; იჰლავა-ოპავა 3:0; სოკოლოვი-ბოჰემიანსი 1:2; ოლომოუცი-სლოვაცკო 0:1; ჩასლავი-ვიტკოვიცე გადაიდო; უსტი-პრადეცი 1:0; მოსტი-კარვინა 1:0.

## არგენტინა

VI ტური

| | |
|---|---|
| ხიმნასია (ხ)-ინდეპენდიენტე | 4:1 |
| არსენალი-როსარიო | 0:5 |
| ხიმნასია (ლ)-ტიგრე | 0:1 |
| ლანუსი-კოლონი | 2:1 |
| სან მარტინი-ესტუდიანტესი | 1:0 |
| სან ლორენსო-ბანფილდი | 3:1 |
| ნიუელსი-ურაკანი | 2:2 |
| ველესი-რივერი | 1:1 |
| ბოკა-არგ. ხუნიორსი | გვ. დასრულდა |
| რასინგი-გოდოი | გვ. დასრულდა |

## ჩილე

VIII ტური

| | |
|---|---|
| უაჩიპატო-ო'ჰიგინსი | 3:0 |
| პალესტინო-უნ. კონსეპსიონი | 4:2 |
| აუდაქსი-უნ. ჩილე | 1:2 |
| ნუბლენსე-მუნისიპალი | 2:1 |
| კურიკო-რეინჯერსი | 2:1 |
| კობრელოა-უნ. ესპანიოლა | 2:1 |
| ს. მორნინგი-კობრესალი | 3:3 |
| კოლო კოლო-უ. კატოლ | გვ. დასრულდა |
| ლა სერენა-ევერტონი | გადაიდო |

## კოლუმბია

VII ტური

| | |
|---|---|
| ლა ეკვიდადი-სანტა ფე | 1:0 |
| დეპ. კინდიო-დეპ. კალი | 0:1 |
| ამერიკა დე კალი-ჩიკო | 1:1 |
| ატ. ხუნიორი-რეალი | 0:2 |
| კუკუტა-ატ. ნასიონალი | 2:2 |
| დეპ. პერეირა-ენვიგადო | 4:2 |
| ინდეპენდიენტე-ატ. უილა | 2:1 |
| ტოლიმა-დეპ. პასტო | 2:0 |
| მილიონარ-ო. კალდას | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

X ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ხაგუარესი | 0:0 |
| კრუს ასული-ამერიკა | 1:3 |
| მონტერეი-პაჩუკა | 2:0 |
| ნეკაქსა-მორელია | 2:0 |
| ინდიოსი-ტიგრესი | 2:2 |
| პუებლა-სან ლუისი | 2:1 |
| პუმასი-ატლანტე | 3:1 |
| სანტოსი-ტოლუკა | გვ. დასრულდა |
| ჩივასი-ატლასი | გვ. დასრულდა |

## პერუ

V ტური

| | |
|---|---|
| ტოტალ ჩალაკო-სპ. კრისტალი | 1:3 |
| ალ. ლიმა-ხოსე გალვესი | 1:3 |
| ინტი გასი-უნ. პერუ | 1:0 |
| ალ. ატლეტიკო-ბოლონიესი | 2:0 |
| კოლეგიო-ხუან აურიჩი | 0:1 |
| სპორტ ანკაში-სპორტი | 1:2 |
| სენსიანო-სესარ ვალეხო | 1:1 |
| სან მარტინი-მელგარი | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

IV ტური

| | |
|---|---|
| დეფენსორი-რივერი | 3:2 |
| ხუვენტუდი-დანუბიო | 1:5 |
| რასინგი-ნასიონალი | 1:4 |
| მონტევიდეო-სერო | 1:2 |
| რამპლა-ბელა ვისტა | 1:1 |
| ტაკუარემბო-ლივერპული | 1:2 |
| სერო ლარგო-პენიაროლი | 0:2 |

## იაპონია

II ტური

| | |
|---|---|
| ოიტა-კიოტო | 1:0 |
| ურავა-ტოკიო | 3:1 |
| კობე-კავასაკი | 2:1 |
| კაშიმა-ჯეფ იუნაიტედი | 1:1 |
| შიმიძუ-იოკოჰამა | 0:0 |
| იამაგატა-ნაგოია | 0:0 |
| გამბა-ივატა | 4:1 |
| ნიიგატა-კაშიმა | 2:1 |
| ჰიროშიმა-ომიია | 2:3 |

რაგბი — ერთა თასი

# ბორჯღალოსნებო, წინ რუსეთია!





**საქართველო-რუმინეთი 28:23**

საქართველო (15-9): **კვირიკაშვილი, მაჩხანელი (ბარკალაია 74), კაჭარავა, ზიბზიბაძე (თოდუა 70), ურჯუკაშვილი, მალალურაძე, აბუსერიძე (სამხარაძე 72). (1-8) ხინჩაგიშვილი (ფეიქრიშვილი 74), ნატრიაშვილი, შველიძე (ქუბრიაშვილი 65), დათუნაშვილი (უჩავა 76), ურუშაძე, ლაბაძე, ჩხაიძე, გორგოძე (ბასილაია 74).**

*3ლ: მაჩხანელი(2), ურჯუკაშვილი. 2გ: კვირიკაშვილი, მალალურაძე. 3ს: კვირიკაშვილი, მალალურაძე (2).*

*სინბინი: ნატრიაშვილი.*

რუმინეთი (15-9): **ვლაიკუ (დასკალუ 73), ნიკოლაე (კიუნტუ 52), ბარბულიკეანუ, დიმოფტე, ბოტეზატუ, სტანკა, კალაფეტეანუ. (1-8) ნერე (ლაზარი 58), ტასკა (ბეკა 45), პაულიკა, კოსტე (პოპირლანი 41, მაკოვეი 58), რატიუ (კარპო 66), ბურეა, ტუდორი, მერსოიუ.**

*2ლ: ბარბულიკეანუ (2). 2გ,3ს: კალაფეტეანუ.*

*სინბინი: ტასკა.*

*მსაჯი: ენდრიუ მაკმენემი (შოტლანდია).*

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ეროვნულ სტადიონზე, ერთა თასის მიმდინარე გათამაშებაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ბორჯღალოსნებმა ტრადიციულად უხერხული მეტოქე და მუდმივი კონკურენტი რუმინეთის ნაკრები დაამარცხა - 28:23.

ჩვენმა ნაკრებმა შეხვედრა საკმაოდ მაღალ ტემპში წარმართა და მონინააღმდეგე თითქმის ყველა კომპონენტში დაჯაბნა. აქამდე რუმინელები ოთხჯერ გვყავს დამარცხებული და მხოლოდ ეს, მეხუთე გამარჯვება იყო პირველი, როცა მონინააღმდეგეს აშკარად ვჯობნიდით. პირველად შევძელით რუმინელებზე უკეთ ხელდახელ თამაში. მოვიგეთ მონინააღმდეგის დერეფანი. არაფერი დაგვიკლია შერკინებაშიც. ტრადიციულად უზარმაზარი სამუშაო შეასრულა პირველმა ხაზმა. რაც მთავარია, პირველად მოხდა, ანგარიშში საგრძნობლად დანინაურებულ რუმინელებს თამაში რომ შემოვუტრიალეთ და მოვუგეთ.

შეხვედრის დასაწყისი საქართველოს ნაკრებს კარგს არაფერს უქადდა. მესამე წუთისთვის სტუმრები უკვე 10:0 იგებდნენ. ჯერ მეორე წუთზე მატჩის შოტლანდიელმა არბიტრმა რაკში თამაშისას დაგვაჯარიმა და **ვალენტინ კალაფეტეანუმ** ანგარიში საჯარიმო დარტყმით გახსნა - 3:0. ის იყო თამაში მოედნის ცენტრიდან განვაახლეთ, რომ მონინააღმდეგემ ბურთი ფეხით ჩვენი ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან დაჰკიდა. ისე გამოვიდა, რომ **ლაშა მალალურაძემ** და **მალხაზ ურჯუკაშვილმა** ერთმანეთს ხელი შეუშალეს. ბურთი იქვე მიმყოლმა რუმინელთა გარემარბმა **კატალინ ნიკოლაემ** ფეხით ჩათვლის მოედნისკენ შეაცურა. იქ კი, ყველას შუამარბმა **ადრიან ბარბულიკეანუმ** დაასწრო. გარდასახვა კალაფეტეანუმ ზუსტად დაარტყა - 10:0.

ასეთი შოკისმომგვრელი დასაწყისის მიუხედავად, ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მწყობრიდან არ გამოვიდნენ და მიზანმიმართულად, ნელ-ნელა დაიწყეს მდგომარეობის გამოსწორება. მალევე, მეხუთე წუთზე ბორჯღალოსნებმა მეტოქე დაალელოვეს, რამაც ქომაგებს იმედი გაუღვივა. გამოჩნდა, რომ რუმინელთა გუნდი სულაც არ იყო უძლეველი. ჩვენმა მორაგბეებმა შერკინების რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშეს და გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა** მეტოქის ლელოში შეაღწია. **მერაბ კვირიკაშვილმა** გარდასახვა ზედ კიდედან ზუსტად დაარტყა - 7:10.

სამწუხაროდ, ორ წუთში დაცვაში ისევ შეცდომა დავუშვით და კალაფეტეანუმ საჯარიმოდან თავისი შანსი კვლავ გამოიყენა - 13:7. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა თამაშის დალაგება შეძლო. ჩვენი მორაგბეები დაცვაში უკეთ ათამაშდნენ. მეტოქეს რამდენიმე დერეფანი მოვუგეთ და ნელ-ნელა ბორჯღალოსნების უპირატესობა თვალნათელი გახდა. თუმცა რეალურ ქულებში ეს მხოლოდ ტაიმის დასკვნით ათ წუთში აისახა. 31-ე წუთზე კვირიკაშვილმა საჯარიმოდან გაიტანა -10:13.

ტაიმის მიწურულს კი, მოედნის ცენტრის ხაზთან რუმინელთა ცხრა ნომერმა ვალენტინ კალაფეტეანუმ ბურთის ჩვენი ხაზის ზურგს უკან გადაკიდება სცადა, მაგრამ მალალურაძემ დროულად ჩაუხურა, ბურთს დაეუფლა, ოდნავ წინ წაიწია და მარცხნივ მოკლე ფრთაზე მაჩხანელს გაატანა. ამან კიდეზე თითქმის 40 მეტრი ირბინა. ორი მონინააღმდეგე გზიდან ჩამოიცილა და მეორე ლელო მიითვალა. „მეკომ" ამჯერად გარდასახვა ვერ გაიტანა - 15:13.

მეორე ტაიმი, თუ ბოლო ხუთ წუთს არ ჩავთვლით, მთლიანად საქართველოს ნაკრების კარნახით მიმდინარეობდა. ჩვენი მორაგბეები მონინააღმდეგეს ხშირად აიძულებდნენ დაეშვათ შეცდომა. კვირიკაშვილმა ორჯერ დაარტყა საჯარიმო, მაგრამ ვერ გაიტანა. შედეგად დამრტყმელის ფუნქცია ლაშა მალალურაძემ ითავა. 48-ე წუთზე კი ანგარიშში სხვაობა ცხრა ქულამდე გაიზარდა. მეტოქის ნახვარზე ბორჯღალოსნებმა მოლი შეკრეს. რუმინელებმა ჩაქცევა სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მოლი დავძარით და დაახლოებით ათი მეტრი გავიარეთ. მერე მოლს უეცრად შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი** მოწყდა და მონინააღმდეგის ხაზი გაჭრა. მას შუამარბი **თედო ზიბზიბაძე** წამოეშველა, რომელმაც მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე გარემარბი მალხაზ ურჯუკაშვილი მონახა. მახო ძალზედ მაღალი სისწრაფით დაიძრა და ლელოში ისე შეიჭრა, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. გარდასახვა მალალურაძემ დაარტყა და გაიტანა - 22:13.

მატჩის დასასრულამდე ჩვენმა გუნდმა კიდევ ორი სალელოვე შეტევა გაუშვა ხელიდან. მე-60 წუთზე მალალურაძემ ამჯერად საჯარიმოდან გაიტანა - 25:13. თუმცა ორ წუთში კალაფეტეანუმ საჯარიმოთივე უპასუხა - 16:25. ანგარიშის შესაცვლელად საქართველოს ნაკრებს 13 წუთი დასჭირდა. მალალურაძემ ისევ საჯარიმოდან აღადგინა 12 ქულიანი სხვაობა - 28:16.

თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთილა რჩებოდა. ძნელად სავარაუდო იყო, რუმინელებს ამ დროში შეხვედრა ეხსნათ. მატჩის მიწურულს, როგორც ჩანს, ჩვენს მორაგბეებს დაღლაც დაეტყოთ და გამარჯვებაში დარწმუნებულები ოდნავ მოდუნდნენ. რითაც სტუმრებმა კარგად ისარგებლეს. რამდენიმეფაზიანი შეტევა შეხვედრის ბოლო წამებზე ლელოთი ისევ შუამარბმა ადრიან ბარბულიკეანუმ დაასრულა, კალაფეტეანუმ გარდასახა და მატჩიც დამთავრდა - 28:23.

### მატჩის შემდეგ

***ტიმ ლეინი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:*

*„პირველ ათ წუთში ჩვენი მონინააღმდეგის მწვრთნელს ალბათ თვალწინ რუმინეთი-რუსეთის შეხვედრის ეპიზოდები დაუდგა. ვერ დავიწყეთ კარგად. ჯერ საჯარიმო გაგვიტანეს, მერე საკმაოდ მარტივად ლელოც მიითვალეს. ჩვენი მორაგბეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ ანერვიულდნენ. მათ სჯეროდათ ერთმანეთის და კარგად ახსოვდათ, რომ წინ კიდევ 70 წუთია. თამაში შეხვედრის ბოლო წუთამდე გრძელდება.*

*ჩვენი გუნდი ცალკეულ ეპიზოდებში ვარსკვლავებს ნამდვილად ვერ წყვეტდა. ცხადია, უფრო კარგი იქნებოდა, მატჩი 28:16 დამთავრებულიყო. მაგრამ, რუმინელებმა ძალა მოიკრიბეს და ბოლო წამებზე ლელოს გატანა მოახერხეს.*

*რუსებთან შეხვედრაში, გამორიცხული არაა აქვსენტი გიორგაძე და ილია ზედგინიძე დაგვემატონ. ილოს ამჯერად დასვენების საშუალება მივეცით. ვფიქრობთ, ის მომდევნო შეხვედრაში უფრო გამოგვადგება. ასევე ჯერჯერობით ცნობილი არაა, რამდენად სერიოზულია თედო ზიბზიბაძის ტრავმა."*

***ელის მიჩენი,** რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი:*

*„მატჩის შედეგმა იმედი გამიცრუა. გუნდმა ვერ შეასრულა დავალება. პირწმინდად წავაგეთ დერეფანი. ამ კომპონენტში გამოჩნდა, რომ ბევრი სამუშაო გვაქვს.*

*რუსეთის ნაკრები არ არის სუსტი გუნდი. თუმცა მათთან 60 წუთი ძალიან ცუდად ვითამაშეთ. თუ საქართველოს ნაკრები შეძლებს თავისი ძლიერი მხარეების გამოყენებას და მწვრთნელის მიერ დასახულ გეგმას მიჰყვება, ვფიქრობ, რუსეთის ნაკრებს გამარჯვების შანსი არ ექნება."*

**პორტუგალია-ესპანეთი 24:19**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 3 | 1 | 0 | +82 | 7 |
| 2. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +40 | 6 |
| 3. პორტუგალია | 4 | 2 | 1 | 1 | +39 | 5 |
| 4. რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | +17 | 4 |
| 5. ესპანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -74 | 2 |
| 6. გერმანია | 4 | 0 | 0 | 4 | -104 | 0 |

**21 მარტი**

რუმინეთი-პორტუგალია

**22 მარტი**

რუსეთი-საქართველო

**2 მაისი**

გერმანია-რუსეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო

# ქევხიშვილი კვლავ ამერიკის ჩემპიონია

13-14 მარტს ტეხასის უნივერსიტეტ A&M-ის სტადიონზე ამერიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატი გაიმართა მძლეოსნობაში. 24 წლის გარდაბნელმა ათლეტმა **მარიამ ქევხიშვილმა** ბირთვის კვრაში ყველას აჯობა და ტიტული შეინარჩუნა (მარიამი შარშანაც გახდა ამერიკის ჩემპიონი დახურულ დარბაზებში). ქართველმა მძლეოსანმა ბირთვი 17,84 მეტრზე ჰკრა. ეს მაჩვენებელი ქევხიშვილის პირად მიღწევას 10 სანტიმეტრით ჩამორჩება, თუმცა მეტოქეების დასამარცხებლად სავსებით [illegible] გამოდგა. [illegible]თი რეკორდი მაინც დაამყარა, ამ სარბიელზე ასე შორს ბირთვი არავის უსვრია. მეორე ადგილზე გასულმა **სარა სტივენსმა** 17,74 მ შედეგი აჩვენა, მესამეზე **ენი ალექსანდერი** გავიდა 17,42 შედეგით. ორგზის ოლიმპიელ მარიამ ქევხიშვილს პეკინის ოლიმპიადაზე დიდი ჩავარდნა ჰქონდა, მან იქ ბირთვი მხოლოდ 15,99 მეტრზე ისროლა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ემატოს!

# სპორტული კომპლექსი დიდ დიღომში

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა **ნიკა რურუამ** დიდ დიღომში, ფარნავაზისა და პეტრიწის ქუჩებს შორის ტერიტორიაზე მშენებარე სპორტული კომპლექსი მოინახულა და მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა. მინისტრთან ერთად იყვნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური,** რაგბის კავშირისა და თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები.

ტერიტორიაზე კომპანია „ვისოლი" ძირითადი და სათადარიგო მოედნებით სარაგბო კომპლექსს აშენებს. "ვისოლმა" ტერიტორია ადგილის სპორტული პროფილის შენარჩუნებით და 10 წლის განმავლობაში სპორტული კომპლექსის აშენების უფლებით შეისყიდა.

სარაგბო მოედნების მშენებლობა წელიწადია მიმდინარეობს. სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი მოედანი უკვე მზადაა და უახლოეს დღეებში ვარჯიშების ჩატარება შესაძლებელი იქნება. რაც შეეხება ძირითად არენას, სარბიელი შენების პროცესშია და მისი დასრულება 2009 წლის მაისის მიწურულს იგეგმება.

ტერიტორიის მთლიანი ფართობი, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს, 33 ათასი კვადრატული მეტრია. ბუნებრივი სარაგბო მოედნის პარამეტრებია 125/74 მეტრი, (125 მ სიგრძე, 74 მ სიგანე), ხოლო სათადარიგოსი — 90/50 მეტრი.

ბუნებრივსაფარიან მოედანს გაუკეთდება ტრიბუნა 500 მაყურებლისთვის. კომპლექსს ექნება 2 ადმინისტრაციული შენობა. სარაგბო მოედნის გვერდით, კომპანია „ვისოლი" ველოტრეკსაც აშენებს, რომლის ცენტრში ჩოგბურთის კორტები მოეწყობა. ტრეკის მშენებლობა, სადაც ველომრბოლელებისათვის 10 ბოქსი განთავსდება, თითქმის დასრულებულია. სპორტკომპლექსის ტერიტორიაზე არენის მოწყობა მშვილდოსნებისთვისაც იგეგმება.



მარჯვნიდან: ნიკა რურუა, გიორგი ნიჟარაძე და დავით ნამგალაური

სამთო-თხილამურობა

# იასონი მეხუთეა

საქართველოს ნაკრების ლიდერი, სამთო-მოთხილამურე **იასონ აბრამაშვილი** აგრძელებს წარმატებულ ასპარეზობას ევროპის სამთო კურორტებზე. იასონმა გერმანულ არბერში ისრიალა. ქართველი ჯერ 20 წლისაა, ასე რომ, 13 მარტს მან ახალგაზრდულ გიგანტ სლალომშიც სცადა ბედი, სადაც მე-9 ადგილი დაიკავა. ამავე დისციპლინაში **ალექსი ბენიანიძე** 30-ე იყო, **კოტე ვახტანგიშვილი** - 46-ე, ხოლო **ბიძინა ქართველიშვილი** ბოლო, მე-80.

ამის შემდეგ უკვე დიდებს შორის (FIS-ის ეგიდით) გიგანტური სლალომი მოეწყო. იასონმა მაინცდამაინც კარგად ვერ იასპარეზა, ის 21-ე ადგილს დასჯერდა. ალექსი ბენიანიძე 44-ე იყო, კოტე ვახტანგიშვილი - 52-ე, **ვახტანგ თედიაშვილს** ხელი პირველივე ცდაზე მოეცარა. სამაგიეროდ, აბრამაშვილმა გუშინ სლალომში იყოჩაღა. მონაწილეთა შორის რეიტინგით მე-12 ქართველმა საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა. თუმცა კი გამარჯვებულ **სებასტიან ლიებლს** (გერმანია) გვარიანად (3,5 წამი) ჩამორჩა. სხვა ქართველებმა ტრასის ჩამთავრება ვერ შეძლეს. საერთოდ, ფინიშამდე მხოლოდ მონაწილეთა მესამედმა მიაღწია. გერმანულ ლენგრიესში ორ სლალომში იასპარეზა ოლიმპიადის ლიცენზიანტმა **ნინო წიკლაურმა,** ორივეჯერ იგი 53-ე ადგილზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

საქართველოს XVIII ჩემპიონატი. XVI ტური

# მარკოიშვილის აბსოლუტური რეკორდი

## ენერჯიმ ავია ჩამოაგდო

15 მარტი. თბილისი. სპორტის სასახლე

| მაკაბი-ნტდ | 39:71 |
|---|---|

8:24, 7:12, 12:12, 12:23

მაკაბი: კილაძე, ჯიქია, ანთაძე (18ქ, 6მ), ლონდარიძე (7ქ, 15მ, 6ჩ), აპმედიანი, რევაზიშვილი, თევზაძე, კოპალიანი, არონია (7ქ), ჩლაიძე (4ქ), სუდაძე (13ქ), ჭედლიძე

ნტდ-თბილისი: ტეტელაშვილი (4ქ), ფაშაევი (6ქ, 3ჩ, 3ჩ), ნიფტალიევი (5ქ, 6ჩ), გლოველი (10ქ, 6მ), როდუმტა, კოლუშვილი (6ქ, 5მ), ბახშიევი (6ქ), სუხიშვილი (15ქ, 6მ), დ. ბარბაქაძე (11ქ), ათუაშვილი (8ქ, 7მ, 3პ, 3დ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| თსუ-ბათუმი | 162:81 |
|---|---|

40:14, 40:20, 38:19, 44:28

თსუ: ივანეიშვილი (4ქ), გაფრინდაშვილი (9ქ, 3პ), ელანიძე (5ქ), კოხრეიძე (11ქ, 12მ, 13პ, 7ჩ), შანიძე (6ქ), ლოსაბერიძე (12ქ, 4პ, 6მ), მარკოიშვილი (75ქ, 10მ), კუჭავა (6ქ), ხეცურიანი (26ქ, 13მ, 17პ, 3ჩ), ახალკაცი (6ქ), დეკანოიძე (2ქ)

ბათუმი: გვაზავა (5ქ), მაისურაძე (8ქ, 9მ), ნ. ნოზაძე (9ქ, 3პ), ჩხაიძე (2ქ, 3პ), კეშელავა (41ქ, 5მ), მ. ბოლქვაძე (7ქ, 6მ), შალიკიანი, კვერნაძე (3ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

| ავიამშენი-ენერჯი | 88:93 |
|---|---|

9:20, 19:21, 19:21, 41:31

ავიამშენი: ი. ბრიშვილი (25ქ, 7პ, 4ჩ), ნიკოლაძე (12ქ, 4პ, 3ჩ), კვიმსაძე, ნინიაშვილი (6ქ, 9მ), ნაცვლიშვილი (11ქ, 10მ), პირველაშვილი (11ქ, 7მ), შერმადინი (10ქ, 5მ), ბოისა (13ქ, 7მ)

ენერჯი: გამყრელიძე (23ქ, 5მ, 7პ), ბაბიაშვილი (5ქ), ლეჟავა (5ქ), დიდია (6ქ), ტულუში (31ქ, 11მ, 5პ), უგრეხელიძე (14ქ), არწივიძე, ტუჯანი (7ქ, 8მ), ჭოჭუა (2ქ), მაჭავარიანი

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

| შსს-სასოფლო | 69:88 |
|---|---|

18:16, 14:26, 13:24, 24:22

შსს: შენგელია (17ქ, 9მ), მიქაბერიძე (2ქ), ბერუაშვილი (2ქ), ბექაური (6ქ), ბ. ნოზაძე (5ქ), ბერია (3პ), პატარაია (24ქ, 6მ, 5პ, 3ჩ), ქვილითაია, აბულაძე (8ქ, 5მ), ბაქრაძე, ამაშუკელი (5ქ), ფაიქრიძე

სასოფლო: გულისაბედაშვილი (18ქ, 5მ, 4პ, 3ჩ), ყველაშვილი (3ქ), გ. ბარბაქაძე (5ქ), გასიტაშვილი (2ქ), ტყეშელაშვილი (13ქ, 6მ, 3), ნივნივაძე (14ქ), ათანელიშვილი (11ქ, 9მ), ბოქოლიშვილი (9ქ), ჩაჩიბაია (8ქ, 3პ), თვაური (2ქ), ცერცვაძე (3ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 14 | 14 | 0 | 28 |
| 2. თსუ | 15 | 10 | 5 | 25 |
| 3. სასოფლო | 14 | 10 | 4 | 24 |
| 4. ნტდ | 14 | 10 | 4 | 24 |
| 5. ავიამშენი | 14 | 10 | 4 | 24 |
| 6. ბათუმი | 14 | 5 | 9 | 19 |
| 7. დინამო | 14 | 3 | 11 | 17 |
| 8. შსს | 14 | 2 | 12 | 16 |
| 9. მაკაბი | 15 | 0 | 15 | 15 |

**გიორგი მარკოიშვილმა** საქართველოს ჩემპიონატების ყველა დროის რეკორდი დაამყარა - მან "ბათუმთან" მატჩში 75 ქულას მოუყარა თავი. ერთი კვირის წინათ გიორგიმ "მაკაბისთან" დაპირისპირებისას 71 ქულა ჩააგდო და მატჩის შემდეგ დანანებით აღნიშნა: რომ მცოდნოდა საქართველოს პირველობების რეკორდი 74 ქულაა, როგორმე 4 ქულასაც მოვაგროვებდიო... გუშინ მარკოიშვილმა "ბათუმთან" შეხვედრის უკანასკნელ ნამებზე სამქულიანი გამოიყენა და დინამოელი **დავით ჩიქოვანის** რეკორდი მოხსნა.

თსუ-ს ფორვარდის სრული მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 40 წუთი, 75 ქულა (29-დან 21 ორქულიანი, 22-დან 9 სამიანი, 7-დან 6 საჯარიმო), 10 მოხსნა, 2-2 პასი-ჩაჭრა. საყურადღებოა, რომ მარკოიშვილმა 9-დან 6 სამქულიანი მეოთხე ათწუთეულში ჩააგდო.

მართალია, გიორგის სტატისტიკაზე უკეთესად არ გამოიყურება, მაგრამ მიმდინარე სეზონში პირველად დაფიქსირდა სამმაგი დუბლი, თანაც ერთბაშად ორი: თსუ-ს კაპიტანმა **შიო ხეცურიანმა** 26 ქულა, 17 შედეგიანი გადაცემა და 13 მოხსნა მიითვალა, ხოლო მისი თანაგუნდელი **შალვა კოხრეიძე** 11 ქულით, 12 მოხსნითა და 13 პასით გამოირჩა.

თუ სტუდენტთა შორის საუკეთესო მე-11 ნომერი, მარკოიშვილი იყო, ზღვისპირელთაგანაც მეთერთმეტეს, ლაშა კეშელავას ჰქონდა ეფექტური მონაგარი - 41 ქულა.

"ბათუმთან" მატჩში კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა - თსუ-მ საქართველოს პირველობების ისტორიაში ყველაზე მეტი, 162 ქულა ჩააგდო.

ვიდრე მოედანზე თსუ და "ბათუმი" გამოვიდოდნენ "მაკაბიმ" და "ნტდ-თბილისმა" ითამაშეს. როგორც მოსალოდნელი იყო, **ნუგზარ კანდელაკის** ნტდ-ელებმა უპრობლემოდ დაამარცხეს მეტოქე – 71:39. სხვათა შორის, 39 ქულა საქართველოს მიმდინარე პირველობის ანტირეკორდია. ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ნაკლები, 27 ქულა სსუ-ს ანგარიშზეა, რომელიც ოთხი წლის წინათ "ბასკოსთან" მატჩში ჩააგდო. სხვათა შორის, მაშინ, "ბასკოსაც" ნუგზარ კანდელაკი წვრთნიდა.

გუშინდელი დღის მესამე მატჩს უნდა ეპასუხა კითხვაზე: დაასრულებს თუ არა "ენერჯი" რეგულარულ ჩემპიონატს წაუგებლად. წინასამატჩო პრესკონფერენციისას რუსთაველთა და ავიატორთა მწვრთნელების საუბრის მიხედვით წინასწარ შეიძლება გვევარაუდა, რომ ზემოდასმულ კითხვას დადებითი პასუხი მოეძებნებოდა. "ავიას" აკლდა მთავარი ცენტრი **რიჩარდ მათიაშვილი,** ფორვარდი **ვახტანგ მინაშვილი** და გამთამაშებელი **დავით ბერიშვილი.** ასეთი დანაკლისი "ენერჯისთან" დაპირისპირებისას არ შეიძლება "ავიაზე" არ ასახულიყო.

რუსთაველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ სეზონში წაუგებლად შემთხვევით არ მოდიან. მათ პირველივე წუთებიდან მწყობრი დაცვა დააყენეს, შეტევებს კი ისეთი სისწრაფით ახორციელებდნენ, ავიაგამანადგურებელ სუ-25-ის პილოტებს შემურდებოდათ. პილოტებად **ლაშა გამყრელიძე** და **კოტე ტულუში** მოგვევლინენ, რომლებიც შესანიშნავად ურთიერთქმედებენ. საბოლოოდ ტულუშმა 31 ქულა, 11 მოხსნა და 5 პასი მიითვალა, ხოლო გამყრელიძემ 23 ქულა, 7 პასი და 5 მოხსნა.

მესამე პერიოდში რუსთაველთა უპირატესობამ 24 ქულა შეადგინა – 54:30. ქვემოქართლელები მეოთხე პერიოდს 20-ქულიანი ფორით შეხვდნენ და გამარჯვებაში დარწმუნებულმა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** მოედანზე გამოცდილების ნაცვლად ახალგაზრდები შეიყვანა. ამით ისარგებლეს "ავიას" უკანახაზელებმა: **გიორგი ნიკოლაძემ** და **ირაკლი ბერიშვილმა** - სამიანი სამიანს მიაყოლეს. შორიდან ტყორცნებში **ანატოლი ბოისაც** სიზუსტით გამოირჩა და დაცვაშიც მედგრად იბრძოდა. "ავიას" გამოფხიზლებას დაერთო რუსთაველი **დავით არწივიძის** აღელვება, რომელმაც ჯერ ტექნიკური შენიშვნა მიიღო, შემდეგ – დისკვალიფიკაცია. ეს სირენამდე 2 წუთით ადრე მოხდა. ირაკლი ბერიშვილის მიერ ჩაგდებულ ოთხ საჯარიმოს ნიკოლაძემ სამქულიანი მიამატა და ანგარიშში სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა - 79:85. დარჩენილ დროში "ენერჯის" კალათბურთელები ჯარიმებს არ აცილებდნენ, "ავიატორები" კი სამქულიანებით პასუხობდნენ და საფინალო სირენამ რუსთაველთა 5-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირა – 93:88.

მეოთხე მატჩში პირველი ტაიმი "სასოფლოს" შსს-მ მოუგო (18:16), მაგრამ მეორე ათწუთეულიდან "სასოფლომ" დაცვაში თამაში გამოასწორა და დაგეგმილი გამარჯვება ჩაიწერა. მატჩში ერთადერთი კალათბურთელი ასცდა 20 ქულას – "ძალოვანმა" **შოთა პატარაიამ** 24 ქულა ჩააგდო.

მატჩის ბოლოს ტრიბუნებზე კატამ ჩაისეირნა და შეგვახსენა, რომ მარტია...

**ვაჟა სიმონიშვილი**







ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას 38-ე გამარჯვება

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტამ" NBA-ში მორიგი თამაში მოიგო – "ინდიანა პეისერსი" 101:87 დაამარცხა. მესამე პერიოდის მეშვიდე წუთზე ტაბლოზე თანაბარი ანგარიში ეწერა: 62:62. სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ გამოცოცხლდა "ატლანტა", 21:6 სპურტი მოაწყო და სეზონში 38-ე გამარჯვება მოიპოვა (28 წაგება).

გაქცევისას ზაზა ფაჩულია მოედანზე იყო და გუნდს 4 ქულით შეეწია.

| ატლანტა-ინდიანა | 101:87 |
|---|---|

ზაზა ფაჩულია: 16 წუთი, 4 ქულა, 7 მოხსნა, 1 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 04:13 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:37 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 03:36 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 03:34 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 03:03 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:58 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 11:05 | ფოლი: 1 |
| 09:30 | ზაზა ჯონსონმა შეცვალა |
| 02:38 | ზაზამ ბიბი შეცვალა |
| 01:28 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 01:09 | ორქულიანი: 2ქ (43:48) |
| **III პერიოდი** | |
| 02:15 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 00:51 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 00:25 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| **IV პერიოდი** | |
| 09:30 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 09:20 | ორქულიანი: 4ქ (83:68) |
| 09:03 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 |
| 07:54 | ზაზა სმითმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვამ ფინალს დასჯერდა

**ოქსანა კალაშნიკოვამ** (385) წინა კვირის მიღწევა ვერ გაიმეორა, თუმცა მან არც ამჯერად ითამაშა ურიგოდ. ეგვიპტის ქალაქ გიზაში ერთმანეთის მიყოლებით ორი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა (ორივე 10 ათასი $), პირველში ჩვენმა თანამემამულემ იმარჯვა, როგორც ერთეულებში ასევე წყვილებში, მეორეში კი მან ფინალში გასვლა იმყოფინა. მეორე ტურნირის ნახევარფინალში ოქსანას მეტოქე უნგრელი **ალექსანდრა ფილიპოვსკი** (674) იყო, საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული ჩოგბურთელი, რომელმაც რამდენიმე სენსაცია მოახდინა გიზაში. ჩვენებურთან სერბული წარმოშობის უნგრელს არაფერი გამოუვიდა, კალაშნიკოვამ ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დათმო - 6:1, 6:2. მეორე ნახევარფინალურ წყვილში რუსმა **გალინა ფოკინამ** ხორვატი **ტერეზა მრდეზა** (598) დაამარცხა - 7:5, 7:6 (2). ფინალში ფავორიტი, თითქოს, ოქსანა იყო - 25 წლის ფოკინა საერთაშორისო ტურნირებზე თამაშით თავს არ იკლავს, ამიტომაც ურეიტინგოა. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ როდესაც ის ინტენსიურად გამოდიოდა შეჯიბრებში მსოფლიოს მეორე ასეულში იმყოფებოდა. ფინალში რუსმა ორ სეტში იმარჯვა - 6:4, 6:2.

სხვათა შორის, ეგვიპტეში საკმაოდ იშვიათი ამბავის მომსწრენი გავხდით - ეგვიპტეში მიჯრით სამი ტურნირი იმართება, გიზაში ორი 10-ათასიანი და შემდეგ ქაიროში - 25-ათასიანი. რეიტინგი ოქსანას ქაიროს ტურნირის ძირითად ბადეში თამაშის საშუალებას არ აძლევდა, რადგან იგი გიზაში ნახევარფინალში გავიდა ქაიროს ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაბმას ვერ ასწრებდა (ქაიროში მხოლოდ გიზას ტურნირის გამარჯვებულს ინვევდნენ). ჩვენებურმაც გადაწყვიტა ერთდროულად ორივე ტურნირში ეცადა ბედი! ასე რომ, გიზაში ნახევარფინალის მოგების შემდეგ ორიოდ საათში ოქსანამ ქაიროში (კიდევ კარგი ქალაქებს შორის მხოლოდ 20 კმ-ია) საკვალიფიკაციო ბადის პირველი მატჩი მოიგო. მე-9 ნომრად განთესილმა კალაშნიკოვამ რუს **ნადეჟდა სამოილოს** (1058) აჯობა - 6:4, 6:1. მეორე წრეში ოქსანას მეტოქე გერმანელი **იასმინ შტაინერია** (997).

კანარის კუნძულებზე, ქალაქ ტენერიფეში სტარტი აიღო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ძირითად ბადეში **მაკა ჩახნაშვილი** (212) ითამაშებს, იქ გაღწევას კიდევ ორი ჩვენებური ცდილობს. **სოფიო ქვაცაბაიამ** (661) პირველ საკვალიფიკაციო წრეში ესპანელი **ფედერიკა ბენიტეს-საფრა** დაამარცხა - 6:1, 6:3. ხოლო **ეკა გორგოძემ** (601) გერმანელ **კაროლინ გრიმელს** აჯობა - 6:0, 7:6 (5). ქვაცაბაიას მეტოქე ახლა მე-4 ნომრად განთესილი ლუქსემბურგელი **მენდი მინელაა** (332), გორგოძის კი მე-11 ნომრად განთესილი ფრანგი **ლაურა ტორპია** (396). თუკი ჩვენები ფავორიტებს დაამარცხებენ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად მოხვდება ძირითად ბადეში, რადგან ფინალურ წრეში ერთმანეთთან მოუწევთ დაპირისპირება.

კალიფორნიის ქალაქ რიდინგში იწყება 25-ათასიანი ტურნირი, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში 18 წლის **მაგდა ოქრუაშვილი** თამაშობს. ის პირველ წრეში მე-13 ნომრად განთესილ 15 წლის ბელარუს **ანა ორლიკს** (730) ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ცხენოსნობა

# სამხარაძე სამგზის პირველი გამარჯვებულია

დელისის იპოდრომის ღია საკონკურო მოედანზე გაიმართა ვეტერანი სპორტსმენის და თაობების აღმზრდელი მწვრთნელის **მურმან კიკიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი გარდამავალი პრიზის გათამაშება წინაღობათა გადალახვაში.

ასპარეზობა ტრადიციულია და 2000 წლიდან მოყოლებული მარტის მეორე შაბათ-კვირას იმართება, იგი ჩართულია ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში.

წლეულს ქართველი მხედრები დახურული მანეჟიდან პირველად სწორედ ამ ტურნირისთვის გამოვიდნენ ღია სარბიელზე, რომლის გრუნტიც ორგანიზატორებმა კარგად მოამზადეს.

ტურნირის პრესტიჟულობას ისიც ამაღლებს, რომ მხედრის გვარი და სახელი იტვიფრება დიდ ვერცხლის ლარნაკზე. შესაბამისად ყველა ცდილობს ამ "ალაფს" მინიმუმ 1 წლით დაეუფლოს და ქართული საცხენოსნო სპორტში თავისი კვალი დატოვოს. წლევანდელი გათამაშების პროგრამა ორდღიანი იყო. მეორე დღეს გარდამავალი პრიზი ახალგაზრდა და ძირითადი ცხენებით მოასპარეზე მხედრებმა ერთად გაითამაშეს.

**გიორგი სამხარაძემ** და **ირაკლი გელაშვილმა** 4-4 საჯარიმო ქულით განვლეს მარშრუტი და გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ხტომები დაინიშნა. სამხარაძემ იმარჯვა და მესამედ დაეუფლა სანუკვარ ჯილდოს.

**კახაბერ კიკიანმა** მურმან კიკიანის ვაჟმა, თავადვე ამ შეჯიბრების მონაწილემ, პარკურის მარშრუტის შემდგენელმა და პირველი გათამაშების გამარჯვებულმა, 40-ს გადაცილებულმა მოქმედმა კონკურისტმა, პრიზიორების დაჯილდოებაც შეითავსა.

ქვემოთ გაგაცნობთ ასპარეზობის სხვა შედეგებს:

**კონკური № 1 გახსნის პრიზი:** 1. ზაზა ჩიტრეკაშვილი ("ალი"), 2. გიორგი ქობლიანიძე("გევა" - ორივე ცხენი კერძო მფლობელისაა), 3.(გაიყვეს) გიორგი დათუნაშვილი ("ზარზმა"- კერძო მფლობელი); შალვა გაჩეჩილაძე ("აზიმუტი" - თბილისის იპოდრომი).

**კონკური № 2:** 1. ივანე ნორაკიძე ("ეროსი"), 2.შალვა გაჩეჩილაძე ("ეკლერი"), 3. გიორგი სამხარაძე ("ელპერილი"- სამივე თბილისის იპოდრომი).

**კონკური № 3 დიდი პრიზი ( გარდამავალი თასი):** 1.გიორგი სამხარაძე ("ელპერილი" - თბილისის იპოდრომი), 2.ირაკლი გელაშვილი ("ელმაქსი" - კერძო მფლობელი), 3. ივანე ნორაკიძე („ეროსი" - თბილისის იპოდრომი).

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

სუმო

# წყვილი მოგებით დაწყებული ბაშო

დაწყება ასეთი უნდა - პირველად სუმოს ისტორიაში ქალაქ ოსაკაში ელიტაში ორი ქართველი სუმოისტი გავიდა საჭიდაოდ და სასტარტო ორთაბრძოლა ორივემ მოიგო. ჩვენმა გამოცდილმა ფალავანმა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ყოფილი ოძეკი (ჩემპიონი) **დეჯიმა** დაამარცხა, თანაც მისთვის უჩვეულო ილეთ კაკენაგეთი (ჩვენებურ სარმას წააგავს). კოკაიმდე დოჰიოზე 21 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ავიდა და მონღოლ **ასასეკირიუს** იორიკირით მოერია. უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი სეკივაკე მუხლის ტრავმით გავიდა ქართველის წინააღმდეგ საბრძოლველად. დღეს, მარტის ბაშოს მეორე ტურში კოკაის ძალზე საინტერესო დაპირისპირება ელის მე-6 მაეგაშირა **ტაკამისაკარისთან.** იაპონიის ყველაზე პოპულარული სუმოისტი 17-ჯერ გადაეყარა ქართველს, ჯერჯერობით 9:8-ს კოკაი იგებს, მაგრამ ბოლო 4 დაპირისპირებაა ჩვენებურს არაფერი გამოსდის ტაკამისაკარისთან. ტოჩინოშინი მე-9 მაეგაშირა **ფუტენოს** შეხვდება, რომელმაც მოგებით დაიწყო მარტის ბაშო. ურთიერთშეხვედრებში ქართველი 1:3-ს აგებს.

» 13

ბიბლიოთეკა

ძიუდო



დავით ხახალეიშვილი გამარჯვებულ იმერლებთან

# თავი განსაკუთრებით იმერლებმა ისახელეს

ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დამთავრდა 1993-1994 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც ცხრა მხარის 300-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. განსაკუთრებით იმერლებმა ისახელეს თავი — 36,5 ქულით საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებულებს 5,5 ქულით ჩამორჩნენ თბილისელები, რომლებსაც მეორე ადგილი ხვდათ. ყველასთვის მოულოდნელად მესამეზე სამეგრელო-ზემო სვანეთის ძიუდოისტები გავიდნენ 21 ქულით. მათ ჩამოიტოვეს ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და კახეთი, სადაც ჭიდაობა უფრო პოპულარულიცაა და ტრადიციულიც.

— საერთო გუნდურმა გამარჯვებამ ძალიან გამახარა, — გვითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **დავით ხახალეიშვილმა**, რომელიც ორიოდე კვირის წინათ იმერეთის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. — იყოჩაღეს ქუთაისელმა, წყალტუბოელმა და სამტრედიელმა ფალავნებმა, რომლებსაც თითო ჩემპიონი ჰყავთ, მეგონა, რომ ზესტაფონი, საჩხერე და ჭიათურა მეტ ქულებს შეგვძენდნენ. სამომავლოდ, ალბათ, უფრო გაირჯებიან.

რაც შეეხება ტურნირს, კარგად იყო ორგანიზებული და საინტერესო ორთაბრძოლებიც ვიხილეთ. ბიჭები, მართლაც, შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყვნენ. ეს იმის შედეგია, რომ ბოლო წლებში როგორც ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, ისე ადგილობრივი ხელმძღვანელები პერიფერიებს მეტ ყურადღებას აქცევენ — დარბაზებს არემონტებენ, სექციებს ტატამითა და კიმონოებით ამარაგებენ.. ძიუდოს პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში დიდი როლი **ზურაბ ზვიადაურისა** და **ირაკლი ცირეკიძის** ოლიმპიურმა ჩემპიონობამაც ითამაშა. ერთი სიტყვით, თანადგომა არ გვაკლია, რაც სტიმულს გვაძლევს, უკეთ ვიმუშაოთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს ძიუდოისტებს, მათ მწვრთნელებს, რომლებმაც ყველაფერი გაილეს გასამარჯვებლად. მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ყველა ის ადამიანი, ვინც მატერიალური და მორალური მხარდაჭერა აღმოგვიჩინა...

ზემოთ აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ, რომ ორი დღის განმავლობაში გულშემატკივრებმა დაძაბული ორთაბრძოლები იხილეს ტატამზე. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველოს პირველობა ამავდროულად შესარჩევი ტურნირიც იყო ნაკრებში ადგილის დასაბევებლად. 15-16 წლის ძიუდოისტებისთვის წლეულს ივნისის მესამე დეკადაში ევროპის პირველობა (სლოვაკეთი) გაიმართება. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ჯემალ ნათელაშვილმა** გვითხრა, რომ პირველ-მეორე ადგილებზე გასული მოჭიდავეები ჯერ საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, 4-8 აპრილს კი ესპანეთისა და 13-15 მაისს გერმანიის საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებენ. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა საბოლოოდ ის შემადგენლობა, რომელიც სლოვაკეთში ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს. განსაკუთრებული თუ არაფერი მოხდა, პრიორიტეტი ჩემპიონებს მიეცემათ.

**კვარცხლბეკი**

**50 კგ**
1. ლაშა კვირიკაშვილი (იმერეთი)
2. ვაჟა მარგველაშვილი (შიდა ქართლი)
3. ტარიელ ნამგალაური (მესხეთ-ჯავახეთი)
3. თემურ გოგიაშვილი (შიდა ქართლი)

**55 კგ**
1. ლუხუმ ჩხვიმიანი (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. აპოლონ ზურაბიანი (ლენტეხი)
3. ბექა ჩართოლანი (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
3. გიგა ბერიაშვილი (თბილისი)

**60 კგ**
1. ბექა ტულში (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. ნუგზარ ძურასბედიანი (ლენტეხი)
3. პავლე ქავთარაძე (მცხეთა-მთიანეთი)
3. ტრისტან ფეიქრიშვილი (თბილისი)

**66 კგ**
1. ირაკლი ლომიძე (შიდა ქართლი)
2. ფრიდონ გიგანი (ქვემო ქართლი)
3. დავით კვაშილავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
3. ალიკა ნანიევი (კახეთი)

**73 კგ**
1. ბაჩანა ტიტვინიძე (თბილისი)
2. ბექა რატიანი (თბილისი)
3. თემურ ხაჩიძე (თბილისი)
3. თამაზ ონიანი (იმერეთი)

**81 კგ**
1. ლევან რუაძე (თბილისი)
2. ილია ოტიაშვილი (კახეთი)
3. გიორგი ხოდელი (თბილისი)
3. მამუკა ჯამასაშვილი (კახეთი)

**90 კგ**
1. ელგუჯა ბიბილაშვილი (იმერეთი)
2. ალექსანდრე მილდიანი (ქვემო ქართლი)
3. გიგა ჯიხვაძე (იმერეთი)
3. თორნიკე ოთინაშვილი (თბილისი)

**მძიმე წონა**
1. გიორგი ზაქარიაძე (იმერეთი)
2. როსტომ ხახალეიშვილი (იმერეთი)
3. გიორგი ნემსიწვერიძე (იმერეთი)
3. გიორგი რუხაძე (იმერეთი)

ვაჟა დანელია

# წყვილი მოგებით დაწყებული ბაშო

12«

ბაშო მოგებით დაიწყო ორივე დიდმა ჩემპიონმა - იმპერატორის თასის მფლობელმა **ასაშორიუმ** თანამემამულე კომუსუბი **კიოკუტენჰო** დაამარცხა, ხოლო **ჰაკუჰომ** იაპონელ კომუსუბი **გოეიდოს** აჯობა. ხუთი ოძეკიდან დოჰიოდან განბილებული ორი ჩამოვიდა: **კაიო** და **ჰარუმაფუჯი** (ყოფილი **ამა**).

მესამე დივიზიონში თავის პირველ ორთაბრძოლას დღეს გამართავს მარტის ბაშოზე **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ). გაგამარუ მაკუშიტას მე-3 ნომერია, მისი მეტოქე კი მე-2 ნომერი **კიტაძაკურაა**. 37 წლის კიტაძაკურა ადრე ელიტის წევრი (9 ბაშო) იყო. დადებითი ბალანსის მიღწევის შემთხვევაში გაგამარუ, სავარაუდოდ, მეორე დივიზიონ ძურიოში გადავა.

პარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
15-29 მარტი. ოსაკა (იაპონია)
II დღე: კოკაი (მ 8)-ტაკამისაკარი (მ 6), ტოჩინოშინი (მ 10)-ფუტენო (მ 9).

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი

# ბერაძე და იმნაძე საქართველოს ჩემპიონები არიან

შაბათს ბოლო, მე-9 ტურის პარტიები გათამაშდა თბილისის ჭადრაკის სასახლეში, სადაც საქართველოს 14-წლამდელთა ჩემიონატი მიმდინარეობდა გოგონათა და ვაჟთა შორის. ბოლო ტური საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და დაახლოებით ისე დასრულდა, როგორც ვივარაუდეთ, - ვაჟებში ჩემპიონი **ირაკლი ბერაძე** გახდა, გოგონებში - **ნატო იმნაძე**. გადამწყვეტ ტურში **ირაკლი ბერაძე** თეთრებით ხვდებოდა **ნიკოლოზ ქუმსიაშვილს** და ბევრიც არ უბრძოლიათ - სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. ორივეს ხელს აძლევდა ქულის გაყოფა - ბერაძე ჩემპიონი ხდებოდა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს იღებდა, ქუმსიაშვილი კი მეორე ადგილზე გადიოდა და ევროპის ჩემპიონატის საგზურის მფლობელი ხდებოდა. ძალიან დაძაბულად წარიმართა ბრძოლები მეორე და მესამე დაფებზე, სადაც მესამე ადგილისთვის ორი მთავარი კონკურენტი - **გიგლა ბენიძე** და **გიორგი შონია** შავებით ხვდებოდნენ თავიანთ მეტოქეებს. ორივეს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა და მოიგეს კიდეც, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის გამო მესამე ადგილი ბენიძის წილხვედრი გახდა.

უფრო დრამატულად წარიმართა გოგონათა ბოლო ტური. ერთპიროვნული ლიდერი ნატო იმნაძე შავებით ხვდებოდა პირველ ნომრად განთესილ **ნანი უნაფქოშვილს**. ნატოს ყაიმიც ხელს აძლევდა, უნაფქოშვილს კი მესამეზე გასვლის ყოველგვარი შანსი ჰქონდა დაკარგული. იმნაძეს პირველობაში მოცილე მხოლოდ **ანა შაფათავა** ჰყავდა, რომელიც თეთრებით ხვდებოდა **ლიკა კობეშავიძეს**. მოულოდნელად ანამ მშვიდობიანი ტაქტიკა აირჩია, თეთრებით მოგებაზე არ ითამაშა, მოწინააღმდეგეს დაუზავდა და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. არადა, რომ გაემარჯვა, დიდი შანსი ჰქონდა, ჩემპიონიც გამხდარიყო, რადგანაც იმნაძემ უნაფქოშვილთან წააგო. მართალია, ასეთ ფინალს წინასწარ ვერ განსაზღვრავ, მაგრამ, როცა თეთრებით ხარ, გარისკვად ღირს. თუმცა ანამ ნაღდი არჩია. მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა მესამე დაფაზე, სადაც განთესვით მეორე **ანა კუჭავა** შავებით ხვდებოდა **ანა ლიპარტელიანს**. ლიპარტელიანის რეიტინგი ამ ტურნირზე 24-ე იყო და ამადაც არ თვლიდნენ მას წყვილის ფავორიტად. ლიპარტელიანმა არად ჩააგდო მეტოქის სახელი და გაიმარჯვა. კუჭავას მარცხით ისარგებლა ქუთაისელმა **მარიამ ჭოლაძემ**, რომელმაც თეთრებით დაამარცხა **ნინო ხომერიკი** და 6,5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა. ცნობისთვის: - შამათავაც ქუთაისელია და გიგლა ბენიძეც. ირაკლი ბერაძე, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი და ნატო იმნაძე კი თბილისელები არიან. გამოდის, რომ წლევანდელი ჩემპიონატი ორი ტრადიციული და უძლიერესი ქართული საჭადრაკო სკოლის წარმომადგენლების ჰეგემონიით აღინიშნა.

წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ტურნირის პარალელურად ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნაში, რომლის ინიციატორიც და ავტორიც ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი **დავით გურგენიძეა**. ტურნირი ერთდღიანი იყო და მასში 25-მა მსურველმა მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ასეთ კონკურსში გოგონებიც და ვაჟებიც ერთად მონაწილეობენ. საქართველოს ჩემპიონი ნიკოლოზ ქუმსიაშვილი გახდა, - მან 28 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი ერგო ანა კუჭავას, რომელმაც 27 ქულას მოუყარა თავი. მესამე ადგილზე **რამაზ ენდელაძე** გავიდა, რომელმაც, სხვათა შორის, ძირითად ტურნირში - საქართველოს ჩემპიონატშიც კარგი შედეგი აჩვენა - მე-5-8 ადგილები გაიყო და მხოლოდ კოეფიციენტით ერგო მე-8 ადგილი.

გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

კვარცხლბეკი. გოგონები: **1. ნატო იმნაძე - 7ქულა; 2. ანა შამათავა - 7; 3. მარიამ ჭოლაძე - 6,5.**

ვაჟები: **1. ირაკლი ბერაძე - 7,5; 2. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - 7; 3. გიგლა ბენიძე - 7.**

მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატები წელსვე, შემოდგომით გაიმართება ანთალიაში. ევროპელებს იტალიური ქალაქი სან-ჯორჯინო უმასპინძლებს.

ზვიად შათირიშვილი

# ეს გოგო კარგად თამაშობს...

თოთხმეტი წლის ჩინელ **იფან ჰოუს** დიდ ხანია მსოფლიოს ქალთა ჭადრაკის მომავლად და იმედად რაცხავენ, მაგრამ მისი გენიალობის დადასტურებას არანაკლებ ნიჭიერი ქალბატონები უშლიდნენ ხელს - დრო და დრო მის დაჩაგვრას ახერხებდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და ამით ანელებდნენ საყოველთაო აღტკინებას... დასტურად გასული წლის საჭადრაკო ოლიმპიადაზე **მაია ჩიბურდანიძის** მიერ ჩინელის დაჩაგვრაც გამოდგება და არც სტამბოლის გრანპრის პირველი ტური იყო შორს იმავე შედეგისგან - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა პირწმინდად გადაითამაშა იფანი, თანაც შავებით და მოგებამდე ბევრიც აღარაფერი უკლდა... სამწუხაროდ, მაიას ყურადღება გაეფანტა და მოგება ველარ შეძლო - ყაიმი დაფიქსირდა. როგორც შემდეგში ვნახეთ, ქართველთან გაყოფილი ქულა აღმოჩნდა ჩინელისთვის ერთადერთი დანაკარგი, - მან მერე ყველა პარტიაში იმარჯვა, - თვით **ჰამპი კონერუსაც** კი დააყრევინა ფარ-ხმალი. ჩვენ ჩვენი ვიდარდოთ და ჩიბურდანიძის კვალს მივყვეთ. შაბათის ნომერში მოგახსენეთ - მაიას ასეთი უგერგილობა არ გვახსოვს და აქ რაღაც სხვა პრობლემა უნდა იყოს-თქო, ვივარაუდეთ. არ დაგზარდით, მივიკითმოვიკითხეთ და გავარკვიეთ, რომ სტამბოლში მაია ჩიბურდანიძეს მისი განუყრელი მწვრთნელი **ხვიჩა სუპატაშვილიც** თან ახლავს, მაგრამ ვერაგ ვირუსს დაუცდია და საწოლისთვის მიუჯაჭვია, რაც მაიას სათანადოდ მომზადებაში დიდი პრობლემა შეუქმნია. ამასაც არ დავეძებდით: მაიაც ვერ გრძნობს თავს საუკეთესოდ და მისი უხეში შეცდომებიც არასათანადო მზაობის გამოძახილი ყოფილა - ჯანმრთელობამ მთელი დატვირთვით თამაშის უფლება არ მისცა, - პარტიის ბოლოს ძალიან ილლება და ორი მარცხიც ამის შედეგიაო - ასე გვამცნო ბატონმა ხვიჩამ. იმედია, ტურნირის გასრულებამდე მწვრთნელიც გამოჯანმრთელდება და შეგირდიც და ისე ჩაამთავრებენ ტურნირს, როგორც ლეგენდარულ მაია ჩიბურდანიძეს ეკადრება...

მეშვიდე ტურში ჩიბურდანიძემ აზერბაიჯანელი **ზეინაბ მამედიაროვა** დაამარცხა, რითაც საბოლოო წარმატების შანსი დაიბრუნა. იფან ფოუს შესახებ უკვე მოგახსენეთ - მას ალტერნატივა ძნელად რომ გამოუჩნდეს, მაგრამ მეორე - მესამე ადგილებზე გასვლის შანსი კი ბევრს შერჩენია... თუ ვის მოეძევება ამგვარი შანსი, ცხრილში ჩახედვით მკითხველი ადვილად მიხვდება: **1. იფან ჰოუ - 6,5;2. სიუ ჭაო -6; 3. ჰამპი კონერუ - 5; 4. ეკინა დანიელიანი - 4,5; 5. ანტუანეტა სტეფანოვა - 3,5; 6.მაია ჩიბურდანიძე - 3,5; 7. მარტა ფიერო - 3,5; 8. მარი სებაგი - 3,5; 9. იანკ შენი - 2; 10. პია კრამლინგი - 2; 11. ზეინაბ მამედიაროვა - 1,5; 12. ქემრე ილდიზი - 0,5.**

მერვე ტურის წყვილები ასეთია: **კონერუ - მამედიაროვა; სტეფანოვა - ჩიბურდანიძე; კრამლინგი - იანკ შენი; ქემრე ილდიზი - დანიელიანი; მარტა ფიერო - მარი სებაგი; ჰოუ იფანი - სიუ ჭაო.**

ზვიად შათირიშვილი

# ჯობავას ჩემპიონობის შანსი გაუჩნდა

ევროპის ვაჟთა ჩემპიონატზე ქართველ **ბაადურ ჯობავას** გასულ შაბათკვირას ფორტუნამ დიდი წყალობა არგუნა და ერთ-ერთ ლიდერად აქცია - მერვე ტურში ერთპიროვნულ ლიდერთან, უკრაინელ **ანდრეი ვოლოკიტინთან** დაპირისპირებაში გაიმარჯვა და ცხრილის სათავეში მოექცა. მართალია, ერთპიროვნული ლიდერი არ გამხდარა ქართველი, მაგრამ მოცილე ბევრიც არ ჰყოლია - რუსი **ერნესტო ინარკიევი** გაუთანაბრდა და წილისყრამ მეცხრე ტურში ერთმანეთსაც გადაჰყარა. თეთრებით ქართველი იყო და რომ მოეგო, ევროპის ჩემპიონობას ძალიან მიუახლოვდებოდა; თანაც თეთრებით თამაშობდა და ჩვენს ოპტიმიზმს ესეც აძლიერებდა. სამწუხაროდ, ბაადურმა მოგება ვერ შეძლო, თუმც არც დამარცხებულა და პირველი პოზიცია არ დაუთმია. ერთია მხოლოდ: ამჯერად ორ მონაწილესთან იყოფს ლიდერობას... მეათე ტურში მისი მეტოქე გაგერმანებული ყაზახი რუსი **არკადი ნაიდიჩია**. არკადი ძალიან მაღალი რეიტინგის მფლობელია(2693) და ამ დაპირისპირებაში ფავორიტად ითვლება, მაგრამ ჯობავას არკადი დამარცხებულიც ჰყავს და საერთოდ - ურთიერთ შეხვედრებში უპირატესობა ჩვენებურის მხარესაა... იმედია, ტრადიცია გაგრძელდება და ბაადური ევროპაში პირველობისთვის სერიოზულ განაცხადს გააკეთებს.

ქართველის მოცილე ინარკიევი და ჰოლანდიის სახელით მოთამაშე **ივან სოკოლოვია** - ამათაც შვიდი ქულა აქვთ, მაგრამ ჩვენი ხეირი ის არის, რომ ერთმანეთს ხვდებიან და ერთ-ერთი მხარე მცირე დანაკლისს ყველა შემთხვევაში განიცდის...

ბაადურის იმედი რომ ყველაზე მეტად გვქონდა, ადრეც ვთქვით, თუმცა დანარჩენი ქართველების ბედი უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია... სხვა საქმეა, როგორ გაამართლეს ჩვენი მოლოდინი. **მიხეილ მჭედლიშვილმა** ყაიმებს არ უღალატა, წინ მხოლოდ ნახევარი ქულით წაიწია, ხუთ ქულას მოუყარა თავი და დღეს სლოვენიელ **ირე სკობერნეს** დაუპირისპირდება თეთრებით. **მერაბ გაგუნაშვილმა** კი მოგების გემო გაიხსენა და 5,5 ქულით ხვდება მეათე, ბოლოსწინა ტურს. მისი მეტოქე ამჯერად ჩეხი **ვლადიმირ ტალაა**(2407). ჩეხს რეიტინგი ისეთი აქვს, მერაბმა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მოუგოს, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმას მაინც მოვერიდებით. ძალიან ძლიერი მეტოქეები ხვდება **თორნიკე სანიკიძეს**. ასე იყო მერვე და მეცხრე ტურებშიც, - მერვეში შავებით სომეხ **ტიგრან პეტროსიანს** ქულა გაუყო, მაგრამ მეცხრეში თეთრებით სლოვენიელ **ალექსანდრ ბელიავსკისთან** წააგო.

ვაჟებში ჯობავას გარდა ალარავისი იმედი ალარ შეგვრჩა, განსხვავებით - ქალებისაგან, რომლებიც ევროპული ტიტულისათვის სანკტ-პეტერბურგში იბრძვიან. აქაც გამოიკვეთა ლიდერი: ჯერ იყო და, სომეხი **ლილიტ მკრტჩიანი** დაწინაურდა, მაგრამ მერე შავებით დამარცხდა გაუნგრელებულ ვიეტნამელ **თჰან თრანგ ჰოანგთან** და ეს უკანასკნელიც გალიდერდა ერთპიროვნულად - ექვსი ქულას მოუყარა თავი. ქართველთაგან საუკეთესო **შედეგი ნინო ხურციძეს** და **სალომე მელიას** აქვთ - 5,5 ქულა მოუხვეჭიათ. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს **მაია ლომინეიშვილს;** კიდევ ნახევარი ქულით ნაკლები მოეძევება **ნანა ძაგნიძეს**, რომელმაც მოულოდნელად, თანაც თეთრი ფერით, იწვნია მარცხი პოლონელ **ივეტა რაძიევიჩთან;** რაც ყველაზე დიდი რეიტინგის მქონე ქართველი ქალბატონისთვის შესამჩნევი დანაკარგია.

ქალთა მეშვიდე ტურმა ერთი ქართული დერბიც გვარგუნა - **სოფიო გვეტაძე სოფიკო გურამიშვილს** დაუპირისპირა. ამ დავაში გამარჯვებული ახალგაზრდა, თანაც შავებით მოთამაშე გურამიშვილი გამოვიდა და შესამჩნევად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა... სამართლიანობა მოითხოვს აღნიშვნას, რომ გურამიშვილს აქამდეც ძალიან ძლიერი მეტოქეები ჰყავდა, ვისთან დაპირისპირებაშიც ღირსეული შედეგით გამოდიოდა.... მას არც მომდევნო ტურში ექნება მშვიდი ცხოვრება - ევროპის 2000 წლის ჩემპიონი, უკრაინელი **ნატალია ჟუკოვას** წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. იმედია, სოფიკოც და სხვებიც შედეგიანად გაირჯებიან და ხვალ ბევრად მეტი სასიამოვნო ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობა მოგვეცემა!

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ზე 14



# ფავორიტების განკითხვის ჟამი

ზე 14-ის გათამაშებაში ხუთი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ერთიღა დარჩა. სამხრეთაფრიკული „ბლუ ბულზი" და ალბათ ისიც იმიტომ, რომ ამჯერად ისვენებდა. ლიდერთა სამეულის კიდევ ორმა წარმომადგენელმა - ავსტრალიურმა „ვორათაზმა" და სამხრეთაფრიკულმა „ნატალ შარქსმა" სტუმრად იწვნიეს მარცხი. კვლავ აგრძელებს წარუმატებელ სერიას ტურნირის შარსანდელი გამარჯვებული ზელანდიური „კრუსეიდერზი".

სიდნეის „ვორათაზმა", რომელიც წლეულს გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური პრეტენდენტია, სტუმრად კანბერაში მარცხი იწვნია „ბრამბიზთან"-11:21. ანგარიში მასპინძლებმა მე-10 წუთზე **მარკ ჯერარდის** საჯარიმო დარტყმით გახსნეს - 3:0. ტაიმის ბოლო ათწუთეულამდე არაფერი იცვლებოდა. 33-ე წუთზე ისევ ჯერარდმა გაიტანა საჯარიმო, რომელსაც **კარტლი ბეილიმ** ასევე ერთი საჯარიმოთი უპასუხა და პირველი ნახევარი-6:3 დასრულდა ბრამბიზელთა სასარგებლოდ.

შეხვედრაში გარდამტეხი, თუ შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ლელო გარემარბმა **ადამ ეშლი-კუპერმა** გაიტანა 45-ე წუთზე-11:3. თუმცა ბეილიმ ისევ საჯარიმოდან, ხუთ წუთში სხვაობა ანგარიშში ხუთ ქულამდე შეამცირა. ცხადია, მასპინძლები მიღწეულს არ დასჯერდნენ და 63-ე წუთზე, შეცვლაზე შემოსულმა შერკინების ბურჯმა **ბენ ალექსანდერმა** გამოიჩინა თავი. ჯერარდმა ზუსტად გარდასახა-18:6. მანვე თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე საჯარიმო დარტყმით სხვაობა 15 ქულამდე გაზარდა-21:6.

გათამაშების ფავორიტებმა ამის მერეღა გამოიღეს ხელი. 77-ე წუთზე ლელო გარემარბმა **ლაჩლანდ ტერნერმა** მიითვალა-11:21.

ქვიზლენდში „რედსთან" დამარცხდა სამხრეთაფრიკული „ნატალ შარქსი" - 13:25. შარშანდელმა ფინალისტებმა მასპინძლებს ფაქტობრივად წინაალმდეგობა ვერ გაუწიეს. პირველი ტაიმი „რედსმა" 18:6 მოიგო. 27-ე წუთისთვის კი 15:0 იგებდა. ანგარიში მე-12 წუთზე მეორეხაზელმა **ადამ ბერნსმა** გახსნა ლელოთი, რასაც თერთმეტ წუთში **ბენიამინ ლუკასმა** საჯარიმო მიუმატა თუმცა, სამი წუთის მერე შესაცვლელი შეიქნა.

ლუკასის შემცვლელმა **ვილიამ ჯენიამ,** რომელიც მოედანზე სულ რაღაც ერთი წუთის შემოსული იყო, „ზვიგენებს" მეორე ლელო გაუტანა, რომელიც **ბერიკ ბარნსმა** ზუსტად გარდასახა - 15:0. აფრიკელმა **რორი კოქოთმა,** ყოველივე ამას ორი საჯარიმოთი უპასუხა 31-ე და 34-ე წუთებზე, რასაც ბარნსმა ერთიც მიაყოლა-18:6.

მეორე ტაიმში გუნდებმა თითო ლელო გაცვალეს. 64-ე წუთზე სტუმართა რვა ნომერმა **რაიან კანკოვსკიმ** გაიტანა ლელო, რომელიც კოქოთმა გარდასახა - 13:18. „შარქსს" მატჩის გადარჩენის შანსი მიეცა, თუმცა რვა წუთში ავსტრალიელთა შუამარბმა **დიგბი იოანემ** გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა, ბარნსმა გარდასახვა ისევ ზუსტად დაარტყა და „ზვიგენებმა" პირველი მარცხი იგემეს - 25:13.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, ზე 14-ის მოქმედი ჩემპიონი ხუთი ტურის შემდეგ, ერთი გამარჯვებით მხოლოდ მე-11 ადგილზეა. ქენთებერიში „კრუსეიდერზი" ავსტრალიური პერთის „ფორსს" დაუპირისპირდა და მხოლოდ ფრეს გამორჩა-23:23.

არადა პირველი ტაიმი მასპინძლებმა 20:6 მოიგეს. ზელანდიელებმა 30 წუთში სტუმრებს სამი ლელო გაუტანეს. შუამარბების **რაიან სკოტისა** და **ტიმოთი ბეითმენის,** ასევე მეორეხაზელის **ისააკ როსის** ლელოებიდან **სტეფან ბრეტმა** მხოლოდ ერთი გარდასახა. მანვე დასაწყისში ერთი საჯარიმოც მიითვალა. ავსტრალიელები კი, **მეთ გიტოს** ორ საჯარიმოს დაყაბულდნენ.

მეორე ტაიმში გუნდებმა როლები გაცვალეს. „ფორსი" მთელი სიმძლავრეებით ამოქმედდა და მოწინაალმდეგეს ორი ლელო გაუტანა. 58-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა **ჰეიგ სარემ** იყოჩაღა. ათ წუთში კი თავი შუამარბმა **ჯეიმს ოკონორმა** გამოიჩინა. ორივე შემთხვევაში გიტომ გარდასახვა ზუსტად დაარტყა. რასაც კიდევ ერთი საჯარიმოც მიაყოლა. მასპინძლები კი მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ბრეტის ერთადერთ საჯარიმოს დასჯერდნენ-23:23.

სავარაუდოდ „კრუსეიდერზის" მდგომარეობა მეექვსე ტურის შემდეგ კიდევ უფრო გართულდება, რადგან ამჯერად სტუმრად მოუწევს თამაში „ვორათაზთან".

**ბესიკ ჯანგავაძე**

| V ტური | |
|---|---|
| ბლუზი (ზელ)-ჩიტაზი (ს.აფრ) | 46:12 |
| ბრამბიზი (ავსტრ)-ვორათაზი (ავსტრ) | 21:11 |
| კრუსეიდერზი (ზელ)-ფორსი (ავსტრ) | 23:23 |
| ჰაილენდერზი (ზელ)-ჩიფსი (ზელ) | 10:14 |
| რედსი (ავსტრ)-შარქსი (ს.აფრ) | 25:13 |
| სტრომერზი (ს.აფრ)-ლაიონზი (ს.აფრ) | 56:18 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბულზი - 18 ქულა, 2. ვორათაზი - 18, 3. შარქსი - 17, 4. ბლუზი - 16, 5. ჰარიკენზი - 14, 6. ბრამბიზი - 13, 7. სტრომერზი - 12, 8. ჩიფსი - 12, 9. ფორსი - 12, 10. რედსი - 11, 11. კრუსეიდერზი - 10, 12. ჰაილენდერზი - 8, 13. ლაიონზი - 6, 14. ჩიტაზი - 2.

**VI ტური**

**20 მარტი**

ჰარიკენზი(ზელ) - ბულზი (ს.აფრ)

**21 მარტი**

ჰაილენდერზი (ზელ)-ჩიტაზი (ს.აფრ)
ჩიფსი (ზელ)-ბლუზი (ზელ)
ვორათაზი (ავსტრ)-კრუსეიდერზი (ზელ)
ფორსი (ავსტრ)-შარქსი (ს.აფრ)
ლაიონზი (ს.აფრ)-ბრამბიზი (ავსტრ)

*რედსი (ავსტრ) და სტრომერზი (ს.აფრ) ისვენებენ*

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# დრამატული ფინალი

## სვინდალმა მსოფლიოს თასი ორქულიანი უპირატესობით მოიგო

დრამატულად დასრულდა კაცებს შორის მსოფლიოს თასის წლევანდელი გათამაშება. როგორც ვივარაუდეთ, ყველაფერი ბოლო ეტაპზე გაირკვა. მდგომარეობამ კულმინაციას მას შემდეგ მიაღწია, რაც პარასკევს, ავსტრიელმა **ბენჯამინ რაიხმა** გიგანტური სლალომი მოიგო, საერთო ჩათვლის ლიდერმა **აქსელ ლუნდ სვინდალმა** კი ქულა ვერ აიღო და ნორვეგიელის უპირატესობა ორ ქულამდე დავიდა.

წინ იყო ერთადერთი სტარტი - სლალომი და თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ რაიხი მსოფლიოს თასის მფლობელი გახდებოდა. ავსტრიელი ხომ სწორედ სლალომის სპეციალისტად ითვლება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 31 წლის ბენჯამინს ამ დისციპლინაში სამჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს თასი, მოპოვებული აქვს ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლები. სვინდალი კი პირიქით, ჩქაროსნულ ეტაპებშია ძლიერი.

ლიდერებიდან პირველი სტარტზე რაიხი გავიდა. ავსტრიელმა ტრასის ზედა ნაწილში კარგი სისწრაფე განავითარა, საშუალედო ფინიშზე პირველი დრო აჩვენა, მაგრამ ერთ-ერთი კარის გავლისას შეცდა და დისკვალიფიკაცია მიიღო. ეს კი საერთო ჩათვლაში სვინდალის გამარჯვებას ნიშნავდა. ნორვეგიელმაც შეცდომა დაუშვა მეოთხე კარის გავლის დროს, მაგრამ ეს აღარაფერს ცვლიდა - სვინდალი კარიერაში მეორედ გახდა მსოფლიოს თასის მფლობელი.

აღსანიშნავია, რომ სეზონის შედეგების მიხედვით, საერთო ჩათვლაში პირველ და მეორე ადგილებზე გასულ მოთხილამურეებს შორის ასეთი მცირე სხვაობა (2 ქულა) არასოდეს დაფიქსირებულა. გარდა ამისა, არავის მოუგია მსოფლიოს თასი ქულათა ასეთი მცირე რაოდენობით (1009). მანამდე ეს რეკორდი ფრანგ **ლუკ ალფანს** ეკუთვნოდა, რომელმაც 1997 წელს 1130 ქულით მოიგო მსოფლიოს თასი.

*"თავს შესანიშნავად ვგრძნობდი და სწრაფიც ვიყავი, მაგრამ სლალომი ისეთი დისციპლინაა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ გარწმუნებთ, მალე გამოვალ ამ შოკიდან"*, - განაცხადა ფინიშის შემდეგ რაიხმა.

პირველად სვინდალმა მსოფლიოს თასი 2007 წელს მოიგო. მომდევნო სეზონის დიდი ნაწილი კი ამერიკის ბივერ კრიკში დაცემისას მიღებული ტრავმის გამო გამოტოვა და ახლა, ტრიუმფალურად დაუბრუნდა პროფესიულ სპორტს.



წლევანდელი სეზონის გმირები - ლინდსი ვონი და აქსელ ლუნდ სვინდალი

შაბათის ეტაპი ავსტრიელი **მარიო მატის** გამარჯვებით დასრულდა. ამ მოთხილამურისთვის ორეს ტრასა ფეხბედნიერია - ორი წლის წინ სწორედ აქ მოიგო ავსტრიელმა სლალომში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი. რაც შეეხება ამ სეზონში სლალომის მსოფლიოს თასს, ბროლის მცირე გლობუსის მფლობელი ფრანგი **ჟან-ბაპტისტს გრანჟი** გახდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მსოფლიოს თასის შარშანდელი მფლობელის **ბოდე მილერის** გამოსვლა. ორეში ამერიკელს არ უასპარეზია, მთელი სეზონი კი ისე განვლო, რომ ერთ ეტაპზეც ვერ მივიდა პირველი ფინიშზე. ახლა, მილერს სერიოზულად აქვს განზრახული კარიერის დასრულება.

**ორე (შვედეთი)**

**სლალომი. კაცები**

1. **მარიო მატი** (ავსტრია) - 1:45.71 (54.24+51.47); 2. **ჟულიან ლიზერუ** (საფ) - 1:45.80 (54.06+51.74); 3. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 1:45.86 (54.72+51.14); 4. **მანფრედ მიოლგი** (იტა) - 1:45.99 (53.69+52.30); 5. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:46.21 (54.70+51.51); 6. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერ) - 1:46.36 (55.01+51.35).

**საერთო ჩათვლა**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 1009; 2. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 1007; 3. **დიდიე კუში** (შვეიც) - 919; 4. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 891; 5. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 887; 6. **დიდიე დეფაგო** (შვეიც) - 738.

**გიგანტური სლალომი. ქალები**

1. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 2:26.41 (1:13.74+1:12.67); 2. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 2:27.53 (1:14.32+1:13.21); 3. **მანუელა მიოლგი** (იტა) - 2:27.80 (1:14.76+1:13.04); 4. **ტაინა ბარიო** (საფ) - 2:28.20 (1:14.70+1:13.50); 5. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 2:28.22 (1:15.21+1:13.01); 6. **დენიზ კარბონი** (იტა) - 2:28.35 (1:15.32+1:13.03).

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1788; 2. **მარია რიში** (გერ) - 1424; 3. **ანია პერსონი** (შვედ) - 1059; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 1046; 5. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 914; 6. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 852.

**გია თვალაბეიშვილი**

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**13 მარტი**

**ჩიკაგო-კოლამბუსი 3:5**

0:2, 2:1, 1:2

გოლები: 0:1 ვერმეტი-11 (უმბერგერი-16, პეიდა-14), 0:2 პუსელიუსი-20 (ვორაჩეკი-24, პეკა-14), 1:2 სიბრუკი-6 (კეიტი-27, ვერსტეეგი-29), 2:2 ვერსტეეგი-19 (კეიტი-28, სიბრუკი-12), 2:3 ვერმეტი-12 (უმბერგერი-17, ტოუტინი-24), 2:4 ტორესი-8 (პეკა-15, ვორაჩეკი-25), 3:4 კეინი-22 (ტეუვზი-30, ბარკერი-30), 3:5 ნეში-33.

**ვანკუვერი-ლ. ანჯელესი 4:2**

2:0, 0:0, 2:2

გოლები: 1:0 ბაროუზი-21 (პიატი-8, უ. მიტჩელი-18), 2:0 სუნდინი-8 (ბიეკსა-26, ჰ. სედინი-49), 2:1 ფროლოვი-28 (მოლერი-8, სტოლი-23), 2:2 კოპიტარი-24 (დ. ბრაუნი-28), 3:2 ჰ. სედინი-13 (კესლერი-25, დემიტრა-26), 4:2 ჰ. სედინი-14 (დ. სედინი-40, სალო-14).

**14 მარტი**

**ბოსტონი-აილენდერსი 2:1**

2:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 კესელი-30 (ფერენსი-15, მონტადორი-17), 2:0 სავარი-22 (კესელი-22, ხარა-26), 2:1 შტრაიტი-13 (კოსოპო-12, პარკი-15).

**ფილადელფია-რეინჯერსი 4:2**

1:1, 1:0, 2:1

გოლები: 0:1 ანტროპოვი-23, 1:1 პარტნელი-25 (ჯ. კარტერი-31, ლუპული-23), 2:1 მ. რიჩარდსი-27 (ტიმონენი-31, საიმონ განიე-37), 3:1 ეშემი-6 (ქირუ-9, კარჩილო-9), 4:1 ეშემი-7 (ქირუ-10, კარჩილო-10), 4:2 ეივერი-5 (დუბინსკი-25, კელეჰანი-12).

**სენტ ლუისი-დეტროიტი 2:5**

1:0, 1:4, 0:1

გოლები: 1:0 ოში-10 (ე. მაკდონალდი-22, ბეკსი-19), 1:1 დაციუკი-26 (ბ. სტიუარტი-10), 1:2 კოპეცკი-6 (ჰუდლერი-31, ფილპულა-27), 1:3 ლებდა-6, 2:3 ვოივიტკა-2 (ოში-17, ბეკსი-20), 2:4 დაციუკი-27 (ფრანცენი-17), 2:5 ზეტერბერგი-28 (კლიერი-24).

**პიტსბურგი-ოტავა 3:4 (ბ)**

1:1, 2:0, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 გოდარდი-2 (დუპუი-13, ორპიკი-16), 1:1 კამპოლი-9 (ი. რუუტუ-12, ვინჩესტერი-10), 2:1 კროსბი-27 (იტონი-5, ჯ. სტაალი-20), 3:1 კენედი-12 (კუკი-17), 3:2 ფოლინო-14 (ნილი-5), 3:3 ფილიპსი-6 (პიტლი-32, სპეცა-33).

ბულიტები გაიტანეს: ალფრედსონი (ოტავა), კროსბი (პიტსბურგი), კომრი (ოტავა).

**ბაფალო-ატლანტა 3:4 (ბ)**

0:1, 3:0, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 ვიაჩ. კოზლოვი-19 (ბოგოსიანი-6, ენსტრიომი-16), 1:1 პეი-9 (დ. როი-38, სტეფორდი-23), 2:1 დ. როი-25, 3:1 აფინოგენოვი-4 (ვანეკი-21), 3:2 რისონერი-12 (კ. სტიუარტი-3), 3:3 ტ. უაიტი-19 (პეინსი-30, ენსტრიომი-17).

ბულიტები გაიტანეს: სტირლინგი (ატლანტა).

**ტორონტო-კალგარი 8:6**

3:3, 2:1, 3:2

გოლები: 1:0 ფინგერი-5 (პონიკაროვსკი-26), 2:0 ჯ. ბლეიკი-23 (სტრალმანი-10, ჯ. მიტჩელი-16), 3:0 გრაბოვსკი-15 (პონიკაროვსკი-27, ფინგერი-13), 3:1 ო. იოკინენი-27 (იგინლა-49, ა. ოკუანი-20), 3:2 ფანოფი-10 (ო. იოკინენი-22, ა. ოკუანი-22), 3:3 გლენკროსი-12 (იგინლა-50, ფანოფი-31), 4:3 ჯ. ჰემილტონი-1 (დევერო-1, სტაიანი-33), 5:3 ჯ. მიტჩელი-8 (სტემპნიაკი-25, შენი-7), 5:4 ო. იოკინენი-28 (ფანოფი-32, კიპრუსოფი-3), 6:4 კულემინი-11 (პონიკაროვსკი-28, გრაბოვსკი-19), 7:4 მეიერსი-5 (შენი-8, სტაიანი-34), 7:5 იგინლა-31 (ო. იოკინენი-23, გლენკროსი-26), 7:6 ო. იოკინენი-29 (ა. ოკუანი-23, კამალერი-37), 8:6 გრაბოვსკი-16 (პონიკაროვსკი-29, ფინგერი-14).

**ფლორიდა-ტამპა ბეი 3:4 (ბ)**

1:0, 1:1, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 ფროლიკი-18 (ბუტი-21), 2:0 ბუტი-25 (სტილმანი-26, უეისი-38), 2:1 მეროვი-5 (სენტ ლუისი-43, სტემკოსი-20), 3:1 ბუტი-26 (უეისი-39, ფროლიკი-18), 3:2 სენტ ლუისი-26 (კრაიჩეკი-12, პეტიო-1), 3:3 პალპერნი-5 (პეტიო-2, პროსპალი-26).

ბულიტები გაიტანეს: სტემკოსი (ტამპა ბეი).

**მონრეალი-ნიუ ჯერსი 1:3**

1:2, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 ელიაში-28 (ზაიაცი-38, პარიზე-41), 0:2 როლსტონი-14 (ჰაველიდი-15, ელიაში-45), 1:2 პლეკანეცი-20 (ბრისბუა-12, დ'აგოსტინი-9), 1:3 ლანგენბრუნერი-23 (ზაიაცი-39, პარიზე-42).

**ვაშინგტონი-კაროლინა 5:4 (ბ)**

2:1, 2:2, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ე. კოული-18 (ე. სტაალი-29), 1:1 მ. გრინი-24 (სიომინი-38, ბექსტრიომი-55), 2:1 ოვეჩკინი-49 (მ. გრინი-36, სიომინი-39), 3:1 სიომინი-29 (ლეიჩი-23, ოვეჩკინი-40), 3:2 ე. სტაალი-33 (რეი უიტნი-39, საიდენბერგი-20), 4:2 ბექსტრიომი-19 (ნიულანდერი-21, სიომინი-40), 4:3 რეი უიტნი-23 (ე. კოული-17, ე. სტაალი-30), 4:4 ვალინი-2 (საიდენბერგი-21, კულენი-20).

ბულიტები გაიტანეს: სიომინი (ვაშინგტონი), ოვეჩკინი (ვაშინგტონი).

**დალასი-მინესოტა 3:2 (ო)**

1:0, 1:2, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ოტი-14 (ლ. ერიქსონი-21, რიბეირო-46), 2:0 ოტი-15 (რიბეირო-47, ლ. ერიქსონი-22), 2:1 მ. კოივუ-18 (მიეტინენი-28, ბრუნეტი-22), 2:2 ბრუნეტი-16 (შულტცი-8, ბუშარი-28), 3:2 გრონმანი-2 (ლ. ერიქსონი-23).

**ედმონტონი-კოლორადო 2:3**

1:1, 0:0, 1:2

გოლები: 1:0 რ. ნილსონი-9, 1:1 ტაკერი-7 (კ. სტიუარტი-8, ლაილსი-23), 1:2 შჩასტნი-11 (ლაილსი-24, ვოლსკი-24), 2:2 სურეი-19 (ბროძიაკი-12, სტაიოსი-10), 2:3 ლაილსი-10 (სვატოსი19, ჰენანი-7).

**ფინიქსი-ნეშვილი 0:2**

0:0, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 დუმონი-14 (სალივანი-12, სუტერი-32), 0:2 ლეგუანდი-20 (ფიდლერი-6).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:1 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 მ. მიხალეკი-19 (პაველსკი-28, ბოილი-34), 1:1 სიმონდსი-6 (ფროლოვი-26, პანძუში-20).

ბულიტები გაიტანეს: ჩიჩუ (სან ხოსე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ქალებში დიდი არეულობაა

ინდიან უელსის ტურნირზე მეორე წრიდან ბრძოლაში განთესილი ჩოგბურთელები ჩაებნენ და ქალთა ბადეში რამდენიმე ხმაურიანი სენსაციის მოწმენიც გავხდით.

პირველი მოულოდნელი შედეგი ამ ტურნირის ბოლო ორი წლის ფინალისტის, რუსი **სვეტლანა კუზნეცოვასა** და პოლონელი **ურსულა რადვანსკას** მატჩში დაფიქსირდა. 18 წლის ურსულა აქამდე თავისი სახელოვანი უფროსი დის - **აგნიეშკას** ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ წლევანდელი სეზონი შესანიშნავად დაიწყო. უმცროსმა რადვანსკამ გასული წელი 127-ე ჩოგანის რანგში დაასრულა, წელს კი 15-დან 10 მატჩი მოიგო და საუკეთესო ასეულში შესვლის შანსი მიილო. ურსულამ ინდიან უელსის ორგანიზატორებისგან მიღებული უაილდ-ქარდი პირველივე წრეში გაამართლა, როცა WTA-ის ტურის ამომავალი ვარსკვლავი, 16 წლის **მიშელ ლარშერ დე ბრიტუ** (პორტუგალია) დაამარცხა, ამის შემდეგ კი ტურნირის პირველი სენსაციის ავტორი გახდა.

კუზნეცოვამ თავად შეიქმნა პრობლემები, როცა პირველ მოწოდებაზე 10-დან ერთადერთი (!) გათამაშება მოიგო. რუსმა საკუთარ მოწოდებაზე ოთხივე გეიმი დათმო და 2:6 წააგო. მეორეში დიდი გაჭირვებით გაიმარჯვა - 6:4 და ამჯერადაც მეტოქის გეიმებზე უკეთ თამაშობდა, ვიდრე თავისაზე. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მაგრამ გადამწყვეტ სეტში კუზნეცოვამ შეცდომებს უმატა და ურსულას კარიერაში ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება მოაპოვებინა. პოლონელს მესამე წრეში ამერიკელი **ალექსა გლეტჩი** ელის და წესით, არ უნდა გაუჭირდეს მერვედფინალში გასვლა.

სენსაციები გუშინ გაგრძელდა. ბრძოლას გამოეთიშა კიდევ ერთი რუსი ფავორიტი, ტურნირის მესამე ნომერი **ელენა დემენტიევა**. ამ უკანასკნელმა წელს 25-დან 21 მატჩი მოიგო და ორი ტიტული მოიპოვა, ამიტომაც ინდიან უელსში დები **უილიამსების** არყოფნაში, ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მოიაზრებოდა, მაგრამ ზუსტად ორსაათიან ბრძოლაში ელენამ ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ჩეხ **პეტრა ჩეტკოვსკასთან** (პირველად თამაშობს ამ ტურნირში) წააგო.

დემენტიევამ საშინლად ითამაშა საკუთარ მოწოდებაზე - 14 ორმაგი შეცდომა დაუშვა და პირველი მოწოდებისას ქულების მხოლოდ 50 პროცენტი მიითვალა, მეორე მოწოდების რეალიზაციის პროცენტი კიდევ უფრო დაბალი იყო - 37.

მატჩის შემდეგ დემენტიევამ ტრავმა მოიმიზეზა და განაცხადა, რომ ინდიან უელსში არ უნდა ჩასულიყო.

რუსი ჩოგბურთელების პრესტიჟი ახალგაზრდა **ანასტასია პავლიუჩენკოვამ** დაიცვა, რომელმაც მეორე ნომრად განთესილ **ელენა იანკოვიჩს** 6:4, 6:4 მოუგო. რუსს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის დასამარცხებლად სულ რალაც საათ-ნახევარი დასჭირდა.

პავლიუჩენკოვამ მატჩის გადამწყვეტ მომენტებში ზუსტი თამაშის წყალობით გაიმარჯვა. მან შვიდიდან ექვსი ბრეიკპოინტი გადაარჩინა, თავად კი სამჯერ აილო გეიმი სერბის მოწოდებაზე.

წარმატებით დაიწყო შარშანდელი ტიტულის დაცვა **ანა ივანოვიჩმა**. სპეციალისტების ვარაუდით, სწორედ ინდიან უელსის ტურნირი უნდა იქცეს სერბისთვის გარდატეხის მომენტად. შარშან, როლან გაროსის მოგების შემდეგ, ანამ წლის ბოლომდე 11 მატჩი მოიგო და ცხრაში მარცხი იწვნია. 2009 წელს კი 10-დან სამი წაგება აქვს. ივანოვიჩისგან დიდი ხანია ელიან ძველი ფორმის აღდგენას და იქნებ, სწორედ ინდიან უელსის ტურნირიდან დაიწყოს სერბის მორიგი ალზევება.

ანამ ყოველგვარი გართულების გარეშე, საათსა და 24 წუთში მოუგო ბელარუს **ანასტასია იაკიმოვას** - 6:4, 6:3.

■ ■ ■

კაცების ბადეში ყველაფერი კანონზომიერად მიდის. თითქმის ყველა განთესილმა გაიკვლია გზა მესამე წრისკენ.

გუშინ ორი დიდი დაბრუნება შედგა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტზე ვიხილეთ მსოფლიოს მეორე ჩოგანი **როჯერ ფედერერი**. შვეიცარიელს სათამაშო პრაქტიკის დეფიციტი ეტყობა და ამის გამო ფრანგ **მარკ ჟიკელთან** მატჩის პირველ სეტში ტაი-ბრეიკის თამაში დასჭირდა, მეორეში კი ერთადერთი ბრეიკის წყალობით გაიმარჯვა - 7:6, 6:4.

დუბაის ტურნირზე მიღებული ტრავმის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა **ენდი მიურეიმ**. ისიც ორ სეტში გაუსწორდა თავის მეტოქეს - ესპანელ **ალბერტ მონტანიესს** (7:5, 6:3).

ბრიტანელმა პირველი სეტის დასაწყისში აილო ერთი ბრეიკი, მეორეში კი ბოლოსკენ იმარჯვა და ძალების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე მოუგო ესპანელს, რომელმაც წლევანდელი სეზონი ექვსიდან ექვსის წაგებით დაიწყო და ჯერაც ვერ მოსულა გონს.



### ATP
### BNP Paribas Open
ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**II წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-მარკ ჟიკელი (საფ) 7:6 (4), 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 7:5, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ, 8)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 5:7, 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა) 7:5, 6:1; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 11)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:5, 6:3; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 13)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 6:7 (6), 6:3; **ტომი რობრედო (ესპ, 15)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:1, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 17)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 4:6, 6:2, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 19)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:7 (5), 6:2, 6:1; **იგორ ანდრეევი (რუს, 22)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:4, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 23)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:4, 6:0; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 25) 6:4, 7:6 (7); **ივო კარლოვიჩი (ხორ, 27)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:4, 6:2; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-მარიო ანჩიჩი (ხორ, 28) 3:3 ანჩიჩის უარი; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 32)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:4, 6:7 (11), 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ოლივიე პატიენსი (საფ) 6:7 (5), 6:3, 6:3.

### WTA
### BNP Paribas Open
ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**II წრე**

**დინარა საფინა (რუს, 1)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:6 (8), 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 4)**-იუნ იან ჩანი (ტაივ) 6:2, 6:2; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 6) 6:2, 4:6, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 4:6, 7:5, 6:3; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 9)**-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც) 6:1, 6:1; **შაარ პეერი (ისრ)**-მარიონ ბარტოლი (ისრ, 10) 1:6, 6:4, 7:5; **ნა ლი (ჩინ)**-პატი შნიდერი (შვეიც, 13) 7:5, 6:2; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 16) 7:5, 3:6, 6:4; **ამელი მორესმო (საფ, 17)**-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 5:7, 6:3, 6:4; **კაია კანეპი (ესტ, 18)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 7:6 (2), 1:0 რაზანოს უარი; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 19)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:3, 7:5; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 24) 6:3, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ, 26) 6:3, 6:1; **შუაი პენგი (ჩინ, 28)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:3, 3:6, 6:4; **ალექსა გლეტჩი (აშშ)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 29) 6:3, 6:1; **ელენა ვესნინა (რუს)**-სორანა კირსტეა (რუმ, 32) 5:7, 6:2, 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 2) 6:4, 6:4; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ელენა დემენტიევა (რუს, 3) 7:6 (2), 2:6, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერ, 5)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:4, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-სამანტა სტოსური (ავსტრა) 3:6, 6:3, 7:5; **კრისტინა ბაროისი (გერ)**-ალიზ კორნე (საფ, 11) 6:2, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა, 12)**-სანია მირზა (ინდ) 6:3, 6:4; **ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 14) 7:6 (6), 6:0; **ვერა დუშევინა (რუს)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 15) 6:2, 6:2; **ანგელა ჰეინსი (აშშ)**-აი სუგიამა (იაპ. 20) 6:4, 7:5; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 21)**-ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:3, 6:2; **აგნეს შავაი (უნგ, 22)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:2, 6:2; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 23)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:2, 6:3; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 25)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **კარინ კნაპი (იტა)**-სარა ერანი (იტა, 27) 6:2, 3:2 ერანის უარი; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 30)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 5:7, 6:3, 7:6 (4); **ხისელა დულკო (არგ, 31)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:1, 6:3.

# კლაისტერსმა გეგმები გაამხილა

როგორც უკვე ვწერდით, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **კიმ კლაისტერსმა** ინტენსიური ვარჯიშები განაახლა. ბელგიელი ჩოგბურთელი ყოველდღე ექვს საათს ატარებს კორტზე და პარალელურად ფიზიკური მომზადების მწვრთნელთან მუშაობს.

ბელგიური პრესა ვარაუდობდა, რომ ასეთი ინტენსიური ვარჯიში კიმის პროფესიულ ტურში დაბრუნებისთვის სჭირდებოდა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ კლაისტერსი World Team Tennis-ის (WTT) ამერიკულ ლიგაში რამდენიმე მატჩის ჩატარებას აპირებს. ბელგიელი 21 ივლისს სენტ ლუისის კორტზე გავა, ერთი დღის შემდეგ კი ფილადელფიაში ითამაშებს.

WTT-ის მატჩებში, რომელიც 2-26 ივლისს ამერიკის ათ ქალაქში ჩატარდება, კლაისტერსის გარდა დები **უილიამსები**, **ანა კურნიკოვა**, **ანდრე აგასი**, **ჯონ მაკინროი** და სხვა ვარსკვლავები ითამაშებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**NBA**

| | |
|---|---|
| ტორონტო-ინდიანა | 110:87 |
| ატლანტა-პორტლენდი | 98:80 |
| დეტროიტი-მემფისი | 84:89 |
| მილუოკი-ბოსტონი | 86:77 |
| ფილადელფია-მაიამი | 85:77 |
| ლეიკერსი-დალასი | 107:100 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ტელეკომი-ბრემერჰავენი | 69:66 |
| ჰესენი-ულმი | 78:81 |
| ოლდენბურგი-პადერბორნი | 82:65 |
| ერტლანდი-გეტინგენი | 71:66 |
| დიუსელდორფი-ტრირი | 90:87 (ო) |
| ალბა-ლუდვიგსბურგი | 86:57 |
| სკაილაინერსი-ჯაიანტსი | 79:55 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| სარაგოსა-უნიკახა | 64:74 |
| ფუენლაბრადა-მანრესა | 78:87 |
| ვალენსია-ბრუესა | 75:66 |
| ბარსელონა-მენორკა | 86:61 |
| ბილბაო-ტაუგრესი | 85:72 |
| გრან კანარია-გრანადა | 99:75 |
| მურსია-რეალი | 77:88 |
| ხუვენტუდი-კახასოლი | 81:89 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ბენეტონი-ფორტიტუდო | 80:77 |
| ვირტუსი-კანტუ | 73:62 |
| მილანი-აველინო | 85:71 (ო) |
| ბიელა-რიეტი | 73:79 |
| კაზერტა-ფერარა | 84:66 |
| მონტეგრანარო-სიენა | 70:81 |
| რომა-სკავოლინი | 98:76 |
| ტერამო-სნაიდერო | 80:73 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ბეზანსონი-შალონი | 95:83 |
| პავრი-გრაველინი | 92:80 |
| ნანსი-რუანი | 70:79 |
| ტულონი-დიჟონი | 87:75 |
| შოლე-ვიში | 72:59 |

**ჰოკეი**

**NHL**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-ფილადელფია | 4:1 |
| პიტსბურგი-ბოსტონი | 6:2 |
| ჩიკაგო-აილენდერსი | 2:4 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ატლანტი | 3:0 |
| ავანგარდი-აკ ბარსი | 1:11 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 4:5 |
| მეტალურგი (მ)-ატლანტი | 4:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2:2 |
| ჰამბურგი-აისბარენი | 2:2 |
| კრეფელდი-დიუსელდორფი | 3:3 |
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 5:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კერპეტი-იოკერიტი | 2:2 |
| პელიკანსი-კიეკო | 3:4 |
| კალპა-ჰპკ | 1:3 |
| ტპს-იუვიასკიულა | 1:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სლავია | 3:7 |
| პარდუბიცე-პლზენი | 3:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ბილი | 2:4 |
| დავოსი-ფრიბურგი | 4:1 |
| კლოტენი-ცუგი | 2:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ლინჩოპინგი | 5:2 |
| ტიმრა-ჰ371 | 2:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| კიფერი-რეინოლდსი | 6:4, 6:2 |
| ფერერი-ვიდომი | 6:4, 7:5 |
| ფიში-შარდი | 6:7, 6:7 |
| ვავრინკა-სეპი | 6:1, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-ვასალო არგელო | 7:5, 6:4 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-კანეპი | 6:3, 3:6, 6:3 |
| ზვონარევა-კვიტოვა | 6:3, 6:1 |
| ვაიდიშოვა-კრეიბასი | 4:6, 3:6 |

TV პროგრამა

**16 მარტი. ორშაბათი**

**I არხი**

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი.
09:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.
11:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვილიარეალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ტოტენჰემი.
15:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მარსელი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 არგენტინის ჩემპიონატი.ველეს სარსფილდი-რივერ პლეიტი.
19:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბარსელონა.
ზ0:50 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი (LIVE).
01:55 საფეხბურთო ღამე.
02:25 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
03:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი.
05:40 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კვიპროსი. III დღე.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. დოჰა. კატარი.
13:00 მარათონი. სეული. სამხრეთ კორეა.
13:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ვიკერსუნი. ნორვეგია.
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 30 კმ. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. V დღე. ინდიან უელსი. აშშ.
17:15 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VIII ეტაპი.
17:45 ველოსპორტი. ტირენა ადრიატიკო. VI ეტაპი (LIVE).
19:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნი. ნორვეგია.
20:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - კრიშტიანუ რონალდო.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/16 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:45 მულტისპორტი.
00:00 არმრესტლინგი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/16 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
03:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნი. ნორვეგია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. II ტური. იამაგატა-ნაგოია.
14:00 ახალი ამბები.
14:40 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. V ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-პოდრავკა (ხორვატია).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ესპანეთი.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. V ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-პოდრავკა (ხორვატია).
18:45 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
22:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. კანადა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. II ტური. იამაგატა-ნაგოია.
00:15 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. კანადა.
01:00 ბილიარდი.
02:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
03:00 ახალი ამბები.

## უცხოური სპორტი

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლოების 50-ე ტრიუმფი



**რალიში** მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **სებასტიან ლოები** 2009 წლის სეზონშიც უკონკურენციოდ ლიდერობს ჩემპიონატს. ბრწყინვალე ფრანგმა რალისტმა კვიპროსში ზედიზედ მესამე ეტაპი მოიგო და უდანაკარგოდ ლიდერობს პილოტთა ჩათვლას.

კვიპროსის ეტაპი ლოებისთვის იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ მან კარიერაში 50-ე ეტაპის მოგება შეძლო.

ერთადერთი პილოტი, რომელიც ფრანგისთვის კონკურენციის გაწევას ცდილობს, ფინელი **მიკო ჰირვონენია**. მან ამ სეზონში მესამედ დაიკავა ადგილი პოდიუმზე, მაგრამ ლოებს ჯერ ვერაფერი მოუხერხა და სებასტიანი ნელ-ნელა ზრდის უპირატესობას თავის უშუალო კონკურენტთან.

### III ეტაპი. კვიპროსის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 4:50.34,7; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - +27,2; 3. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სიტროენი") - 1.49,4; 4. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - +2.26,3; 5. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +6.41,0; 6. **კონრად რაუტენბახი** (ზიმბაბვე, "სიტროენი") - +11.11,9; 7. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, "ფორდი") - +13.18.5; 8. **ხალიდ არ ქასამი** (ქუვეითი, "ფორდი") - +13.44,1.

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 30; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - 22; 3. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - 17; 4. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - 10; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სიტროენი") - 9; 6. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - 8; 7. **იარი-მატი ლატვალა** (ესტონეთი, "ფორდი") - 6; 8. **კრის ატკინსონი** (ბრიტანეთი, "სუბარუ") - 4.

მძლეოსნობა

# ბოლტმა 9.93-ით დაიწყო

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** ამ სეზონში ოფიციალურად პირველად გაირბინა 100-მეტრიანი დისტანცია.

მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერმა თავის მშობლიურ ქალაქ სპანიშ-თაუნში 9.93 წამი დააფიქსირა. ასეთი შედეგით მივიდა ფინიშთან კიდევ ერთი იამაიკელი მძლეოსანი **დანიელ ბეილი**, რომელიც ვარჯიშებზე უსაინის პარტნიორი გახლავთ.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ბოლტი მთელი დისტანციის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ ფინიშზე სიჩქარე დააგდო და ბეილის დაწევის საშუალება მისცა.

*"კარგი გარბენი იყო. ძალიან ბევრი ვარჯიში გამოვტოვე, ამიტომაც ვცდილობდი ყველაფერი სწორად გამეკეთებინა. მხოლოდ ახლახან დავიწყე სეზონისთვის მზადება და ვნახოთ, რა იქნება მომავალში"*, - განაცხადა ბოლტმა.

უსაინი ამ ტურნირზე შარშანაც გამოვიდა და პირველი ადგილი დაიკავა. მაშინ მისი შედეგი 10.03 წამი იყო.



კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სანზი ნეშს გაუშვებს

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "ფინიქს სანზის" გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა**, შესაძლოა, ამ სეზონის შემდეგ დატოვოს არიზონა და სხვა გუნდში გააგრძელოს კარიერა. როგორც აღმოჩნდა, მოთამაშის კონტრაქტში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმება. თუ ჭორებს დავუჯერებთ, "სანზის" მეპატრონე **რობერტ სარვერი** სწორედ ამ პუნქტის გამოყენებას აპირებს.

გაზეთ "ნიუ იორკ პოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში სარვერმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში აპირებს გუნდის გადახალისებაზე მუშაობის დაწყებას. არადა, ადრე "ფინიქსის" მფლობელი ამბობდა, რომ მზად არის ნეშის გარდა თავისი გუნდის ნებისმიერ მოთამაშეს შეელიოს. მაშინ სარვერმა უარი უთხრა "ტორონტოს" კანადელი მცველის ტრეიდზე.

■ ■ ■

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში "სან ანტონიო სპურსის" ლიდერმა **ტიმ დანკანმა** დიდოსტატურ ზღვარს გადააბიჯა. კერძოდ, "ჰიუსტონ როკეტსთან" მატჩში მძიმე ფორვარდმა კარიერაში 19 ათას ქულას მოუყარა თავი.

დანკანმა "ჰიუსტონს" 15 ქულა ჩაუგდო, რის შემდეგაც მისი კარიერული მონაგარი 19013 ქულამდე ავიდა. ამის წყალობით, ტიმი ყველა დროის ბომბარდირთა სიაში 43-ე ადგილზე გადავიდა. მის ზემოთ 42-ე პოზიციას "საკრამენტო კინგზის" ექსმწვრთნელი **რეჯი ტეუსი** იკავებს, რომელსაც დანკანი მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

### 13 მარტი

**შარლოტი-ჰიუსტონი 86:91**

21:21, 27:25, 17:24, 21:21

შ: ჯ. უოლასი (17+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), რ. ბელი (16), ფელტონი (12+8 პასი), რადმანოვიჩი (12).

ჰ: იაო მინი (23+8 მოხსნა+3 დაფარება), სკოლა (15), ბრუკსი (10), არტესტი (10).

**ბოსტონი-მემფისი 102:92**

21:27, 26:17, 29:25, 26:23

ბ: პოუ (30+11 მოხსნა+5 დაფარება), რ. ალენი (22), პირსი (17).

მ: გეი (26), მაიო (21), კონლი (12+9 პასი+3 ჩაჭრა), მ. გასოლი (11+15 მოხსნა).

**ფილადელფია-ჩიკაგო 104:101**

22:23, 28:24, 30:22, 24:32

ფ: ტ. იანგი (31), იგუოდალა (25), ა. მილერი (13+13 პასი), სპეიტსი (10), დალემბერი (8+19 მოხსნა+4 დაფარება).

ჩ: დ. როუზი (20+6 პასი), სალმონსი (14+7 მოხსნა), ბ. მილერი (14+7 მოხსნა), ჰაინრიხი (14), ნოა (13+9 მოხსნა).

**ტორონტო-დეტროიტი 95:99 (ო)**

21:24, 24:16, 12:28, 31:20, 7:11

ტ: ბოში (27+10 მოხსნა), კალდერონი (20+11 პასი+4 ჩაჭრა), მერიონი (18), მენსა-ბონსუ (8+10 მოხსნა).

დ: ჰემილტონი (24+16 პასი), სტაკი (17), მაქსიელი (16), მაკდაესი (16+13 მოხსნა+3 დაფარება), პრინსი (11+8 მოხსნა).

**მილუოკი-ნიუ ორლეანი 86:95**

14:14, 24:25, 25:27, 23:29

მ: რ. ჯეფერსონი (27), ჩ. ბელი (15), ვილანუევა (10), მბა ა მუტე (6+10 მოხსნა).

ნ-ო: პოლი (30+9 პასი+4 ჩაჭრა), დ. უესტი (21+10 მოხსნა), რ. ბატლერი (17), პოუსი (10), ტ. ჩენდლერი (8+17 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ორლანდო 103:112**

25:30, 27:30, 23:21, 28:31

ვ: ჯეიმისონი (36), ნ. იანგი (20), მაკგუაირი (10+7 მოხსნა), კრიტერტონი (10+7 პასი).

ო: პიეტრუსი (21+11 მოხსნა+6 პასი), ლუისი (19), დ. ჰოვარდი (18+13 მოხსნა+7 პასი+5 დაფარება), ელსტონი (18), ბეტი (13+7 მოხსნა), რედიკი (10).

**გ. სტეიტი-დალასი 119:110**

29:31, 31:23, 29:24, 30:32

გ-ს: ს. ჯექსონი (31+7 მოხსნა+10 პასი), ელისი (29+11 მოხსნა), აზუბუიკე (14+7 მოხსნა), ე. რენდოლფი (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ბ. რაიტი (12), ტურიაფი (4+12 მოხსნა+5 დაფარება).

დ: ნოვიცკი (27+9 მოხსნა), კიდი (21+10 მოხსნა+11 პასი), ტერი (20), სინგლტონი (11+11 მოხსნა), ა. რაიტი (11), დამპიე (6+10 მოხსნა).

**ატლანტა-ინდიანა 101:87**

22:29, 23:19, 30:16, 26:23

ა: ჯო ჯონსონი (30+6 პასი), ჰორფორდი (17+15 მოხსნა+3 დაფარება), მ. ევანსი (15), ბიბი (13+6 პასი), ჯ. სმიტი (10).

ი: ფორდი (29), ჰიბერტი (15+7 მოხსნა), ჯეკი (10), მერფი (7+14 მოხსნა).

**მინესოტა-ნიუ იორკი 94:102**

19:25, 29:21, 21:28, 25:28

მ: გომესი (28), ტელფეირი (22), კ. სმიტი (14+9 მოხსნა), მ. მილერი (12+11 მოხსნა+7 პასი).

ნ-ი: რობინსონი (25+7 პასი), ჩენდლერი (24+12 მოხსნა), ჰიუიზი (12+3 ჩაჭრა), ჰარინგტონი (12), დ. ლი (12+13 მოხსნა+5 ჩაჭრა).

**პორტლენდი-ნიუ ჯერსი 109:100**

20:26, 27:25, 24:26, 38:23

პ: როი (31), ბატუმი (20), ოლდრიჯი (19+10 მოხსნა), ბლეიკი (15), აუთლო (13+10 მოხსნა).

ნ-ჯ: დ. ჰარისი (27+7 მოხსნა+8 პასი), ბ. ლოპესი (22), ვ. კარტერი (19), ბ. სიმონსი (14).

**საკრამენტ-კლივლენ 123:126 (ო)**

32:28, 27:32, 39:24, 18:32, 7:10

ს: მარტინი (34), ბ. ჯექსონი (19), ტომპსონი (19), სოლომონი (18), ნოჩიონი (12+9 მოხსნა), ჰოვსი (11).

კ: ლ. ჯეიმსი (51+9 პასი+3 დაფარება), ვარეჟაო (18+12 მოხსნა), შჩერბიაკი (12), მ. უილიამსი (10).

### 14 მარტი

**მაიამი-იუტა 140:129 (ვო)**

19:29, 32:26, 32:25, 24:27, 8:8, 10:10, 15:4

მ: უეიდი (50+10 მოხსნა+9 პასი), ჯ. ო'ნილი (28+8 მოხსნა+5 დაფარება), ჩელმერსი (23), ჰასლემი (12+12 მოხსნა).

ი: დ. უილიამსი (30+13 პასი), კორვერი (25+7 მოხსნა), ბუზერი (20+13 მოხსნა), ბრიუერი (14), ოქური (13).

**მინესოტა-შარლოტი 108:100**

32:25, 34:26, 21:28, 21:21

მ: ლავი (22+7 მოხსნა), კარნი (21), გომესი (21), კ. სმიტი (15+7 მოხსნა).

შ: ჯ. უოლასი (26+10 მოხსნა), რ. ბელი (21), ოგუსტინი (18), დიაო (12+7 მოხსნა).

**ჩიკაგო-ნიუ ორლეანი 97:79**

27:20, 26:19, 26:18, 18:22

ჩ: ბ. გორდონი (27), სალმონსი (24), ბ. მილერი (15+9 მოხსნა).

ნ-ო: პოლი (29+6 პასი), რ. ბატლერი (10), დ. უესტი (10).

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 85:88**

22:22, 15:22, 26:20, 22:24

ჰ: არტესტი (21+9 მოხსნა), იაო მინი (18+11 მოხსნა), ბრუქსი (18+3 ჩაჭრა), სკოლა (10+7 მოხსნა).

ს-ა: ტ. პარკერი (28+8 პასი), ფინლი (17), დანკანი (15+12 მოხსნა), გუდენი (13), ბონერი (2+10 მოხსნა).

**დენვერი-კლიპერსი 107:94**

24:17, 27:29, 34:25, 22:23

დ: ბელკმენი (22+11 მოხსნა), ენტონი (18), სმიტი (17), ნენე (17+10 მოხსნა+5 ჩაჭრა), ბილაპსი (10+9 პასი), კ. ანდერსონი (7+11 მოხსნა+3 დაფარება).

კ: ტორნტონი (19), ნოვაკი (17), ე. გორდონი (17), ბ. დევისი (12+10 პასი), კემბი (11+7 მოხსნა+5 ჩაჭრა).

**ფინიქსი-ოკლაჰომა 106:95**

18:26, 28:26, 26:20, 34:23

ფ: ბარბოზა (22), ნეში (18+8 პასი+3 ჩაჭრა), ჰილი (16+8 მოხსნა), შ. ო'ნილი (12), ბარნსი (10).

ო: დურანტი (22), უესტბრუკი (20+7 პასი), ჯ. გრინი (17+10 მოხსნა), კრსტიჩი (12), სეფოლოშა (11+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ფორმულა 1




# შუმი მაკლარენზე ჯაშუშობს

**ბარსელონაში** ჩატარებულ ტესტებზე ერთი საგულისხმო ინციდენტი დაფიქსირდა. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ლუის ჰემილტონმა** საკუთარი ბოლიდი დაამტვრია და საჭირო გახდა ევაკუატორით მანქანის ბოქსებში გადაყვანა.

სწორედ იმ დროს, როცა ლუისის "მაკლარენი" ევაკუატორს მოაბეს და ჰაერში ასწიეს, ტრასის მილმა ვერცხლისფერი "ალფა რომეო" გაჩერდა. იქიდან მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** გადმოვიდა და "მაკლარენის" ბოლიდის ფსკერის ყურადღებით თვალიერება დაიწყო.

მეორე დღეს, გერმანულ ტაბლოიდ "ბილდში" გაჩნდა სტატია პროვოკაციული სათაურით - "შუმი "მერსედესზე" ჯაშუშობს". მასში დაწვრილებით არის მოყოლილი იმ სიტუაციის შესახებ, რაც ჟურნალისტებმა ბარსელონას ტესტების დროს იხილეს.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ შუმახერი "ფერარიში" კონსულტანტის თანამდებობაზე დარჩა და ამ გუნდთან აქტიურად თანამშრომლობს - ესწრება ტესტებს და F60-ის დახვეწაზე მუშაობს. არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ მიხაელმა სიტუაციით ისარგებლა და უფრო ახლოს გაეცნო "ფერარის" უმთავრესი კონკურენტის - "მაკლარენის" მანქანას.

"ბილდს" მოჰყავს "BMW-ზაუბერის" ტექნიკური დეპარტამენტის შეფის სიტყვები. როგორც ირკვევა, *"აეროდინამიკის თვალსაზრისით, მანქანის ძირი ოთხჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უკანა ფრთა. და კონკურენტის საიდუმლოს ხილვა შესაძლებელი, მხოლოდ მაშინაა, როცა მანქანას ევაკუატორი ზემოთ სწევს"*.

გერმანული გაზეთის შეფასებით, "ფერარი" მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს წელიწადში 5 მილიონ დოლარს უხდის, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ გერმანელის კონტრაქტს ვადა გაუვა. როდესაც მიხაელის მენეჯერ **ვილი ვებერს** ჰკითხეს - გააგრძელებს თუ არა შუმახერი სკუდერიასთან თანამშრომლობას, მან უპასუხა: *"არ ვჩქარობთ და დაახლოებით ზაფხულისთვის განვიხილავთ ამ საკითხს"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

